



მერი პიგვავას პრემილა გვ. 28

ჩიხოვნიკები „ფისცვარი მთებიდან“ გვ. 18

ნასამართლობა = უაუავრობას? გვ. 52

ომი ღმართის მიწაზე გვ. 14

ციხეში საკითხავი ლიტერატურა გვ. 62

სცენარი თაგილისტოვის გვ. 72

ეროვნული  
ბიბლიოთეკი

ფასი 5 ლარი

ISSN 1987-7528



9 771987 752008

1737  
2014

# ევნიონის 22 ნაირალ


გვ. 32



იბექიცი

№ 154 / სპეციალური - სერიუმი / 2014

# იოტა iOS-ისტორია



ლიტერატურული - ახლა უკვე თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

იპოთემ ყველგან!

იპოთემ კომფორტულად!

[www.lit.ge](http://www.lit.ge)

იოტა iOS-ისტორიას საშეაღებას გაძლიერ მარტივად იპოთემთ lit.ge-ს ნიგნაბი და პერიოდიკა თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-

აალიკაციის გადმოსაწერად, თქვენი მოწყობილობიდან iTunes-ზე მოძებნეთ „IOTA READER“





4



## ბახესოვეს აღმიანი

ივლის-აგვისტო თბილისში საშინელება ყოფილა. ასე გადაბმულად აქ ყოფნა სულ მეორეჯერ მიხდება. ალბათ, არაფერია ადულებულ ასფალტზე ეფექტიანი დემოტივატორი.

თუმცა, ვერც ახალი ამბებით ასე დახუნდლულ პაპანაქება ზაფხულს ვიხსენებ. შინ – ეროსი კინმარიშვილის იდუმალ ვითარებაში გარდაცვალება და ყოფილი პრეზიდენტის სივის წაყენებული ბრალი, გარეთ – უკრაინის ბრძოლა რუსეთისგან გასათავისუფლებლად და ისრაელის ომი ღაზის სექტორში.

„ლიბერალის“ ამ ნომერში ფოკუსის ყოველდღიურობისგან არიდება უცადეთ. გვინდა გიამბოთ ადამიანებზე, რომელთაც ქართული მედია ისე ვექცევით, როგორც ბოროტი დედინაცვალი – გერს. თუ თავის დაწვა, ან რომელიმე შენობაში ძალით შეჭრა არ გადაწყვიტეს, თითქმის არ გვაინტერესებს დევნილების პრობლემები. არადა, ისინი ჩვენი უნიათობის შედეგს იმკან. ჩვენ სხვადასხვა დროის მთავრობები ვერ გავხადეთ იმ დოზით ანგარიშვალდებულები მაინც, რომ აგრძელო მეზობლისა და უბასუხისმგებლო, ავანტიურისტი პოლიტიკოსების მსხვერპლთავის დუხჭირი, ადამიანურ ლირსებასთან შეუთავსებელი ყოფა მნიშვნელოვნად შეგვემსუბუქებინა. ისინი უკვე წლებია ცხოვრობენ ტრიალ მინდვრებზე ხან ჩვენი, ხან სხვისგან ნაწყალობევი ფულით აშენებულ ერთნაირ სახლებში, როგორც რაღაც ფატალური შეცდომების სევდიანი ილუსტრაცია. ჩვენ ვიცით მათი დაახლოებითი რიცხვი, მაგრამ არ ვიცით მათი დარდები, ოცნებები, სინანული...

არც გვაინტერესებს. სინდისის ქენჯინისგან გასათავისუფლებლად კი ხან გაპრიალებულ კლიპებში სოხუმამდე მიმავალი ხომალდის ორ ბილეთს ვყიდულობთ, ხან ხალხმრავალ ადგილებში საზემოდ ვაკრავთ პლაკატებს – „გახსოვდეს აფხაზეთი!“

მოკლედ, ჩვენ ამ ნომერში აფხაზეთს გაგახსენებთ. სამხრეთ ასეთსაც. გაგასენებთ ადამიანებს, და არა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. გაჩვენებთ მათ სევდიან თვალებს. გიამბოთ მათ ბრძოლაზე გულგრილობის ყრუ კედელთან. გაეცანით ადამიანების 22-წლიან დევნილობას აგვისტო-სექტემბრის „ლიბერალში“. იმედია, ოქტომბრიდან უფრო პოზიტიური ამბები გვექნება მოსაყოლი.

ირაკლი აბსანძე, მთავარი რედაქტორი

298/8

### მთავარი რედაქტორი

ირაკლი აბსანძე

### რედაქტორის მიერ

ლევან ხავაშვილი

ზურაბ გარდაშვილი

არამ გარდაშვილი

არამ გარდაშვილი

არამ გარდაშვილი

არამ გარდაშვილი

არამ გარდაშვილი

### კრიტიკული

ქარიშვარი, ქარიშვარი, ქარიშვარი,

ზურაბ ხავაშვილი, გორგა

კაკაბეგი, ლევან ბერძნიშვილი,

ირაკლი ხავაშვილი, ცირა

ელიაშვილი, ხავაშვანა ხაბულაშვილი,

დავით ბერძნიშვილი

### კრიტიკული

ქარიშვარი, ქარიშვარი, ქარიშვარი,

ლევან ხავაშვილი

გრაფიკული დიზაინი

თორნიკე ლიონტექიფანიძე

სტელსიტ - კარექტორი

ნათა ორმოცაძე

### გამოცემები

შპს „ლიბერალი“

### პარტნიორებთან

ურთისმომავლის მეცნიერება:

ირმა მოსულიშვილი

### დისტრიბუტორი:

გაგა გელაშვილი

ფრინჯლის გამოწერის მსურველები

დავით გურგებაძე:

247 02 46



მთავარი თემა

## მარი ბიბლიას ბეჭდი


მერი ბიბლია დაბალ ხმაზე, ერთგვარი „სტაკატოებით“, ხაზგასმული თავაზიანობით საუბრობს, მოსაუბრესთან ეტიკეტურ დისტანციას ინარჩუნებს. მისი მეტყველების მანერა ოდნავ დაძაბულია, ზოგჯერ წყვეტილი, – როდესაც კონტექსტისთვის შესაბამის სიტყვებს ეძებს. შუა ხნის, დაფარული ენერგიით სავსე, გამხდარი ქალბატონი გამოთქმებს განსაკუთრებული სიფრთხილით არჩევს, საუბრისას ზოგჯერ ემოცია იფეთქებს, თუმცა მხოლოდ წამიერად, ბიბლია ემოციას მასწავლებლებისთვის დამახასიათებელი აკადემიურობით თოკავს. ზოგჯერ წინადადებას არ ასრულებს, ეს მაშინ როდესაც დასრულებას საჭიროდ არ მიიჩნევს. ამას ერთგვარი ხელის ჩაქნევით გამოსახავს.

 ზურაბ ვარდიაშვილი  
83.28

ქადაგი

**"აღასის სასახლე"**  
- საკახეთის  
გენერალური აღმნიუს  
სახხოვანი ხასიათი

ჰაერში ასობით ჩინური  
და იაპონური ფარანი  
ეკიდა და აუზსა და მასში  
წითლად მოლივლივე ღვინოს  
ანათებდა. მთაწმინდაზე,  
საკონსულოს მოპირდაპირე  
მხარეს, ფოიერვერკი  
მოეწყო, რომელმაც ამ ზეიმს  
ბრწყინვალება შეჰმატა.  
ოთახები და ეზო ადგილობრივი  
დიდგვაროვანი ქალებითა და  
კაცებით, ასევე, თბილისში  
მცხოვრები ირანელებით  
იყო სავსე. აუზის გარშემო  
ვერცხლის თასებით ხელში  
მდგარი ოფიციანტები  
სტუმრებს ღვინით  
უმასპინძლდებოდნენ.



 ცირა ელისაშვილი  
83.68

პოლიტიკა


## ჩინოვნისაბი "ცისფიჩი მთაბეჭდი"

მე მყავს შვიდი შვილი და ვარ სიღარიბის ზღვარს მიღმა. ეს სტატუსი რომ არ მქონდეს, მრავალშვილიანი არ ვიქნები. მე მყავდა ჩემს სახელზე გაფორმებული მანქანა. როგორც კი დაფიქსირდა, რომ მანქანა ვიყიდე, მომიხსნეს სოციალური სტატუსი და ამასთან ერთად მრავალშვილიანის სტატუსიც. რა შუაშია ერთმანეთან? არ არსებობს არგუმენტი. უნდა დაწერო რაც რეალური სატკივარია. გუშინ მოვიდა ეს მთავრობა. ეს დააბრალებს ძველ ხელისუფლებას. მთლიანად შეიცვალა დევნილთა სამინისტრო. ეს მთავრობა გადაიბარებს და დაიწყება თავიდან რეგისტრაცია.

ირაკლი აბსანძე  
83.18

ფოტოგრაფია

## ევნიცობის 22 ნაირი



სოფო აფციაური, ლევან ხერხეულიძე  
83. 32-51



ჭავაში

## საცხაი თბილისისთვის

საქართველოში ქანდაკება თავისი კლასიკური გაგებით, რაც დასავლურ ტრადიციაზე განვითარებულ ვიზუალურ-პლასტიკურ აზროვნებას გულისხმობს, არცთუ ისე დიდი ხნის წინ იმპორტირებული მედიუმია, ისევე, როგორც დაზგური მხატვრობა და ამ მხრივ მას დიდ პრეტენზიებსაც ვერ წავუყენებთ. თბილისში დღეისათვის არსებული ქანდაკებები პერიოდების მიხედვით, ძირითადად, ორ ნაწილად იყოფა: საბჭოთა რეჟიმისადროინდელი ნიმუშები, შესაბამისი მხატვრული ნიშნებით და უახლესი, ანუ პოსტსაბჭოთა პერიოდის შედარებით ლიბერალური გარემოს ფონზე შექმნილი არტეფაქტები, რომლებიც შედარებით მრავალფეროვანია. აქ არ იგულისხმება არქიტექტურის რელიეფები და სხვა სახის სკულპტურული დეკორი...

ხათუნა ხაბულიანი  
83.72

ცოდნა:



ფოტო: ლეიკონი

- 06 მოკლედ
- 08 ციტატები  
ორი აზრი
- 12 შეუქმნის თუ არა საფრთხეს  
მიხეილ სააკაშვილის „პასუხ-  
ისგებაში მიცემა აშშ-სთან და  
ევროპასთან ურთიერთობას?  
**უცხოეთი**
- 14 ომი ღმერთების მიწაზე  
**პოლიტიკა**
- 18 ჩინოვნიკები „ცასფერი მთებიდან“  
**სამხრეთ კავკასიის ხმები**
- 20 გალელები აფხაზური არჩევნების  
წინ  
**ინტერვიუ**
- 22 „აგვისტოს ომშა გაუზიარებელი  
და არალიარებული ადამიანური  
ტრაგედიები დაგვიტოვა“  
**მთავარი თემა**
- 28 მერია ბიგვავას ბრძოლა  
**ფოტოპროექტი**
- 32 დევნილობის 22 წელიწადი  
**საზოგადოება**
- 52 ნასამართლობა = უმუშევრობას?  
**ტექნოლოგიები**
- 58 გაჯეტები სამოგზაუროდ მიდიან  
**ბიბლიოთეკა**
- 60 „ტანად“ დიდი და პატარა  
ნიგნები ეროვნული ბიბლიოთე-  
კის იშვიათ გამოცემათა ფონდი-  
დან
- 62 ციხეში საკითხავი ლიტერატურა  
**ქალაქი**
- 66 Передайте следователю Пихельяку,  
что Герасим Пирцхалайшвили  
встретил смерть мужественно...
- 68 „აღმასის სასახლე“ – სპარსე-  
თის გენერალური კონსულის  
საცხოვრებელი სახლი
- 72 სცენარი თბილისისთვის  
**კულტურა**
- 76 ანტიური ეპოქის ფიგურა და  
ქანდაკება
- 78 მცირე რბოლა

სამხეთი წავასის ხელი

## ბალები აფხაზური არჩევნების ნინ

გალელების მიმართ ყველა ხელისუფლებას „ულამაზოდ“ პრაგმატული დამოკიდებულება აქვს. 1994 წლიდან მოყოლებული, ისინი ყველა არჩევნებში იღებენ მონანილებას, და საქართველოს ზოგიერთი, ერთი ეთნიკური ჯგუფის მიერ კომპაქტურად დასახლებული არეალის მსგავსად (მიზეზი ვიცით: სიფრთხილე, რომელიც ეთნიკური უმცირესობების შედარებითი დაუცველობით აიხსნება), გალიც მუდამ არსებულ ხელისუფლებას აძლევს ხმას, ამიტომ ცხადია, რომ მისი მოსახლეობის მიმართ მეტი აგრესია ოპოზიციურ ძალებს უწინდებოდათ.

ქეთი ქანთარია  
83.20

შეკვეთი გიგანტი

## ბაზარი სამოგზაურო მიერან

სასტუმრო Echo Valley Ranch&SPA

კანადაშია, სადაც არა მარტო ტელეფონი და ინტერნეტი, არამედ ტელევიზორიც კი არ არის, მობილური კავშირი კი სპეციალურადაა გამორთული. სამაგიეროდ, არის იოგა სუფთა ჰერზე, ცხენები და ველოსიპედები. დუბლინის სასტუმრო Westin Dublin-ში კი სტუმრები მისვლისთანავე საკუთარ ელექტრონულ მოწყობილობებსა და შესაბამისად Facebook-ის, Twitter-ის თუ Instagram-ის პროფილებს სეიფში აბარებინებენ. იგივე ხდება პენსილვანიის სასტუმრო Renaissance Pittsburgh Hotel-შიც. ამერიკის Camp Grounded-ის ბანაკში კი არა მარტო მობილური ტელეფონის და კომპიუტერის, არამედ ფოტო და ვიდეოკამერის გამოყენებაც აკრძალულია.

ნინო ნატროშვილი  
83.58



გამოცემა:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი, ინგოროვას ქ. 14. ტელ.: (995 32) 2470246 ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge „ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია. უურნალში გამოქვეყნებული მასალების ნანილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე არძალულია.

გაფილა:

შპს „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02. გამოიდის თვეში ერთხელ, ყველა 10 რიცხვში. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 5 ლარი.



C E L E B R A T I N G  
**130** years  
CONGRATULATIONS  
— Years —  
**ANNIVERSARY**



## ცონილი სისტემის მიზანი ის იურიდიკური და სამართლებრივი განვითარების განვითარება

დიდი ბრიტანეთის დედაქალაქის ქუჩებში გადაშლილი წიგნის ფორმის 50 მოხატული სკამი გამოჩნდა. კლასიკად და ფერული ბრიტანული ნაწარმოებებისა და, ზოგადად, წიგნის ამ სახით პოპულარიზაციის იდეა დიდი ბრიტანეთის „წიგნიერების ეროვნული ფონდის“ წარმომადგენლებს გაუჩნდათ.

ლუის ქეროლის ცნობილი მოთხოვებები, ჯეის ბერის „პიტერ პენი“ და იან ფლემინგის „ჯეიმს ბონდი“ იმ წიგნებს შერისაა, რომელთა ილუსტრაციების ნახვაც ქუჩებში მოსეირნე ან სამსახურში მიმავალ ლონდონელებს ყოველდღე შეეძლებათ. სკამებზე შეხვდებით ისეთ ცნობილ პერსონაჟებს, როგორებიც არიან: შერლოკ ჰოლმსი და მერი პოპინსი.

„წიგნიერების ეროვნული ფონდის“ მიერ ჩატარებული ბოლო კვლევის თანახმად, დიდ ბრიტანეთში ბავშვები და მოზარდები წიგნებს გასულ წლებთან შედარებით უფრო აქტიურად კითხულობენ. კვლევის ფარგლებში 8-დან 16 წლამდე 30 ათასი ბავშვი გამოკითხეს. გამოკითხულთა 53% აცხადებს, რომ წიგნების კითხვა ძალიან მოსწონს.

## სამოქანი განვითარების მიზანი სამართლებრივი განვითარების სამსახურის მიზანი

შეეცარიელი, ფრანგი და გერმანელი სამართალდამცავები მიხაელ შუმახერის მკურნალობის ამსახველი სამედიცინო დოკუმენტების ქურდობის ფაქტს იძიებენ.

ბოლო ინფორმაციით, იმ კომპიუტერის IP მისამართს, რომლიდანაც უკრნალისტებს ამ ინფორმაციის

შექენა შესთავაზეს, ვერტმფრენების შეეცარიულ ფირმასთან მივყავართ. გერმანული „შპიგელი“ საფრანგეთის ქალაქ გრენობლის პრიურატურაზე დაყრდნობით იუწყება, რომ მეილ-მისამართი, რომლიდანაც რამდენიმე მედიასაშუალებას შუმახერის ავადმყოფობის ამსახველი კერძო ინფორმაცია შესთავაზეს, ციურისის მიდამოებში მოქმედი ვერტმფრენების გამქირავებელ კომპანიას ეკუთვნის.

„შპიგელი“ არ განმარტავს, დაკავებულია თუ არა თავად ინფორმაციის ქურდი. საქმე საფრანგეთშია აღძრული, მაგრამ მას უკვე შეეცარიელი სამართალდამცავებიც იძიებენ.

ადგილობრივი რეგიონული გაზეთები იტყობინებიან, რომ მედიასაშუალებებს სამედიცინო ინფორმაციის შექმნა 60 000 შეეცარიულ ფრანკად (დაახლოებით 118 000 ლარი) შესთავაზეს.

ფირმა, რომელსაც ამ ფაქტს უკავშირებენ, შუმახერის გრენობლიდან შეეცარიულ კლინიკაში ვერტმფრენით გადასაყვანად დაიტირავს. სავარაუდოდ, სწორედ ამ დროს მოხვდა მათ ხელში სამედიცინო ინფორმაციის ასლი.

დოკუმენტი „ფორმულა 1-ის“ ვარსკვლავის ავადმყოფობის ისტორიას და მკურნალობის დეტალებს მოიცავს.

29 დეკემბერს, ალპებში თხილამურებით სრიალისას, შუმახერმა მძიმე ტრავმა მიიღო, რის შედეგადაც 6 თვე ხელოვნურ კომაში იმყოფებოდა.

## განვითარების სამსახურის სახაზში უიკანას გამოცემის მიზანი

გაეროს ანგარიშის თანახმად, აშშ-ში წარმოებული საკვების 40 პროცენტი ნაგავსაყრელზე ხვდება, ევროპაში კი ნაგავში ყოველწლიურად 100 მილიონ ტონა პროდუქტს ყრიან.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სურსათისა და სოფლის მეურნეობის სააგენტოს სპეციალისტების თქმით, მსოფლიოში წარმოებული საკვების მესამედს არადანიშნულებისამებრ იყენებენ. ამასთან, მსო-

ფლიოში შიმშილობის ზღვარზე მყოფ მოქალაქეთა რაოდენობა მიღიარდს აღნევს.

როგორც კვლევამ ცხადყო, მსოფლიოში იმდენ საკვებს ანარმობენ, რომ თითოეულ ადამიანს ყოველდღიურად 4 ათასი კალორიის მიღება მაინც შეუძლია, სუფრაზე კი, რეალურად, 2 ათასი კალორიის შემცველი პროდუქტი ხვდება.

მეცნიერების თქმით, სურსათის ასეთი არაეკონომიური გამოყენება კაციობრიობას ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე აყენებს.

სასოფლო-სამეურნეო მინისტრის საერთო ფართი, სადაც „გადასაყრელი“ საკვები მოჰყავთ, მექსიკის ფართობზე დიდია. ამ ტერიტორიების მოსარყებად საჭირო წყალი კი 9 მილიონ ადამიანს მოუკლავდა წყურვილს.



პროფესორ პერ პინსტრუქტ-ანდერსენის თქმით, ამ პრობლემის გადაჭრა ადგილობრივ დონეზე უნდა მოხდეს, რადგან სხვადასხვა ქვეყანაში საკვებ პროდუქტს სხვადასხვა მიზეზით ყრიან: მაგალითად, ინდოეთში სურსათის მაცივრების ნაკლებობის გამო ვერ ინახავენ, აშშ-ში კი მაღალ სტანდარტების შეუსაბამო პროდუქციას მაღაზიებში არ იღებენ, რის გამოც ის ნაგავსაყრელზე ხვდება.

## ბიოჰაბი თვაშვილის ფილმის აუცილებელი მთავარი პილოტის განვითარების მიზანი

გიორგი ოვაშვილის ფილმი „სიმინდის კუნძული“ კარლოვი ვარის საერთო მსოფლიო კონფერენციის მთავარი პრიზის – „პროლის გლობუსის“ მფლობელი გახდა.

ჩეხეთში გამართულ 49-ე საერთაშორისო კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამაში ქართველი რეჟისორის



ფილმი „სიმინდის კუნძული“ 12 წანურებარს შორის იყო წარდგენილი. კონფესტივალში ასევე მონაწილეობდა ლევან კოლუაშვილის ფილმი „შემთხვევითი პატარები“, რომელიც ფესტივალის სექციაში „Europe Now“ აჩვენეს. ასევე, სექციაში „Work in Progress“ მონაწილეობდა რუსუდან პირველის პროექტი „ძილის გაკვეთი-ლები“.

## 2014 წლის პირველი წევარები 1 564 მშვიდობის მოქალაკე ღაილავა

გაეროს ახალი ანგარიშის თანახმად, 2014 წლის პირველ წევარები ავღანეთში მშვიდობიანი მოქალაქეებში მსხვერპლის რაოდენობა გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით 17%-ით გაიზარდა. ანგარიშის თანახმად, 2014 წელს მშვიდობიან მოქალაქეები ძირითადად შეტაკებებს, სარაკეტო თავდასხმებსა და ნაღმებით მცირდნებიდან განხორციელებულ იერიშებს ემსხვერპლნენ. ანგარიშის მიხედვით, მიმდინარე წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით, ავღანეთში 1 564 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა. აქედან, 295 ბავშვია, რაც წინა წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს 21%-ით აღემატება.

## ახალი შემთხვევა სამართლის სისხლის სამართლები ღვევით შემფოთაბაცია

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემასთან დაკავშირებით შეშფოთებას გამოთქვამს.


ამის შესახებ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი. დეპარტამენტი საქართველოს ოფიციალურ პირებს კანონის უზენაესობის დაცვის პრინციპებს შეახსენებს.

„ამერიკის შეერთებული შტატები შეშფოთებულია ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებით. კანონის უზენაესობის დაცვა ნიშნავს ორივეს: დემოკრატიულ საზოგადოებაში ყველა უნდა დაემორჩილოს კანონს და სამართლებრივი სისტემა არ უნდა იყოს გამოყენებული, როგორც პოლიტიკური იარაღი. ჩვენ ვაკეირდებით ამას და სხვა მსგავს საქმეებს და განვა-გრძობთ საქართველოს ოფიციალური პირებისათვის კანონის უზენაესობის მკაფიოდ დაცვის მნიშვნელობის ხაზეასმას“, – ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში.

იმ თვითმფინავის პიცობი, ჩომითას ჰისტორიაში აზომები ჩომის ჩომაბავას, ბახებისაცაცა

ჯორჯის შტატში 93 წლის ასაკში გარდაიცვალა იმ თვითმფინავის ერთ-ერთი პილოტი, რომლითაც 1945 წელს იაპონიის ქალაქ ჰიროსიმაში ატომური ბომბი ჩამოაგდეს. თეოდორ ვან კირკი, მეტსახელად ჰოლანდიელი, ამერიკული ბომბდამშენის ეკიპაჟიდან უკანასკნელი ცოცხლად დარჩენილი წევრი იყო.

მისის შესრულების დროს ვან კირკი 24 წლის იყო. ჰიროსიმაში ბირთვული იარაღის გამოყენების შედეგად 140 ათასი ადამიანი დაიღუპა. სამი დღის შემდეგ ატომური ბომბი უკვე ქალაქ ნაგასაკიც ჩამოაგდეს, რასაც 80 ათასი მოქალაქე ემსხვერპლა. ვან კირკი სიცოცხლის ბოლომდე არ ნანიბდა ამ მისაში მონაწილეობას და აცხადებდა, რომ მან ხელი შეუწყობორების მის დასრულებას. □





„აშშ ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ იყოს მსოფლიო თანამეგობრობის სათავეში, რათა შეამციროს ეს ზენოლა და მხარი დაუჭიროს უკრაინის სუვერენიტეტსა და უკრაინელებს, რომლებსაც დემოკრატიულ ქვეყანაში ცხოვრება და გადაწყვეტილებების მიღება სურთ“.

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, ბარაკ ობამა.**



„პრემიერ-მინისტრმა და მინისტრთა კაბინეტის წევრებმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ შემდეგი სამიზნე მე ვარ, რაც ცხადია დაძაბავს ურთიერთობას ჩვენს ამერიკელ და ევროპელ პარტნიორებთან. თუმცა ეს ოდნავადაც კი არ აწუხებთ მათ, ვინც საჯაროდ დაადასტურა, რომ თავისუფლების მოყვარე უკრაინელ ხალხთან მეგობრობას ცალსახად რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება ურჩევნიათ. შესაბამისად, სრულიად არაა შემთხვევითი, რომ ბრალის წაყენება სწორედ იმ დღეებში ხდება, როდესაც ჩვენი უკრაინელი ძმები და დები, ისე ახლოს არიან პუტინის დამარცხებასთან, როგორც არასდროს, რასაც საქართველოს ბედისთვისაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს“. საქართველოს ექსპრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი.



„2014 წლის 14 ივლისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ფინანსთა სამინისტროს გამშვები პუნქტის თანამშრომლებთან ერთად, ამოღებულ იქნა 2 ტონა და 790 კგ თხევადი ნარკოტიკული საშუალება, ჰეროინი... ეს არის ავღანური წარმოშობის ნარკოტიკი, რომელიც მიეკუთვნებოდა თალიბანს, ამის გადატანა ხდებოდა ევროპის მიმართულებით და ამ თანხებით კიდევ ხდებოდა ამ თალიბანის, ამ პიროვნების დაფინანსება“.

**შინაგან საქმეთა მინისტრი, ალექსანდრე ჭიკაიძე.**

# SPAR მაღავ!

SPAR



გთავაზობთ  
გაცილებით  
მეტს!

სხვრი ჯანხევრი  
ნორისნისნი ნოუქოფესო  
ოჯვენე მორგებული

პირველი 3 მადაგია:  
ა. გოგებაშვილი ქ. №50/50  
მ. კოსტავა ქ. №20  
ა. ყაზბეგი ქ. №14



0300 თუ კუნძული


გიგანტის

SPAR - 13.700 მაღაზი  
მსოფლიოს 36 ქვეყანაში  
4 პონტინენტზე!

ყოველდღიურად 10  
მილიონზე მეტი  
მომხმარებელი.

200 000 თანამშრომელი  
მთელ მსოფლიოში.  
SPAR - 80 წლიანი  
ნარჩენების სისტემია!


ელექტროენერგიის, აირისა და  
ნელის ნარმოება და განაწილება



ნებარი:


საქართველოს სტატისტიკის  
ეროვნული სამსახური

ლარი\* - საშუალო თვეური ნომინალური ხელფასი



## დედობა ბავშვობიდან


2013



სულ დაბადებულები

**57,878**

## დედის ასაკი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

თორნის უმარტვილე  
საერთაშორისო ურთიერთობისათვ  
საკითხების ექსპერტი

მიზეულ საკუთრელის მპარესტებების მცველი,  
რა თუმცა უწია, ამინტის შემთხვევაში მტკადა-  
მონ და უფროსისამას უზრუნველობის გადაუ-  
სას იქნინობს. ამ შემთხვევაში, რომ არ იქნინოს,  
რდება დღი განა ნინ თესლის შესტერის  
შემთხვევაში მოგვიყენოთ, რომ მიხედა საკუთ-  
რელი არ შემძლებასთან. ამინტისთვის დადგრე-  
ლი დამატების გადაუსას კა ჯერ ამასთვებას ან  
არას, მორჩილებას, ჩვენ შემძლებას და მა-  
რენისთვის, რომელი დასასამა დამატებისა-  
და ამინტის მიმოწვევისთვის სხვა რომ აღარ-  
ფერი კორუნა, ქ მარც კულტურა.

საქართველოსათვის ადგენურა ანის პარტეტუ-  
ლი ტრიშინი. საკუთრელის მსოფლიოსა და  
სამართლის არ ინსტანცია. ასესობის განვითარების  
უზრუნველობა. ეს კი ინსა ნიმუში. რომ შემოწ-  
ევით სამართლი უწია გამოირჩეოს. თუ მა-  
რენი საკუთრელი გამოიწვევდა წილის მიმდევა-  
მიმდევა ამინტისთვის, მაში ნინ უზრუ-  
ნებე რადენ არ გამოიწვევდა? და დაუკუ-  
რნება შედეგი, ას რომ საკუთრელისთვის  
ნეკურნება არ გამოიწვევდა კანონის უზრუნველობის  
გარეულება პიროვნების აქტი.

რომ შეგრძა მოგონი ტრიშინ (სამო-  
ლოონის მარტინ ტრიშინი), ის ასერთულია და  
ჰპონისტირებული კუნინის კრისტენის კუ-  
რულების. კურ კამინერული, რა არა სამინ-  
ისლონისა და ტერი შეკვეთის მას აღდენის.

რამდენიმე თესე ნინ საკუთრელის უზრუ-  
ნებებისთვის ლაფები, კუნინურ შემთხვევაში  
და დაუკურნების მიმდევა, რომ ჩვენ  
ამდე დამოკიდებული მეტონ გამოსახულ ერთ და  
საკუთრელის დაფიქცია წლი და დასასა-  
მართლების ამასთვების მოსახულება არ  
არა. რომ გამოკიდებული გადასასამართლების  
წლის მიმდევა კრისტენის და ამასთვების  
მიმდევა გამოსახულება არ არა არა.  
რა თემ უზღავა და ასე სამართლის  
სისტემა პილოტური უნი. ეს მომოტორინ-  
გა, რომ შეგრძა გამოსახულება არ მომოტორინ-  
გა, რა მოგონი უზღავა რა ხელი შეუ-  
ნიკონის. საკანონითო და დაუკურნების ამინტის  
მიმდევა ნინ მიმოწვევა გამოიწვევდას.

ასეთი პიროვნეული მინტორინგი ამირიკა შემთხვევების და  
ევროპის არ შეიძლება რომ განიმო-  
ციოლებინან, როცა სიღძედ ჭირი-  
ბის შესახებ ჩინონი გამოიწვევდა, სასაკუ-  
რელი დამოკიდების ადგიმინისტრის ნაშება, რთის  
სისტემური დანაშენება. შესაძლოა,  
თავა მინ გადასასამართლების კურ-  
ნების კადა კურნება არ არა კურნების  
ადამი შემოწვევა.

ნეკურნება, ეს იყ რომ კურნება გადა-  
ნებულება, თუ რამდენიმე ნინ არ არ  
აუცილებელი საკუთრელი დაუკუ-  
რნება, ამდე რა არმო გადასას კუ-  
რნება? რა, ადრე არ დაუკურნება 7 წილი-  
ბის კა დაზღუდული? სირიაში ეს საკონსა  
მისირელური და ცუდა ს.



## შეუახეს თუ ახა საფარის მიხედვის საკაცვისის კასახის მართვის ეს ცხოვანის ათიონიორბას?

■ თუ რა მაღილიმე ხნის წინ არ იყო აუცილებელი საკაცვილის  
დარღვევა, ამდე რა არმო გადასას? რა, ადრე არ დაუკურნება 7  
წილიბის რა დაზღუდული? სირიაში ეს საკონსა  
მისირელური და ცუდა ს.



■ მე მიმართი, რომ თუ მარალი დადგადასტურებული  
იწევა, ასე შემთხვევამ არ თქმა უზღა-  
ვის მიმდევა რომ კორონატურის  
ხელმძღვანელობას, ისე ქვეყნის ხელისუფლებას.

**ახა განმარტები**  
კაბინეტის მიმღები  
პოლიტოლოგი

მიზეულ საგამოცემოს პასუხისმგე-  
ბანი მიცემს გაულისტებს თუ არ ას-  
ქართველობს ასერთობებს შტატებისათვის  
თოსას, დამოკიდებული ინტერესები  
და დურუსას არაურიგიშორმებული იწევა კუ-  
ლტური პრეზიდენტობის ნაკრიტიკული  
როლი.

თუ ის არაურიგიშორმებული და  
უურეული დადგადებული იწევა-  
ბა, ამ შემთხვევამ არ მცინა, რომ  
ცემონიისთვის და მირინის  
შულ გრატივობას ურისონობობას გა-  
დაუკურნება.

ვერაციული ასერთობების და შემთხვებული  
შტატების სახელმწიფო დამოკიდებულ-  
ტის გაცალებების რამეც ტბის უ-  
მყაფილება არ გამოიწვევა. მათ  
მზღვლია ის აუკენელი და მირინის  
ნიმუშის განმოიწვევა, ისინ  
იძინა იღოვენ. რომ სამართლის  
სისტემა პილოტური უნი. ეს მომოტორინ-  
გა, რა მოგონი უზღავა რა ხელი შეუ-  
ნიკონის. საკანონითო და დაუკურნების ამინტის  
მიმდევა ნინ მიმოწვევა გამოიწვევდას.

ასეთი პიროვნეული მინტორინგი ამირიკა შემთხვევების და  
ევროპის არ შეიძლება რომ განიმო-  
ციოლებინან, როცა სიღძედ ჭირი-  
ბის შესახებ ჩინონი გამოიწვევდა, სასაკუ-  
რელი დამოკიდების ადგიმინისტრის ნაშება, რთის  
სისტემური დანაშენება. შესაძლოა,  
თავა მინ გადასასამართლების კურ-  
ნების კადა კურნება არ არა კურნების  
ადამი შემოწვევა.

ნეკურნება, ეს იყ რომ კურნება გადა-  
ნებულება, თუ რამდენიმე ნინ არ არ  
აუცილებელი საკუთრელი დაუკუ-  
რნება, ამდე რა არმო გადასას კუ-  
რნება? რა, ადრე არ დაუკურნება 7 წილი-  
ბის კა დაზღუდული? სირიაში ეს საკონსა  
მისირელური და ცუდა ს.

Թառ  
Ծաշիութեան  
Օնցած

ქუთა თელავის მუნიციპალიტეტი



29 ივლისის ბამებ ბოლო თევების განმარტობაზე პალესტინურებისთვის ყველაზე ძმიშვილი, რომელიც დასა სტერილური სისტემის აღმოჩნდა მასშინით ანტიტერორისტული სტერილური სისტემისა და მასთვის სასახლის დარტული განახორციელდა. ბოლო ის პალესტინურების კალაბრია ნანგრევებისა და ცენტრულობისა საფუძვლის თეო-აზოვის კა გამარტინისურებილი სრუჩის ხს თომოშია არ წყდება. საპერიო თავდასხმის შეუდება ის დამტკიცებული დღის ინიციატივის ბანაკი, საცხოვრისებლი კონფერენცია და საკავშირო კონფერენცია. დევოლუცია განახობი და დამტკიცებული სრუჩის 10 ბაგაზეა. მომზადები ისირკვევა და მასთვის ერთმანეთის ადგანპაულებები, რომ კა დასახურული არ უნის. ყაზავების მცდელობა ცეცხლის შესტაციელი, მორცხით დასრულდა, პამასის ულიკისაური ძალაში, ხოლო ისრაელის ჯარი უკან დაცვება იმ ამირისა.

033320 6003663 Main, 9376

ရွှေတေသန ပြည်တေသန နှစ်များကို မြေဆိပ်တေသန မြေဆိပ်တေသန ပြည်တေသန နှစ်များ ဖြစ်ပါသည်။ မြေဆိပ်တေသန ပြည်တေသန နှစ်များ အတွက် မြေဆိပ်တေသန ပြည်တေသန နှစ်များ အတွက် မြေဆိပ်တေသန ပြည်တေသန နှစ်များ ဖြစ်ပါသည်။

ხედავად ჯარების გაყვანისა, კვლავაც აკონტროლებს.

ღაზაში უსაფრთხო ადგილი, ფაქტობრივად, აღარ არსებობს. ქალაქები ათიათასობით დევნილითაა საგსე. უსახლკაროდ დარჩენილი 2000-მდე პალესტინელი ბერძნულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ შეიფარა, რამდენიმე ათასი ბავშვი კი გაერთიანებული ერების სკოლაში განათავსეს, რომელიც ქალაქ ბერძ-ჰენინგი ერთადერთი უსაფრთხო ადგილი იყო. თუმცა, იმ პერიოდში, როდესაც აშშ-ს სახელმწიფო მდივანი, ჯონ ქერი რეგიონში ვიზიტისას მხარეების ცეცხლის შეწყვეტაზე დათანხმებას ცდილობდა, ისრაელის ჯარმა სკოლაზე საპარერო იერიში მიიტანა, რის შედეგადაც 16 ადამიანი დაიღუპა. რამდენიმე დღეში ისრაელის ავიაციის სამიზნედ გაეროს კიდევ ერთი სკოლა იქცა. ქალაქ ჯაბალიაში თავდასხმას 20-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა.

„არაფერია იმაზე დიდი სირცევილი, ვიდრო მძინარე ბავშვებზე თავდასხმა“, – ამ სიტყვებით შეაფასა გაეროს გენერალურმა მდივანმა ბან კი-მუნმა ისრაელის ავიაციის იერიში სკოლებზე.

ისრაელი-პალესტინის კონფლიქტი დიდი ხანია გასცდა მინისთვის ბრძოლას. ის უფრო გლობალურ და საშიშ ფაზაში შევიდა, რომელსაც მსხვერპლად ბავშვებს სწირავენ. ეს კონფლიქტიც, ისევე როგორც ინტიფადას, იმავე ქვების ომის მორიგი ტალღა, სწირად მოზარდების სიკვდილს მოჰყვა. თვენახევრის წინ სამი ისრაელელი ბიჭი ტყეში ნაწარები იპოვეს, რის შემდეგაც რამდენიმე პალესტინელი აქტივისტი დააკავეს, ისრაელის პრემიერ-მინისტრმა კი პალესტინელების მისამართით მუქარის შემცველი განცხადება გააკეთა. რამდენიმე დღის შემდეგ არაბი მოზარდი გაუჩინარდა, რომელსაც ტყეში ცოცხლად დამარხულს მიაგნეს. პალესტინის პრეზიდენტმა, მაჟმუდ აბასმა, მომხდარში ისრაელი დადანაშაულა და განაცხადა, რომ ებრაელები პალესტინელ ბავშვებს აწამებენ და ცოცხლად მარხავენ. ეს საზარელი მეცნიერებები რეალურად ომის დაწყების მიზეზი გახდა და იერუსალიმში საშიში გრაფიტები გამოჩნდა: „დახოცეთ არაბები!“

მტკიცება იმისა, რომ იერუსალიმში მცხოვრები არაბები დისკრიმინაციის მსხვერპლი არიან, უსამართლო იქნებოდა. ისრაელში საკუთარი მოქალაქეების უფლებები ერთ-ერთი მთავარი ღირებულებაა, ამიტომაც იერუსალიმი არაბებისა და ისრაელელებისათვის ერთნაირად მშობლიური ქალაქია. თუმცა ამ გრაფიტებმა და ისრაელის მთავრობის სპეციოპერაციამ ღაზის სექტორში, შესაძლოა, ეს ურთიერთობები სამუდამოდ გაანადგუროს.

## შვილების ბლოკადა – ცხოვრება მილიონების გადარღვევი

2010 წელს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, დევიდ ქემერონმა, თურქეთში ვიზიტისას ღაზის სექტორის ბლოკადაზე საუბარს დიდი დრო დაუთმო და პალესტინელების მდგომარეობა მსჯავრდებულების ყოფას შეადარა.

„ვითარება ღაზის სექტორში უნდა შეიცვალოს. ადგილობრივ მოსახლეობას ჰუმანიტარული დახმარება ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე უნდა მიეწოდებოდეს. მსოფლიომ არ უნდა დაუშვას, რომ ღაზის სექტორი საპყრობილება დარჩეს“, – განაცხადა ქემერონმა.

ღაზაში მიღიონ შვიდასი ათასი პალესტინელი უკვე შეიდი წელია, გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს. ცივილიზებული სამყაროსგან იზოლირებულებს, ხმირად ელექტროენერგიის გარეშე უწევთ ცხოვრება. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა საცხოვრებელ კორპუსს საკუთარი გენერატორი აქვს, საწვავი ღაზაში იმდენად ძვირია, რომ მოსახლეობა კვირების განმავლობაში საღამოებს სანთლის შექმნების ატარებს. ჯანდაცვის პრობლემა, საკვებისა და სასმელი წყლის დეფიციტი და ანტისანიტარია დიდი ხანია პალესტინელთა ქალაქებში შემზარვ ყოველდღიურობად იქცა.

ორი რამ, რითაც ღაზაში გამომწყვდეულ პალესტინელებს თავის გადარჩენა შეუძლიათ, ბუფერულ ზონაში მოქცეული სახანა-სათესი მიწები და ხმელთაშუა ზღვაა, რომელიც ღაზის სექტორს დასავლეთიდან ესაზღვრება. თუმცა, ღაზელებისათვის ესეც კიდევ ერთი თვალსატეხია. ისრაელის მთავრობის გადაწყვეტილებით, მათ ზღვაში თევზჭრა

ეკრძალებათ. გაეროს კვლევების თანახმად, რომ არა ეს შეზღუდვა, ღაზაში უმუშევრობისა და საკვები პროდუქტის დეფიციტის პრობლემა ნაწილობრივ გადაიქრებოდა. სახანა-სათეს მიწებზე კი, რომელიც ისრაელის მიერ აღიარებულ ბუფერულ ზონაშია მოქცეული და ღაზის სექტორს ესაზღვრება, პალესტინელებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა ეკრძალებათ.

ბლოკადა ღაზის სექტორში ისრაელისა და ეგვიპტის მთავრობებმა 2007 წელს გამოაცხადეს. ეს იყო უმაცრესი გზავნილი ჰამასისათვის, რომელმაც არჩევნებში გამარჯვებიდან რამდენიმე თვეში ისრაელის წინააღმდეგ საპარო იერიში დაიწყო. მაშინ ისრაელის ორი მოქალაქე დაიღუპა, ასზე მეტი კი დაშვდა.

დღეს ჰამასის ლიდერის, ხალქდ მაშაალის, მთავარი მოთხოვნა ცეცხლის შეწყვეტის სანაცვლოდ ღაზის ბლოკადის დასრულება და რაგაბში საკონტროლო-გამშვები პუნქტის გახსნაა, თუმცა ისრაელის მთავრობა პოზიციას არ იცვლის – ანტიტერორისტული სპეციოპერაცია მხოლოდ ჰამასის მიწისქვეშა გვირაბების განადგურების შემდეგ დასრულდება.

## მინა, რომელიც არ იყოფა

„საუკუნეების განმავლობაში მთელი მსოფლიო და განსაკუთრებით ქრისტიანული სამყარო, რომის იმპერიის მიერ დაწყებული პროპაგანდის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ისრაელის მიწას პალესტინას უწოდებდით. ეს ტერმინი რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის 135 წელს დაამკიდრეს, როდესაც ებრაელები საკუთარი ტერიტორიის გადაწყვეტილებით, მათ კი სიტყვები თეოლოგ თომას მაკელას ეკუთვნის.

მართლაც, ისრაელის მხარდამჭერებს სიტყვა პალესტინა ერთგვარი მითიური სახელწოდება ჰგვნიათ, მათ კი, ვინც ებრაელებს პალესტინის ოკუპანტებად განიხილავენ, პერეც-ისრაელის გაგონება არ სურთ.

გაუთავებელი კამათი, თუ ვის ეუთვნის მიწა, თითქმის საუკუნეა გრძელდება, რასაც სისხლისლვრისა და აურაცხელი მსხვერპლის გარდა, არაფე-



რი მოპყოლია. 1929 წელს გოდების კედელთან მისასვლელ გზებზე კონტროლის მოპოვების მიზნით გაჩაღებულ კონფლიქტს 200-ზე მეტი ეპრაელი და პალესტინელი შეენირა, თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისი აღმოჩნდა. 1947 წლის 29 ნოემბერს გაეროს მიერ მიღებულ რეზოლუციას, აღნიშნულ ტერიტორიაზე ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს დაარსების შესახებ, ძალადობისთვის წერტილი უნდა დაესვა, თუმცა ეს შეუძლებელი პროცესად იქცა. ვერც ოსლოს მოლაპარაკებმა (1993 წელს ხელი მოეწერა პალესტინელების თვითმმართველობის პრინციპების შესახებ დეკლარაციას), ვერც კემპ-დევიდის შეთანხმებამ და ვერც მაჰმუდ აბასის ამაო დაპირებბმა, პალესტინელთა მშვიდობიან ცხოვრებაზე, კონფლიქტს წერტილი ვერ დაუსვა. მთელი მსოფლიოსთვის ავის მომასწავებელი რეალობაა, რომ ისრაელელებსა და პალესტინელებს საერთო მინაზე ერთად ცხოვრება არ სურთ.

ისრაელი-პალესტინის კონფლიქტი ამ ეპოქას გასულმა საუკუნემ უმძიმეს მე-

■ მილიონ-ნახევარი პალესტინელით დასახლებულ დაზის სექტორში, სადაც მოსახლეობის 40% თხუთმეტ წლამდე მოზარდია, ჰამასის მებრძოლები იარაღს სკოლების, მეჩეთებისა და საცხოვრებელი კორპუსების ქვეშ გაყვანილ გვირაბებში ინახავენ. ამ ინფორმაციას ისრაელის პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაცია საომარი მოქმედებების დაწყების დღიდანვე ავრცელებს და ამბობს, რომ სპეცოპერაცია მაშინ დასრულდება, როდესაც ყველა მიწისქვეშა გვირაბი განადგურდება. განცხადებაში წერია, ჰამასის მოქალაქეები - ცოცხალ ფარად, სკოლები, საავადმყოფოები და მეჩეთები კი ისრაელის გასანადგურებლად სჭირდება.

მკვიდრეობად დაუტოვა. თუმცა დღეს ძალთა ბალანსი იმდენად დარღვეულია, რომ შესანიშნავად ჩანს, თუ ვის ეკუთვნის ეს მინა. გარდა ამისა, როდესაც მსოფლიოს ერთ-ერთი ძლევამოსილი სახელმწიფოს მთავრობა პალესტინელ ბავშვებს ადრეული ასაკიდან ცხედრებსა და ჭურვებს აჩვევს, ძნელია, მათ სკოლის მერხიდანვე იარაღის ხელში აღებასა და ისრაელის, როგორც დამპყრობლის, წინააღმდეგ ბრძოლაზე არ

იფიქრონ. სამწუხაროდ, მათ ცნობიერებაში ყველა ისრაელელი მტკრია. ამიტომაც ჰამასისა და სხვა პალესტინური ექსტრემისტული დაჯგუფებების შექმნაში ისრაელის მთავრობამ საკუთარი წვლილი შეიტანა. ყველაზე შემზარავი კი ის არის, რომ პალესტინელები ჰამასმა და ისრაელის მთავრობამ ერთდროულად განირია, რის გამოც ქალებსა და ბავშვებს გადარჩენისათვის ბრძოლა მარტივდმარტო უნივერ. □

# ԲՈՅՋԵՆԱԿԱՆ "ՄԱՍԳԻՆ ԹՈՎԱՆԵՐ"

ირაკლი აბსანძე

- იცით ბოლოს როდის შეიცვალა აფხაზე-  
თის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი  
საბჭოს შემადგენლობა?

- წარმოდგენა არ მაქვს. არ ვიცი და არც  
მინდა მქონდეს შეხება.

- აფხაზეთის მთავრობის რომელიმე მინის-  
ტრის გვარი ხომ არ გახსენდება?

= 56

ტარიელი შუახინის ასაკს გადაცილებული, ჩაფიქვნილი მამაკაცია. გარუჯულ, ძლიერ ხელებზე მძიმე შრომის კვალი ეტყობა. მას „ლიბერალი“ თბილისში, დევნილების კომპაქტურად ჩასახობის ერთ-ერთ ჭურჭელში შეხვდა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის  
ბოლო პოლიტიკური ვარსკვლავი თამაზ  
ნადარეიშვილი იყო. მას დევნილებიც იც-  
ნობდნენ და სხვებიც. ტარიელს და მის მე-  
ზობლებსაც, ავტონომიური რესპუბლიკის  
თანამდებობის პირებიდან მხოლოდ ის ახსენ-  
დებათ, თუმცა ისაც იციან, რომ თამაზ ნადა-  
რეიშვილი 10 წლის ნინ, 2004 წლის აგვისტო-  
ში გარდაიკვალა.

ახლა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვახტანგ ყოლბაიაა. ის, შესაძლოა, ნინო ბურჯანაძის თანაპარტიილობიდან გახსოვთ. საკუნონმდებლო ორგანოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს კი გია გვაზავა ხელმძღვანელობს.

აფხაზეთის ლეგიტიმური პარლამენტის  
შემადგენლობა უკვე 22 წელია არ შეცვლი-  
ლა. ეს ის ორგანოა, რომლის არჩევნები ჯერ  
კიდევ ქართული ოურისძიეცვის ქვეშ მყოფ  
აფხაზეთში გაიმართა. 1992 წელს დეპუტატე-  
ბმა სოხუმი იძულებით დატოვეს. 23 ადამიანი  
დაუკავშირდეს.

საქართველოს პარლამენტის დადგენილების მიხედვით, აფხაზეთში დაბრუნებამდე და არჩევნების ჩატარებამდე მუშაობა იმ საბჭოო უნდა გააგრძელოს, რომელიც არ იყო სეპარატისტებთან შეკრული. ანუ, დეპუტატებს, სავარაუდოდ, თუ მსოფლიოს პოლიტიკურ კონიუნქტურას გავითვალისწინებთ, უფლებამოსილება სიცოცხლის ბოლომდე შეუნარჩუნდებათ.

ციალა შუქნიშანთან ხილს ჰყიდის. კითხვა-ზე, მიუმართავს თუ არა მას ან უმაღლესი საბჭოსთვის, ან მთავრობისთვის, მოქრიოლად გვპასუხობს:

- არა, არასოდეს. საერთოდ არსებობს აფხაზეთის მთავრობა? რატომ მივმართო აფხაზეთის მთავრობას, როდესაც მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ? თანხას არ გვიხდიან, განკუადებაზე პასუხს არ გვიყვარენ...

22 წლის წინ არჩეულმა დეპუტატებმა და  
საბჭოს აპარატის თანამშრომლებმა, რომელ-  
თა რაოდენობა, დოკუმენტის მიხედვით 75-  
ია, 2013 წელს სახელფასოდ 1699770 ლარი  
დახარჯეს. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომა-  
რის წლიური ხელფასი 42980 ლარს შეადგინს.

აფხაზეთის ლეგიტიმური პრემიერმანის-  
ტრი, ანუ ავტონომიური რესპუბლიკის მი-  
ნისტრთა საბჭოს თავმჯდომარე წლიურად  
42333 ლარს იღებს.

მთლიანად, საბჭოსა და მთავრობაში შრო-  
მის ანაზღაურებაზე 2013 წელს 8511083  
ლარი დაიხსრუვა. 2014 წლის ბიუჯეტში  
7867550 ლარია გათვალისწინებული.

უმაღლესი საბჭოს პარატის უფროსმა რევოლუციურ გენერალადამ „ლიბერალს“ უთხრა, რომ უკადო მანდატის მქონე დეპუტატები მინისტრებსაც უკადოდ ამტკიცებენ.

„მინისტრის არჩევა უვალოა, ზოგი 1993 წლიდან მუშაობს ამ თანამდებობაზე.“ - აცხადებს ის.

2014 წლის ბიუჯეტში დევნილების სოციალური დახმარებისთვისაცაა თანხა გამოყოფილი. დოკუმენტში კვითხეულობთ, რომ პროგრამაზე დევნილთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობის გაუმჯობესებას ითვალისწინებს. წელიწადში ერთხელ 100-ლარიანი დახმარება შეიცვალობის შესაძლებლობის მქონება.

გია ახალგაზრდა მამაკაცია. „ლიბერალის“ კითხვებს საკმაოდ გაღიზიანებული ჰპასუხობს:

- არ მიგვიღია აფხაზეთის მთავრობისგან  
დაფინანსება.

- თქვენ, როგორც მრავალშვილიანი იჯახები, უნდა იღებდეთ აფხაზეთის მთავრობის-გან 100-ოარიან წლიურ დახმარობას.

- ეს თანხა 2 წლის წინ ავიღეთ.
  - განცხადება წელს არ დაგინერიათ?
  - არა, წელს არ დაგვინერია.
  - თუ არ მოითხოვთ, დახმარებას ხომ ვერ მოგცემენ?

- ეს სისულეება, შენ სტატია ჯობს დაწერე  
იმაზე, რომ სიღარიბეზეა მიბმული მრავალ-  
შვილიანობა. მე მყავს შვიდი შვილი და ვარ  
სიღარიბის ზღვარს მიღმა. ეს სტატუსი რომ  
არ მქონდეს, მრავალშვილანი არ ვიქწები. მე  
მყავდა ჩემს სახელზე გაფორმებული მანქა-  
ნა. როგორც კი დათვიქსირდა, რომ მანქანა  
ვიყიდე, მომიხსნეს სოციალური სტატუსი და  
ამასთან ერთად მრავალშვილიანის სტატუ-  
სიც მომიხსნეს. რა შუაშია ერთმანეთთან? არ  
არსებობს არგუმენტი. უნდა დაწერო რაც  
არის რეალური სატკივარი. გუშინ მოვიდა  
ეს მთავრობა. ეს დააპრალებს ძველ ხელი-  
სუფლებას. მთლიანად შეიცვალა დევნილთა  
სამინისტრო. ეს მთავრობა გადაიბარებს და  
დაიწყება თავიდან რეგისტრაცია. მერე ეს  
მთავრობაც წავა და ჩაკატიონი წრაა. (202)

- თქვენ აფხაზეთის მთავრობისგან დაშმარების მიღებას არ აპირებთ? რეალურად იქ ამჟამოთავა კომისარის მიერ დაწერილია.

— ଯାଏ ତୁ କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

- ყოფილა შემთხვევები, როდესაც მისულხართ და თანხა არ მოუკიათ?

- კი, 2 წლის ნინ მითხრებს, რომ პროგრამა გადავსებულია და მას შემდეგ არ დამიწერია

განცხადება. მივდიოდი ხოლმე, ვწერდი განცხადებებს და 7-8 თვეში მაძლევდნენ ფულს, როგორ რიგი მომინჯადა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის  
სამთავრობო სტრუქტურების ასეთი ჩრდი-  
ლოვანი, უხილავი შირმის მიღმა არსებო-  
ბა საკითხისადმი ქართული საზოგადოების  
დამოკიდებულების გამოძახილია. „2 ბილე-  
თი სოხუმამდე“, ან „გახსოვდეს აფხაზეთი“  
პოზაა, რომლის იქთაც გულგრილობასა და  
ნიჰილიზმის წარმოქმნათ.

სახელმწიფოს არც ადრე და არც ახლა  
არ ჰქონია მწყობრი, თითოეულ დევნილზე  
ორიენტირებული ხედვა. უფრო მეტიც, მათ  
რაღაცის დამატეკიცებლად, სახელმწიფოთა-  
შორის ურთიერთობებში არგუმენტად, ანუ  
მომხმარებლურად აღიქვამენ. გზისპირებზე  
ერთნაირ საცხოვრებლებში გადანაწილებუ-  
ლი ოჯახები ხელისუფლებისთვის თვალსაჩი-  
ნოებაა, რომელიც მას სხვადასხვა ქვეყნიდან  
ჩამოსული თანამდებობის პირების, ან სა-  
ქველმოქმედო ფონდების წარმომადგენლე-  
ბის დასარწმუნებლად სტირდება.

სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ  
კომპაქტურად, ხშირად ტრიალ მინდორზე  
ადამიანების დასახლება „ნაციონალური მო-  
ძრაობის“ ხელისუფლების საავტორო გადა-  
წყვეტილებაა. „ოცნების“ ხელისუფლება ამ  
მიღეობას აკრიტიკებდა, მაგრამ შესაცვლე-  
ლად ბეჭრი არათერი გაუკითხება.

პატა ზაქარიელშვილის ლოგიკას თუ მი-  
ვყვებით, როცა სახელმწიფომ თვალი უნდა  
გაუსწოროს ოკუპირებულ ტერიტორიებზე  
არსებულ ვითარებას და მათთან დიალოგის-  
თვის ყოველგვარი ნინაპირობა უნდა მოხს-  
ნას, უფუნქციოდ რჩება ავტონომიის ლეგი-  
ტიმური სტრუქტურები, რომელზეც ზემოთ  
კვერდით.

სატატიაზე მუშაობისას მკაფიოდ დავინა-  
ხეთ, რომ ამ ინერციით არსებული ინსტიტუ-  
ტების გაუქმება დევნილთა თემში ბევრს არა-  
ვის დაწყევეტს გულს (თანამშრომლებს თუ არ  
ჩავთვლით). ეს უფრო პოლიტიკური გადა-  
წყვეტილების საგანია, ვიდრე ფინანსური, ან  
ტექნიკური. ფაქტია, რომ ქართულ სახელ-  
მწიფოს, ამ რეალობაში, სეპარატისტულ რე-  
გიონებთან მიმართებით, ბევრი რამის გადა-  
ფახება მოუხდება. ამის შემდეგ მოგვიწევს  
გადაწყვეტილოთ – ავტონომიური რესპუბლი-  
კის ინსტიტუტები ლეგიტიმურობის მტკერ-  
დადებულ სიმბოლოდ რჩება, თუ მათ ძირეუ-  
ლად გადავხალისებათ. **ც**

■ პროგრამა დენილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგრამარეობის გაუმჯობესებას ითვალისწინებს. წელიწადში ერთხელ 100-ლარიანი დახმარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ობოლი ბავშვების, მარჩენალდაკარგული და მრავალშვილიანი ოჯახების გარდა, 100 წელს გადაცილებულთათვისაცაა გათვალისწინებული.

# ბალები აფხაზები ახრივნების ნინი

გალის, ოჩამჩირის და ტყვარჩელის რაიონის ეთნიკური ქართველების მდგომარეობა, რომელთაგან, როგორც ჩანს, არჩევნებში მონაწილეობის უფლებას მხოლოდ 3-4 ათასი პირი მიიღებს, კვლავ აქტუალურია და არა მხოლოდ ქართული, არამედ აფხაზური საზოგადოების ყურადღების ცენტრში რჩება.

## ქეთი ქანთარია

ზემოთ ნახსენებ სამ რაონში ქართველების პასპორტიზაციის პროცესი, აფხაზური კანონმდებლობის თანახმად, დიდი კანონდარღვევებით მიმდინარეობდა: მას, ვისაც ქართული ან ნებისმიერი სხვა (რუსულის გარდა, რადგან ეს აფხაზების ასე ვთქვათ, საგარეო დოკუმენტია) პასპორტი უკვე ჰქონდა, აფხაზური პასპორტის, ანუ მოქალაქეობის მიღების უფლება არ გააჩნდა. საქართველოში მცდარად მიიჩნევნ, რომ ვინც ამ კანონის დაცვას და დარღვევის შედეგების გამოსწორებას მოითხოვს, ავტომატურად ქართველების გასახლების წინააღმდეგია. ასეთი პირებისთვის აფხაზების უმტესობა აფხაზეთში ცხოვრების/სახლობის უფლების გაცემას ემხრობა, რომელიც გარკვეული საკანონმდებლო პროცესის შემდეგ პიროვნების კერძო / უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ყველა მანიპულაციის საშუალებას მისცემს.

გალელებმა, სხვა ქართველებისაგან განსხვავებით, აფხაზეთის ტერიტორიაზე უშუალოდ ომის შემდეგ დაინტეს დაბრუნება. ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა: გალელებს თითქმის არ უომიათ; გალი ქართველებით კომპაქტურად დასახლებული, გარდა ამისა, ისტორიულად კვალდაკვალ, ქრისტიან ქართველებთან ბუნებრივად ასიმილირდა.

თავად აფხაზებივე წერენ და აღიარებენ, რომ გალელების მიმართ ყველა ხელისუფლებას „ულამაზოდ“ პრაგამატული დამოკიდებულება აქვს. 1994 წლიდან მოყოლებული, ისინა ყველა არჩევნებში იღებენ მოვაყილო, თუმცა, გავრცელებული აზრით, ეს აფხაზების ის სეგმენტია, ვინც ქრისტიანობა მასობრივად შეინარჩუნა და ბიზანტიის დაცემისა და ოსმალეთის მომძლავრების კვალდაკვალ, ქრისტიან ქართველებთან ბუნებრივად ასიმილირდა.

თავად აფხაზებივე წერენ და აღიარებენ, რომ გალელების მიმართ ყველა ხელისუფლებას „ულამაზოდ“ პრაგამატული დამოკიდებულება აქვს. 1994 წლიდან მოყოლებული, ისინა ყველა არჩევნებში იღებენ მონანილებას, და საქართველოს ზოგიერთი, ერთი ეთნიკური ჯგუფის მიერ კომპაქტურად დასახლებული არეალის მსგავსად (მიზეზი ვიცით: სიფრთხილე, რომელიც ეთნიკური უმცირესობების შედარებითი დაუცველობით აიხსნება), გალიც მუდამ არსებულ ხელისუფლებას აძლევს ხმას, ამიტომ ცხადა, რომ მისი მოსახლეობის მიმართ მეტი აგრძესა ოპოზიციურ ძალებს უჩნდებოდათ.

თვლიდა, ქვეყნის იმიჯზე შესაბამისად აისახებოდა და რუსეთის ფედერაცია მანიც მოუხსნიდა ბლოკადას, რომლის დროსაც 12-60 წლის მამაკაცებისათვის რუსეთის საზღვრის გადაკვეთა იკრძალებოდა. (ეს უმძიმესი პერიოდი აფხაზეთს სწორედ ქალებმა გადაატანინა, რომელთაც რუსეთში მუშაობა და ოჯახების რჩენა შეეძლოთ). შესაძლოა, არც ის იყოს უმნიშვნელო ფაქტი, რომ აფხაზების უმეტესობისთვის გალელები აფხაზები არიან, თუმცა გაქართველებული აფხაზები, რომლებიც გალის რაიონიდან მუჰაჯირების გასახლების შემდეგ ადგილობრივ მეგრელებს შეერიგენ და ასიმილირდნენ. ახლა მზად არ ვარ და არცა მნიშვნელოვანი, ამ საკითხის გარჩევას ისტორიული ასევეტებიც მოვაყილო, თუმცა, გავრცელებული აზრით, ეს აფხაზების ის სეგმენტია, ვინც ქრისტიანობა მასობრივად შეინარჩუნა და ბიზანტიის დაცემისა და ოსმალეთის მომძლავრების კვალდაკვალ, ქრისტიან ქართველებთან ბუნებრივად ასიმილირდა.

დაახლოებით ერთ თვის წინ ინტერნეტის აფხაზურ ჯგუფებში ინფორმაცია გაჩნდა, თითქოს პასპორტჩამირთმეული ქართველობა 24 აგვისტოს არჩევნების ჩაშლას აპირებს. თუმცა, თავად ვარ მოწმე, როგორი თავგამოდებით იცავდა გალელებს მომხმარებლების უმეტესობა. თუმცა, იცავდნენ არა პასპორტების ჩართმევის საკითხში, არამედ აგრესისაგან და მუქარებისაგან. ზოგადად, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ გალის მოსახლეობას აფხაზურ საზოგადოებაში არ ჰყავს იმდენად ცოტა ქომაგი, რომ მას რომელიმე პოლიტიკურმა ძალამ საგრძნობი ხიფათის შექმნა გაუხდოს. ზოგადად ითვლება, რომ ანგარიშის ხელისუფლება ქართულ პასპორტებს საკუთარი ძალაუფლების გასამყარებლად და 2016 წლის არჩევნებისთვის საკუთარ მხარდამჭერთა მოსამრავლებლად არიგებდა ასე ადვილად, თუმცა, უკვე ყოფილი ხელისუფლების პოზიციაშიც არაერთგაროვანი დამოკიდებულება იმაღლებოდა.

ამ წლის თებერვალში პროანქაბის-ტური პარტიის, „ამცაბარას“ ლიდერი ერთ-ერთ ინტერვიუში ჩივის, რომ „ეს მეგრელები“ გაგრაში, მაგალითად, ადგილობრივ მკიდრო სამუშაო ადგილებს ართმევენ. „დევნილები ჩვენ მსოფლიო საზოგადოებრიობის ზენოლის გამო დავაბრუნეთ. ეს იძულებითი ზომა იყო. რა თვალსაზრისით? იმისთვის, რომ დანარჩენი დევნილები არ დაგვებრუნებინა სხვა რაიონებში.“ თუმცა, იქვე წერს, რომ გალელები აფხაზების ძირქველი შემცირების მიზეზი ვიცით: სიფრთხილე, რომელიც ეთნიკური უმცირესობების შედარებითი დაუცველობით აიხსნება, გალიც მუდამ არსებულ ხელისუფლებას აძლევს ხმას, ამიტომ ცხადა, რომ მისი მოსახლეობის მიმართ მეტი აგრძესა იგრძესა ოპოზიციურ ძალებს უჩნდებოდათ.

წელს, აპრილში, აფხაზეთის პარლამენტის საკანონმდებლო და აღმასრულებელმა ხელისუფლებამ კონსენსუსს მიაღწიეს და ერთხმად მიიღეს დადგენილება, რომლის თანახმადაც ზემოხსენებულ სამ რაიონში აფხაზური პასორტების გაცემა კანონიერი პროცედურების დარღვევით მოხდა. ამის გამო კი 2015 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევა „აფხაზეთის მოქალაქის ახალი საპასპორტო ბლანკი“, რომელშიც საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირებმა უნდა დაადასტურონ, რომ ქართული პასპორტი აქვთ, ან მასზე უარი აქვთ ნათევამი. ამის მიხედვით გადაწყდება, ვინ გახდება კვლავ მოქალაქე და ვინ მიიღებს აფხაზეთში ცხოვრების / სახლობის ოურიღულ უფლებას. რასაც თავის მხრივ, განსაზღვრავს სამუშაო პროცესში მყოფი კანონი „უცხოეთის მოქალაქეთა უფლებრივი მდგრმარეობის შესახებ“.

იმას, რომ გალელები ეთნიკური აფხაზები არიან, ჩემი დაკონკრეტით, უნიდელი ანტანქვაბისტური ოპოზიციის ნარმომადგენლებიც იზიარებენ. წლების განმავლობში იყო მცდელობები, რომ ისინი

„ძირებისკენ“ დაბრუნებასა და ხელახლა გააფხაზებაში დაერჩმნებინათ, ან ქართველებად კი არა, საკუთრივ მეგრელებად გამოეცხადებინათ და „მტრული სახელმწიფოს“ კულტურისაგან ასეთნაორად ჩამოეშორებინათ.

ამავე დროს, ქართული სახელმწიფოს მხრიდან მუდმივად იყო მცდელობები, ყველანირად შეეძლათ ხელი გალელების ინტეგრაციისათვის აფხაზურ საზოგადოებაში. ნინა ხელისუფლების პოლიტიკა ამ თვალსაზრისით ჩვენი, ქართველების და აფხაზების ურთიერთობა კონფლიქტის ამ ფაზაზე არ დასრულდება. ზოგადად, კონფლიქტითაც არ დასრულდება, რადგან ყველაფერს, ომებსაც კი, აქვს დასაწყისი და დასასრული, და თუ როგორი იქნება ფინალური სურათი, ამის გადაწყვეტაში ქართული მხარე, პასურ როლს არ უნდა დასჯერდეს.

სრულიად აშერაა, რომ არც აფხა-

ზური მხარის დამოკიდებულებაა გალელების საკითხის მიმართ პროაქტური. ორივე მხარე იმ ვითარებაზე რეაგირებს, რომელიც მოცემულ ეტაპზე არსებობს ჩვენს შორის. ყოველი ნაბიჯი, რომელიც მტრული სახელმწიფოს სახის გასაბათოლებლად გადადგმება, თავისთავად აისახება გალელების ბედზე აფხაზეთში.

ორივე მხრიდან ნიჭირერად ნათამაშევი ხანგრძლივი პარტიის შედეგად, გალის მოსახლეობას, რომელიც ორივე მხარისგან დავიწყებული, ხშირად გამოყენებული – ორი კავკასიური კულტურის „შვილია“, შეიძლება უპირატესობადაც ექცეს. ალბათ არა მთლად შესაფერისი მაგალითი, მაგრამ საბოლოო შედეგის

ლება ჩვენ, ქართულ ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრებმა ადამიანებმა ვერ ვიგრძნოთ, მაგრამ თითოეული გალელის კისერზე გადაივლის. მინდოდა, უფრო რადგივალურ მიდგომებზეც მესატრა, მაგრამ აშკარაა, რომ არც ქართული მხარეა ამ ეტაპზე შზად იმისათვის, რომ აზროვნების რევოლუციური თუ არა, ევოლუციური გაუმჯობესების დემონსტრირება მოახდინოს. საქმე ადამიანების ბედს ეხება და არც ერთი მხარის გალიზიანება არ იქნება სწორი. ოღონდ გვახსოვდეს, რომ ჩვენ, ქართველებს და აფხაზებს შუაში გვყეს ხალხი, რომელიც შეიძლება ახლო მომავალში განხეთქილების ფაქტორად კი არა, გამართოსანებელ ხიდად იქცნენ. არ ვიცი, რამდენ გალელს აქვს გააფხაზების სურვილი, მაგრამ ცხადია – ეს ადამიანები აღიარებულ თუ ულიარებელ – აფხაზეთში ცხოვრობენ და დღევანდელ ურთიერეს ვითარებაში, როცა აფხაზებს ცალკე დემოგრაფიული პრობლემა უდგათ მძაფრად და ცალკე რუსეთთან მწარე და სახიფათო პარტნიორის (2013 წელს აფხაზეთის მოსახლეობის 59% მის დამოკიდებლობას უჭირდა მხარს, 28% – რუსეთის შემადგენლობაში შესვლას, ეთიკური ჯგუფების მიხედვით კი ასეთი სურათი იყო: პრორუსული ორიენტაციის იყო ადგილობრივი რუსების 46%, აბაზების (აფხაზების ახლო მონათესავე ხალხი) -50%, სომხების 46%, ქართველების 23% და აფხაზების 18% – რაც იმას ნიშნავს, რომ რუსეთთან სახიფათოდ „დაახლოებაა-სოცირებასთან“ შენინააღმდეგებისას აფხაზებს სწორედ ქართველები შეიძლება გამოადგნენ მოკავშირეებად). ეს მათ ძალიან ფრთხილი და ფხზიზელი მოქმედებების, ერთგვარად დანის პირზე სიარულის აუცილებლობას უქმნით; გალელებს თვით ქართულმა მხარემ უნდა შეუწყოს ხელი, ითამაშო „აფხაზური თამაში“, გახდნენ საკუთრივ აფხაზების ყველაზე ახლო თანამოაზრები, ყველა შესაძლო ხერხით გამოიყენონ საკუთარი გავლენა და შეუშალონ ხელი რუსეთის მხრიდან მათი „გადაბირების“ შესაძლო მცდელობებს. გ



მიხედვით შევხედოთ – ჩვენი ქისტები ქართული და ჩერჩიურ-ინგუმური კულტურის გადაკეთაზე დგანან – ჩვენ, ორივე მხარეს გვიყვარს და ჩვენიანებად მიგვჩინა ისნი, ვაინახებსაც და ქართველებსაც. ქართულ სახელმწიფოს მათზე უფრო ერთგული, მონადინებული და სამსახურისთვის მუდმივად მზადმყოფი მოქალაქეებით ასეთი კომპაქტურად დასახლებული სხვა არეალი, შესაძლოა, არც გაჩინია.

გალელების მიმართ ქართული პოლიტიკის დეპოლიტიზაცია, მათი ადამიანური ღირსების და უფლებების აღიარება პირველ რიგში ქართულ მხარეს მოეთხოვება. ამის მაგალითი აფხაზებს სწორედ მან უნდა მისცეს. საპირისპირო პოლიტიკა „მეხუთე კოლონად“ მათი ქცევის სურვილი, როგორც ეს ერთ ქართველ წამყვანს წამოსცდა. ორივე პოლიტიკა შესაბამის შედეგებს მოიტანს. ეს შეიძლება ჩვენი ქართული აფხაზების მიმართ გადაბირების შესაძლო მცდელობებს. გ

ხედით კი ასეთი სურათი იყო: პრორუსული ორიენტაციის იყო ადგილობრივი რუსების 46%, აბაზების (აფხაზების ახლო მონათესავე ხალხი) -50%, სომხების 46%, ქართველების 23% და აფხაზების 18% – რაც იმას ნიშნავს, რომ რუსეთთან სახიფათოდ „დაახლოებაა-სოცირებასთან“ შენინააღმდეგებისას აფხაზებს სწორედ ქართველები შეიძლება გამოადგნენ მოკავშირეებად). ეს მათ ძალიან ფრთხილი და ფხზიზელი მოქმედებების, ერთგვარად დანის პირზე სიარულის აუცილებლობას უქმნით; გალელებს თვით ქართულმა მხარემ უნდა შეუწყოს ხელი, ითამაშო „აფხაზური თამაში“, გახდნენ საკუთრივ აფხაზების ყველაზე ახლო თანამოაზრები, ყველა შესაძლო ხერხით გამოიყენონ საკუთარი გავლენა და შეუშალონ ხელი რუსეთის მხრიდან მათი „გადაბირების“ შესაძლო მცდელობებს. გ



## "აგვისტოს ოთა ბაზისაბით ეს ახალიანაბით აღმიანები ტებალიაში დაგვისავა"

ინტერვიუ ფსიქოლოგ ჯანა ჯავახიშვილთან



წაგებული ომის სინდრომი, სამხედრო კონფლიქტების შედეგად გამოწვეული, ერთი შეხედვით შეუმჩნეველი ფსიქოლოგიური ტრავმები, ადამიანთა პირადი ტრაგედიები, დევნილობის წლები და მისი თანმდევი პრობლემები, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, ცხოვრება ომამდე და ომის შემდეგ, ამ საკითხებზე „ლიბერალი“ ფსიქოლოგ ჯანა ჯავახიშვილს ესაუბრა.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომიდან 6 წელი სრულდება. როგორც ამ ომში, ასევე დამოუკიდებლობის მოპოვებიდან გამოვლილ სხვა შეიარაღებულ კონფლიქტებში ქართული მხარე დამარცხებული გამოვიდა. როგორ ფიქრობთ, რა გავლენა მოახდინა ამან ქართულ საზოგადოებაზე? რა არის სამხედრო კონფლიქტის ის პრობლემური ფსიქოლოგიური ასპექტები, რაც შესაძლოა უმნიშვნელო ჩანდეს, თუმცა სერიოზულ ეფექტს იწვევს საზოგადობის ცნობიერებაში?

სამხედრო კონფლიქტი ადამიანურ ტრაგედიებთან არის დაკავშირებული. მაშინ როცა ის ხდება, ხალხი მეტ-ნაკლებად ერთ მუჭად იყვრება, ცდილობს შექმნილ რთულ ვითარებასთან გამკლავებას, დაღუპულებსა და გმირებს ორდენებს ურიგებენ. ერთი ოჯახის დანაკლისი და ჭირი თითქოს მთელი ქვეყნისა და საზოგადოების ტრაგედიაა.

მაგრამ გადის დრო, ე.ნ. „ჰეროიული პერიოდი“ და გმირი აღმოჩენს რომ მშვიდობიან ცხოვერებაში „ვერ ენერება“, შესაძლოა პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობიდან გამომდინარე ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებიც აწესდეს; ის მსხვერპლი, რაც მან ომის დროს გაიღო და იმ პერიოდში დაფასებული იყო, მას საკუთარი ჯანმრთელობის (ფიზიკურის, ძალიან ხშირად – ფსიქიკურის) ფასად დაუჯდა, რაც მშვიდობის პერიოდში ცხოვრების ანყობაში არა თუ ეხმარება, არამედ ხელს უშლის და მარგინალიზაციისკენ უბიძებს.

ოჯახი, რომელმაც წევრი დაკარგა, ომის შემდგომ თავის პირად ტკივილთან პირისპირ რჩება. როგორი კომპენსაციაც არ უნდა გადაუხადოს სახელმწიფო ამ ადამიანებს, ოჯახებს (და კომპენსაცია, ჩვენს შემთხვევაში, საკმაოდ მოკრძალებული იყო), ეს ვერ ანაზღაურებს განწეულ დანაკლისს. ეს ადამიანური ტრაგედიები, ომის შემდგომ პერიოდში, ფაქტობრივად, საზოგადოებისათვის შეუმჩნეველია.

ადამიანმა, ოჯახმა, საზოგადოებამ

თუ არ გამოიგლოვა მისი დანაკლისი, ეს მდგომარეობა შესაძლოა მუდმივ გლოვაში გადაიზარდოს. ჩვენი პოსტ-აგვისტოს ომის სიტუაცია ნაკლებად იძლეოდა ამის შესაძლებლობას – გლოვის ნაცვლად ზეიმი გაიმართა, ხელისუფლებამ „მოგების“ რეალობის კონსტრუირებას მიჰყო ხელი, რაც მოსახლეობის დიდმა ნანილმაც გაიზიარა – ფაქტობრივად, იზეიმა და ვერ გამოიგლოვა ვერც ადამიანური, ვერც ტერიტორიული

### ■ მაგრამ გადის დრო, ე.ნ.

**„ჰეროიული პერიოდი“  
და გმირი აღმოჩენს რომ  
მშვიდობიან ცხოვრებაში  
„ვერ ენერება“, შესაძლოა  
პოსტ-ტრავმული სტრესული  
აშლილობიდან გამომდინარე  
ფსიქიკური ჯანმრთელობის  
პრობლემებიც აწესდეს;  
ის მსხვერპლი, რაც მან ომის  
დროს გაიღო და იმ პერიოდში  
დაფასებული იყო, მას  
საკუთარი ჯანმრთელობის  
(ფიზიკურის, ძალიან ხშირად  
– ფსიქიკურის) ფასად  
დაუჯდა, რაც მშვიდობის  
პერიოდში ცხოვრების  
ანყობაში არა თუ ეხმარება,  
არამედ ხელს უშლის და  
მარგინალიზაციისკენ  
უბიძებს.**

დანაკლისი. ასეთი პროცესები არც ინდივიდის, არც საზოგადოებრივ დონეზე ხელს არ უნდობს რეალობაში დაბრუნებასა და ომის შემდგომ რეაბილიტაციას, ისევე, როგორც საზოგადოების იმ წევრების დახმარებას, ვინც ომისგან ყველაზე მეტად

დაზარალდა – მაგალითად, დევნილი მოსახლეობა.

2008 წლის ომის ტრავმასთან გამკლავებას არც უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ე.ნ. „ურთიერთობის დათბობის“ პოლიტიკურმა კურსმა შეუწყო ხელი, რამდენადაც ჩვენი ქვეყნის საზოგადოებაში ფასეულობით და კოგნიტურ აღრევას უწყობდა ხელს. გავიხსენოთ, თუნდაც, ოლიმპიადაში მონაწილეობა, კრემლში ქართული სახელმწიფო ანსამბლის გამოსვლა, და ა.შ. ფასეულობით და კოგნიტურ აღრევას ინვეცია, ასევე, საზოგადოებაზე დიდი გავლენის მქონე რელიგიური ინსტიტუტის მიერ საბჭოთა წარსულს ჩაბარებული დისკრიმინაციული დისკურსის „რუსეთი – უფროსი ძმა, საქართველო – უმცროსი“ რეანიმაცია.

ფსიქოტრავმატოლოგიური მეცნიერების თანახმად, იმისათვის, რომ დანაკლისი გამოიგლოვოს, ადამიანმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა ახსნას ის, რაც მოხდა (რელიგიურ, ეგზისტენციალურ, გნებავთ პოლიტიკურ თუ სხვა კონცეპტუალურ ჩარჩოში). ჩვენს შემთხვევაში, თუ გავიხსენებთ იმ აბსურდის რეალობას, რაც ომს მოჰყვა, და ასევე იმ აბსურდის განცდას, რაც ზემოთ აღნერილ „დაბობას“ ახლავს თან – მივევდებით, რომ დანაკლისის ახსნა და არსებულ შეკითხვებზე პასუხების მოძიება პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა.

მეორე ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი, რაც სამეცნიერო მტკიცებულების თანახმად, დანაკლისის ტრავმის დაძლევას ეხმარება, მძიმე, მტკიცენეული გამოცდილებისათვის საზრისის მინიჭებაა. ეს კი ძალიან რთულია ნაგებული ომის შემთხვევაში, რომლისთვისაც ისაა დამახასიათებელი, რომ მსხვერპლი უაზროდ გავიღეთ; ეს კი დანაკლისის გამოგლოვებას, ცხოვრებისკენ დაბრუნებას ბევრად უფრო რთულს ხდის.

რომ შევაჯამოთ, ყველაზე პრაბლემური, რაც აგვისტოს ომმა დაგვიტოვა – ეს გაუზიარებელი და არ-აღიარებული ადამიანური ტრა-

გედიები, ასევე გამოუგლოვებელი დანაკლისია, რომელმაც საზოგა-დოების შიგნით კიდევ უფრო მეტი ფრაგმენტაცია მოიტანა, ვიდრე იყო, თანდართული ე.წ. გამნარების განცდით.

გამნარება უკანასკნელ წლებში ფინანსურული მეცნიერების ერთეულთი საკანონო ცნება გახდა. გამნარება (ემპიტერმენტ) ახასიათებს ადამიანს, რომელიც დაექვემდებარა თუ ექვემდებარება მატრავმირებელი სტრესორების ზეგავლენას, ვერ გამოიგლოვა თავისი დანაკლისი და ნეგატიური ემოციებით არის მოცული. ამგვარი მდგომარეობა არ არის უცხო ჩვენს საზოგადოებაში. თუმცა, ეს მხოლოდ უკანასკნელი ომის შედეგი არაა – ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ეს ფენომენი გასული საუკუნიდან მოყოლებული გრძელდება – მტკიცნეული პოლიტიკური გამოცდილებით გამოწვეულ ტრავებს ვერ ვუმკლავდებით, ვჩერა მაღავთ.

ამგვარი ტრავების გამკლავებას საზოგადოების დონეზე ინსტიტუციური მიდგომა ესაჭიროება – მაგალითად, საბჭოთა პერიოდის მერე ლუსტრაციის ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა-განხორციელება იყო საჭირო, 2012 წელს ხელი-სუფლების ცვლილების შემდგომ – აღდგენითი სამართლის მიდგომის გამოყენება. არც ერთი არ განხორციელდა, სამწუხაროდ. ჯეროვნად ვერ ვაფასებთ სოციალური სამართლიანობის აღდგენის ინსტიტუციურ მექანიზმებს. ამიტომ, სოციალური სამართლიანობის მიღწევისა და საზოგადოების გაჯანსაღების ნაცვლად, კვლავ საზოგადოების ცალკეულ ფრაგმენტებს შორის ანგარიშსნორების რეჟიმში ვცხოვრობთ, რაც ჩვენს განვითარებას აფერხებს.

აფხაზეთის კონფლიქტიდან მოყოლებული, 22 წლის განმავლობაში, ქვეყანა ამ რეგიონებიდან (აფხაზეთი, ცხინვალი) დევნილი მოსახლეობის წინაშე ანგარიშვალდებული რჩება,

**■ ადამიანშა, ოჯახმა, საზოგადოებამ თუ არ გამოიგლოვა მისი დანაკლისი, ეს მდგომარეობა შესაძლოა მუდმივ გლოვაში გადაიზარდოს. ჩვენი პოსტ-აგვისტოს ომის სიტუაცია ნაკლებად იძლეოდა ამის შესაძლებლობას – გლოვის ნაცვლად ზეიმი გაიმართა, ხელისუფლებამ „მოგების“ რეალობის კონსტრუირებას მიჰყო ხელი, რაც მოსახლეობის დიდმა ნაწილმაც გაიზიარა - ფაქტობრივად, იზეიმა და ვერ გამოიგლოვა ვერც ტერიტორიული დანაკლისი. ასეთი პროცესები არც ინდივიდის, არც საზოგადოებრივ დონეზე ხელს არ უწყობს რეალობაში დაბრუნებასა და ომის შემდგომ რეაბილიტაციას, ისევე, როგორც საზოგადოების იმ წევრების დახმარებას, ვინც ომისგან ყველაზე მეტად დაზიარალდა – მაგალითად, დევნილი მოსალეობა.**

რადგან საკუთარ საცხოვრებელ ადგილას მათ უსაფრთხო დაბრუნებას ვერ უზრუნველყოფს. ტრაგიკული მოვლენებისა და დევნილობის წლების შემდეგ ამ ადამიანებს მათგან დამოუკიდებლად ახალი ცხოვრების დაწყება მოუხდათ. რა არის ის მთავარი ფინანსურული სირთულეები, რისი გადალახვაც ამ ადამიანებს მოუწიათ

უნევთ და ზოგადად, სხვადასხვა შემთხვევაში, აღმატება თუ არა მათი გადალახვა არა რიგითი, არამედ ტრაგედია გამოვლილი ადამიანების ძალებს?

დევნილები ჩვენი მოსახლეობის ყველაზე დაზარალებული ფენა და ეს ეხება ერთნაირად როგორც აფხაზეთიდან, ასევე ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს, როგორც 90-იანებში, ასევე 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ.

დევნილობა ადამიანისათვის ტოტალურ დანაკლისთანაა დაკავშირებული: სახლის (და ყველაფრის, რაც ჩვენთვის სახლის ცნებაში არის გაერთიანებული), ჩვეული სოციალური სინამდვილისა და გარემოცვის, საკუთარი სოციალური სტატუსისა და როლის და ა.შ. როდესაც ადამიანს თვითგადარჩენის ამოცანა უდგება და იგი იძულებულია გადაადგილდეს, ამ გადაადგილების შედეგად იგი ყველა სხვა მატერიალურ დანაკლისთან ერთად, თითქოსდა საკუთარ თავსაც კარგავს; მახსოვს, 90-იანებში, აფხაზეთიდან წამოსული ერთერთი ქალბატონის მონაყოლი: „22 ოთახიანი სახლი მქონდა და დღეს 8 სული 8 კვადრატულ მეტრში ვართ შეუუჟული, ცოლი ვიყავი მაგრამ მეუღლე დამეღუპა და ახლა ქვრივი ვარ, პედაგოგი ვიყავი და ახლა გამყიდველი გავხდი, ჩემი ქალაქის ღირსეული მოქალაქე ვიყავი და ახლა „ლტოლვილი“ ვარ... მაშ, ვინა ვარ, აღარ ვიცი – დავიბენი!“ იმის თქმა მინდა, რომ მატერიალურ დანაკლისა და სიდუხჭირეზე მეტად იძულებით ადგილნაცვალ ადამიანს შესაძლოა ყველაზე მეტად სწორედ ეს – იდენტობის კრიზისი და ადგილობრივი საზოგადოებისგან გარიყვა, „უცხოს“ როლში ყოფნა აწუხებდეს.

ამავე დროს, დევნილთა თემი თავის თავში უაღრესად დიდი პოტენციალის მატარებელია. წლების მანძილზე დევნილ მოსახლეობასთან მუშაობა მინევს; ამ ხალხთან ურთიერთობამ, თანამშრომლობამ,

მეგობრობამ – ბევრი რამ შემძინა და მასწავლა. მახსოვს, შუაგულ 90-იანებში, შეხვედრები ქუთაისში, რომელისის დასახლებაში, გორში, თბილისში ჩამოსახლებულ სხვა-დასხვა ოჯახთან, რომელთა წევრები მე და ჩემს კოლეგებს გვიზიარებდნენ იმას, თუ დევნილობის მნარე გამოცდილების წყალობით როგორ შეიცვალეს შეხედულებები ცხოვრებაზე: დაინახეს რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი და რა – მეორე-სარისხოვანი. მახსოვს, როგორი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა იმან, რომ უკიდურესი სიდუხჭირის პირობებში, ეს ადამიანები საკუთარი მოთხოვნილების დაემაყოფილებაზე უარს ამბობდნენ რათა შვილების-თვის განათლების მიცემა შესძლებოდათ. ისინი, თითქოსდა, საკუთარი ცხოვრების ინვესტირებას შვილების მომავლაში ახდენდნენ. და დღეს, მტკიცედ შემიძლია ვთქვა, რომ ამ სტრატეგიამ გაამართლა – აფხაზე-თიდან და ცხინვალის რეგიონიდან წამოსული ოჯახებიდან ძალიან ბევრ, უაღრესად წარმატებულ ახალ-გაზრდას ვიცნობ.

**ხედავთ თუ არა დევნილობის, რო-გორც სტიგმის ნიშნებს საქართველოში და რაში აისახება ის?**

საქართველოში არა მარტო დე-ვნილობაა, არამედ არაერთი სხვა პრობლემური მდგომარეობაა სტიგ-მატიზმებული, მაგალითად: ფსიქი-კური ჯანმრთელობის აღმნიშვნელ ტერმინებს ადამიანები ერთმანე-თის სალანძღვად იყენებენ ხოლმე (“დაუნია ეს”, „გიჟი ხომ არ ხარ” და ა.შ.). მახსოვს, 2007 წელს სახალხო დამცველის საზოგადოებასთან ურ-თიერთობის სამსახურის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგები, რომელთა თანახმად, საქართველოს პარლამენტის საგაზაფხულო სესიების დროს მასმედიაში რამდენჯერმე იმატებდა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების აღმნიშვნელი სიტყვების სალანძრავად გამოყენება... მოგეხსენებათ, სიტუაცია დღესაც არ შეცვლილა.

არანაკლები სტიგმა დევნილობა. გავიხსენებ საქართველოს კულტურის ყოფილი მინისტრის, ბატონი გურამ ოდიშარიას მონათხრობას, მის მიერ წაკითხულ განცხადებას 90-იანი წლების ერთერთ გაზეთში: „მინდა გავიცნო 35 წლამდე მამაკაცი, ქართველი, უმაღლესი განათლებით, დასაქმებული, სასურველია მაღალი. დევნილებსა და ნარკომანებს გთხოვთ არ გამომეხმაუროთ“. კომენტარი ზედმეტია, ყველაფერი გასაგებია. მაგრამ აქვე მინდა ვთქვა, რომ ტყუილად არ გა-

ფორმაციაზე თუ არ ვიმუშავეთ, ეს ცუდად შემოგვიბრუნდება. ვგულისხმობ, რომ იმაზე უფრო ცუდად იქნება საქმე, ვიდრე დღეს არის, მაგალითად: ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება პარლამენტის საზოგადოების ნაწილის მხრიდან „ერის ღალატად“ ჩაეთვალა, რაც დისკრიმინაციული აზროვნების ნორმალიზების (“ნორმად“ აღქმის, ნორმად ქცევის) ინდიკატორია. თუ ამგვარი დამოკიდებულების ცვლილებაზე არ ვიმუშავეთ, რას მოგვიტანს ხვალინ-დელი დღე?..

**■ რომ შევაჯამოთ, ყველაზე პრობლემური, რაც აგვისტოს ომა დაგვიტოვა – ეს გაუზიარებული და არ-აღიარებული აღამიანური ტრაგედიები, ასევე გამოუგლოვებელი დანაკლისია, რომელმაც საზოგადოების შიგნით კიდევ უფრო მეტი ფრაგმენტაცია მოიტანა, ვიდრე იყო, თანდართული ე.წ. გამწარების განცდით.**

მხსენებია აქ ბატონი ოდიშარია – ის ფაქტი, რომ ახალ ხელისუფლებაში, სულ ცოტა, ორი მინისტრი დევნილთა თემის წარმომადგენელი იყო, მრავლისმთქმელია. დიახ, არსებობს სტიგმა, მაგრამ მიუხედავად ამ და სხვა რთული სოციალური პირობებისა, დევნილთა თემი ვითარდება, და წარმატებებსაც აღწევს.

ამიტომ, ვიტყოდი, რომ სტიგმა არა იმდენად დევნილების, არამედ მთლიანად ჩვენი საზოგადოების პრობლემაა, ერთს ფრაგმენტაციისა და ფრაგმენტებს შორის კარგ შემთხვევაში გაუცხოებისა და ცუდ შემთხვევაში კონფლიქტური დამოკიდებულების ინდიკატორია. ამგვარი პრობლემური სიტუაციის ტრანს-

„შევაჯამოთ თავისი პრობლემებით“, „რით ვერ მორჩია“, „ამდენი წელი გავიდა“ ... ამ ტიპის ფრაზები შესაძლოა არცთუ „ხმამაღლა“, მაგრამ მაინც ისმის საზოგადოების რიგით წევრებისგან, როდესაც დევნილი მოსახლეობა საკუთარი უფლებების-თვის, საცხოვრებლისთვის, სტატუსისთვის იბრძვის...

სხვათაშორის, შესაძლებელია გამოვყოთ ფაზები, რომელიც დევნილებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ურთიერთობას ახლავს თან. გადმოსახლების პირველ ეტაპზე ვხედავთ ე.წ. „თაფლობის თვეს“, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობა დევნილების მიმართ თანაგრძნობითა და ემფატიით არის გაუდენთოლი და ცდილობს მათ მაქსიმალურ ხელშეწყობასა და დახმარებას: უთმობს საცხოვრებელ ფართს, აძლევს ტანსაცმელს, უნანილებს საჭმელს და ა.შ.

ამის შემდეგ, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობა აღმოაჩენს რომ ეს უფრო დიდხანს გრძელდება, ვიდრე თავად ვარაუდობდა, დევნილების ერთგვარ ტეირთად აღქმის ტენდენცია ჩნდება. თანაგრძნობის ემოცია მცირდება, ყურადღება საკუთარ საჭირობებზე გადადის, და ა.შ. – ეს მობეზრების ფაზაა;

იქ, სადაც სიდუხჭირეა (რესურსები ლიმიტირებულია, ჭირს სამუშაო ადგილები და ა.შ.) ადგილობრივი მოსახლეობა მაღალ აცნობიერებს, რომ დევნილები ადგილობრივი

რესურსების მოპოვების თვალსაზრისით მათი კონკურენტები არიან და აქ იწყება კონკურენციის ფაზა, სადაც შესაძლოა კონფლიქტებიც მოხდეს ადგილობრივებსა და დევნილებს შორის;

მას მერე, რაც დევნილები ადგილობრივ კონტექსტში თავის ადგილს/ნიშას იძოვნიან, ადგილობრივები აცნობიერებენ და აფასებენ დევნილების პოზიტიურ შენატანს ადგილობრივ ცხოვრებაში და ინყება ინტერგაციის ფაზა. აი აქ უკვე „შეგვაწუხეს თავისი პრობლემებით“ აღარ უნდა ისმოდეს. თუ ისმის – აქ ორი მიზეზი შესაძლოა იყოს: ან დევნილებმა ვერ იძოვეს თავისი ნიშა და მათ ამაში სახელმწიფოს დახმარება ესაჭიროებათ, მაგალითად: შესაბამისი სამუშაო ადგილების შექმნით; ან, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, თუკი საზოგადოება ფრაგმენტირებული და გამწარებულია, აქაც სახელმწიფოს მხრიდანაა დახმარება საჭირო – ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა, წარმოების განვითარება და სამუშაო ადგილების შექმნა, ტოლერანტული სულისკვეთების წახალისება – მოკლედ, მოსახლეობის კეთილდღეობასა და მშვიდობიან თანაცხოვრებაზე ზრუნვა, პრობლემების გადაჭრასა და მართვაზე კონცენტრაცია.

რამდენად მაღალია სახელმწიფოს პასუხისმგებლობის გრძნობა სამხედრო კონფლიქტების შედეგად დაზარალებული ადამიანების მიმართ, როდესაც ეს ადამიანები დღემდე საკუთარ პრობლემებზე საუბრობენ? არსებობს ასეთი, „სოციალური კონტრაქტის“ ცნება, რომლის თანახმადაც ინდივიდი თმობს თავისი თავისუფლების ნაწილს სახელმწიფოს/ხელისუფლების სასარგებლოდ, რათა მათ მისი დანარჩენი უფლებების დაცვა უზრუნველყონ. ამ თეორიის შესწევით რომ შევხედოთ საქმის ვითარებას, სახელმწიფო ჩვენი კონფლიქტების დროს, ფაქტობრივად, დაარღვია სოციალური კონტრაქტი, ვერ უზრუნველყო მოსახლეობის

უსაფრთხოება კონფლიქტურ რეგიონებში, რის შედეგადაც მოსახლეობა იძულებული იყო მიეტოვებინა საცხოვრებელი ადგილები და გადმოსულიყო საქართველოს სხვარებინებში.

კონტრაქტის დარღვევის აღიარება, როგორც ჩანს, ძნელი აღმოჩნდა და 90-იანი წლებიდან მოყოლებული, დევნილი მოსახლეობა ხელისუფლებისგან საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნების არარეალისტურ, თუმცა

**■ დევნილობა ადამიანისათვის ტოტალურ დანაკლისთანაა დაკავშირებული: სახლის (და ყველაფრის, რაც ჩვენთვის სახლის ცნებაში არის გაერთიანებული), ჩვეული სოციალური სინამდვილისა და გარემოცვის, საკუთარი სოციალური სტატუსისა და როლის და ა.შ. როდესაც ადამიანს თვითგადარჩენის ამოცანა უდგება და იგი იძულებულია გადაადგილდეს, ამ გადაადგილების შედეგად იგი ყველა სხვა მატერიალურ დანაკლისთან ერთად, თითქოსდა საკუთარ თავსაც კარგავს.**

სასურველ დაპირებებს ისმენდა. დაპირებების ეს ციკლი დაგვირგვინდა რამდენიმე წლის წინ დევნილთა სახლების კოსმოსიდან გადაღებული ფოტოებით, რამაც არა იმდენად დაბრუნების იმედი, რამდენადაც მიტოვებულ ადგილებში საკუთრების ფლობის გრძნობა განაახლა. ეს ერთგვარი ფანტომური ტეკივილის გაღვიძება-წახალისებას ჰგავდა. ხელისუფლების მხრიდან წა-

ხალისებული დაბრუნების იმედი კარგა ხანს ამყოფებდა დევნილთა თემს მარგინალურ, ფსიქოლოგიურად „შეკიდებულ“ მდგომარეობაში (არა ანმყობი, არამედ ჰიპოთეტურ მომავალში) და ხელისუფლებასაც ერთგვარად, თითქოს ათავისუფლებდა „აქ და ამჟამად“ დევნილთა ადაპტაციისათვის სრული მასშტაბით დახმარებისგან.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ რამდენიმე წლის წინ შექმნილი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა ბევრ კითხვის ნიშანს აჩენდა; ამის საფუძველზე განხორციელებული განსახლებისა და შესაბამისად, დროებითი საცხოვრებელებიდან გამოსახლების პრაქტიკა ადამიანის უფლებების უხეში დარღვევებით მიმდინარეობდა, რასაც ერთ-ერთი დევნილი ქალბატონის საჯარო სუუციდი – თავის დავნაც კი მოყვა.

დევნილობაში არაერთი ადამიანური ტრაგედია, აქ განსაკუთრებულ საჭიროებებთან გვაქვს საქმე, რაც როგორც სახელმწიფოს, ასევე საზოგადოების მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

სამხედრო კონფლიქტები არა მხოლოდ სახელმწიფოების საზღვრებს, არამედ ადამიანთა ცხოვრებას ცვლის. როგორია მოსახლეობის სტრუქტურა და ადამიანის თვითგადარჩენის ამოცანა უდგება და იგი იძულებულია გადაადგილდეს, ამ გადაადგილების შედეგად იგი ყველა სხვა მატერიალურ დანაკლისთან ერთად, თითქოსდა საკუთარ თავსაც კარგავს.

ეს განსაკუთრებით მტკიცნეული თემაა. სამხედროების ფსიქოლოგიურ დახმარებას ფსიქოტრავმის კვლევის ევროპისა თუ საერთაშორისო საზოგადოებების კონფლიქტებზე მოქალაქე მოქალაქე რიგი სიმპოზიუმები ეთმობა. საუბარი, როგორც წესი, არა მხოლოდ მოსახლეობის მეურნალობას, არამედ მის თავიდან აცილებას – პრევენციასაც ეხება; არა მარტო სამხედროებში, არამედ სამხედრო უურნალისტებშიც.

სამეცნიერო მტკიცებულების თანახმად, საომარი ტრავმის თავიდან აცილება როგორც სამხედროებში,

ასევე უურნალისტებში შესაძლებელია (მისი რისკი მნიშვნელოვანნილად მცირდება) თუკი მათ ბრძოლის ველზე გაშვების წინ მოვამზადებთ. როგორც სამხედრომ, ასევე უურნალისტმა, უნდა იცოდეს, თუ რას უნდა მოელოდნენ ბრძოლის ველზე და რას არა, როგორ დაიცვან თავი საფრთხის შემთხვევაში. მიმუშავია როგორც იმ უურნალისტებთან, რომლებიც 2008 წლის ომს აშუქებდნენ, ასევე იმ რეზერვისტებთან რომლებიც ბრძოლის ველზე იმყოფებოდნენ - დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ისინი ბრძოლის ველზე სრულიად მოუმზადებლები და ამდენად - დაუცველები აღმოჩნდნენ...

კვლევის თანახმად, ასევე, აღმოჩნდა, რომ საომარი ტრავმის პრევენციის (რისკის შემცირების) ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, ველიდან დაბრუნებული სამხედროსა თუ უურნალისტის მიმართ, მისი უშუალო ხელმძღვანელ(ებ)ისგან, გამო-

ხატული აღქმა იმისა, თუ რა რთულ პირობებში მოუწია მას მუშაობა და შესაბამისად, გამოთქმული მადლიერება. როგორ მარტივადაც არ უნდა უდერდეს, ეს სამეცნიეროდ დადგენილი ფაქტია. სამწუხაროდ, ჩვენი რეზირვისტებისა თუ უურნალისტების მიმართ, არც ასეთ პრაქტიკა ყოფილა. პირიქით, იყო საყვედურები, საჯაროდ, მედიის საშუალებით მათი დადანაშაულება არაეფექტურობაში. ეს ყველაფერი იმის ბრალი იყო, რომ არც სამხედრო უწყებაში, არც უურნალისტურ თრანზიშაციებში არ იყო გაცნობიერებული ფსიქოლოგიური ტრავმირების და პროფესიული გადაწვის რისკი.

უალრესად მნიშვნელოვანია სამხედროებთან ფსიქოლოგიური მხარდამშერი მუშაობა დემობილიზაცია-მდე: ძალიან ხშირად მათ არასწორი მოლოდინი აქვთ იმის თაობაზე, თუ რა და როგორი სინამდვილე დახვდებათ დაბრუნების შემდეგ, რაც მათ

ხელს უშლის მშვიდობიან კონტექსტში ადაპტაციაში. ამიტომ, დასავლეთს ქვეყნებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამხედროებთან მუშაობას დემობილიზაციის წინ, ეს მათ საზოგადოების პროდუქტიულ წევრად დაბრუნებაში უწყობს ხელს.

მნიშვნელოვანია, რომ სამხედროებისთვის ჩვენთანაც აეწყოს ეფექტური ფსიქოლოგიური სამსახური. სასურველია, რომ ეს სამსახური არა მარტო სამხედრო უწყებაში, არამედ მის გარეთაც არსებობდეს; უწყებაში არსებული ფსიქოლოგიურ სამსახურში საკუთარ ტრავმაზე საუბარი, შესაძლოა, მეომრისთვის არ იყოს კომფორტული. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სამხედროების ოჯახებსაც ჰქონდეთ პროფესიული ფსიქოსოციალური დახმარების მიღების შესაძლებლობა. ■

ესაუბრა გიორგი ჭეიშვილი

## Radio Commersant



### გაიგე, როგორ გახდე თარმატებული

“ წანსაღი დილა წარმატებულ ადამიანებთან ერთად”, – თქვენ უსმენთ ყოველდღიურ რჩევებს წარმატებული ადამიანებისგან, თუ როგორი უნდა იყოს თქვენი დილა იმისთვის, რომ დღის ბოლოს ის წარმატებულად ჩაითვალოს.

გადაცემის ყოვლედღიური სტუმრები ბიზნესის სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლები არიან და საკუთარ რჩევებს რადიო კომერსანტის მსმენელს უზიარებენ.

ისინი იწყებენ საქმიანობას ადრე დილით, ადგენერ გეგმებს და ანაზილებენ დროს პროდუქტიულად. მსმენელი იღებს პასუხს კითხვებზე, საქმიანობის პირველ საათთან დაკავშირებით.

ყოველ დილით, რადიო კომერსანტის ეთერით, გაიგეთ წანსაღი ცხოვრების მარტივი წესი, როგორ დავეხმაროთ გონებას და სხეულს აქტიურად მუშაობისთვის.

**„წანსაღი დილა თარმატებულ ადამიანებთან ერთად“**

**ყოველდღე 09:45. 11:45 საათზე**

**FM 95.5 სიხშირეზე, - გადაცემა თქვენი წარმატებისთვის!**

### პიზესის პერსონალური რალიო

marketing@commersant.ge  
+995 32 2505 955

**Commersant.ge**

# მინდა ბიბლიას ბეჭოცა

ზურაბ ვარდიაშვილი

## წერილი

„მოგესალმებით. მე მერი ბიგვავა გახლა-  
ვართ, დევნილი სოხუმიდან.

მინდა ვიცოდე:

როგორია თქვენი ხელფასი? თვეში საშუ-  
ალოდ რამდენს ხარჯავთ კვებაზე, ყოველ-  
დღიური მოხმარების საგნებზე. რა მაქვს  
მხედველობაში? – მაგალითად საპონზე, ტუ-  
ალეტის ქალალდზე? ვინ რამდენს გჩუქნით,  
ფულადი ან არაფულადი საჩქრის სახით? სა-  
ბანკო კრედიტი რამდენი გაქვთ ალებული?“...

როდესაც რამდენიმე კვირის წინ, ელექტრო-  
ნულ ფოსტაზე მიღებული ამ უცხაური წერი-  
ლის შესავალი წავიკითხე, პირველივე აზრმა,  
რაც გამიელვა, კითხვის შეწყვეტა და ამ ცოტა  
არ იყოს გამაღიზიანებელი შეტყობინების წაშ-  
ლა იყო, თუმცა კითხვის გაგრძელება შემდეგ-  
მა აბზაცმა „მაიძულა“:

„არ მოგეწონათ ჩემი კითხვები, ბატონო  
ზურაბ? რა თქმა უნდა, არ მოგეწონებოდათ.  
თავხედობაში და უზრდელობაში წუ ჩამო-  
მართმევთ. მინდოდა თქვენც გეგრძნოთ ის გა-  
ოგნება, აღშოროთება თუ გულისწყრომა, რაც  
ჩვენ, დევნილებმა განვიცადეთ, როდესაც ამ  
კითხვებს ვისმენდით. თქვენ, ჩვენთან შედა-  
რებით უკეთეს მდგომარეობაში ხართ, რადგან  
შეგიძლიათ არ უპასუხოთ ჩემს უკანონო კი-  
თხვებს და გამაგზავნოთ... სადმე შორს. ჩვენ  
კი იძულებული გაგვხადეს ამ კითხვებზე პა-  
სუხი გაგვეცა“.

თუ ხართ დევნილი, და საცხოვრებელით  
დახმარება გესაჭიროებათ, მოგწევთ პასუხი  
გასცეთ მსგავს კითხვებს. ეს კითხვები ჩანერი-  
ლია დევნილთა მინისტრის ბრძანებაში. მინის-  
ტრის მიერ მიღებული ამ ნორმატიული აქტის  
საფუძველზე, პასუხი უნდა გასცეთ არამარტო  
ასეთ კითხვებს, არამედ, სამინისტროს ანგარი-  
ში უნდა ჩააბაროთ ბევრ სხვა რამეზეც, მაგა-  
ლითად თქვენს ჯანმრთელობაზე...

## დევნი

მერი ბიგვავამ სოხუმი ქალაქის დაცემის  
ბოლო დღეს, 1993 წლის სექტემბერში დატო-  
ვა. ქალაქის დატოვებისას მისი მოხუცი მამის  
სიცოცხლე სნაიპერის ტყვიას ემსხვერპლა.

მერიმ მამის საფლავის ადგილი დღემდე არ  
იცის. დაუბომბეს სახლი, გადაუწვეს ქონება.

მას შემდეგ ხან ერთ, ხან მეორე ნათესა-  
ვთან, ხან კი ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს.  
პროფესიონალი ინგლისური ენის მასნავლებელია  
და თავს კერძო გაკვეთილებით ირჩეს, თუ-  
მცა, ის მცირედი თანხა, რის გამომუშავებას  
ახერხებს, მხოლოდ ბინის ქირის გადასახდე-  
ლად თუ ყოფნის.

ოუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით  
გადაადგილებულ პირთა, განსახლების და  
ლტოლვილთა არაერთი მინისტრის სახელზე,  
თავშესაფრის გამოყოფის თხოვნით (როგორც  
დევნილისთვის) უამრავი განცხადება აქვს და-  
წერილი. თუმცა მათგან არათუ საცხოვრებე-  
ლი ადგილი, პასუხიც კი არ მიუღია...

...ეს იქნებოდა ჩვეულებრივი, „საშუალო  
სტატისტიკური“ დევნილის ისტორია, რომლის  
მსგავსიც ასობით დაბეჭდილა პრესაში, ჩაუწე-  
რიათ რადიოებს, გადაუღიათ ტელევიზიებს,  
გამოუქვეყნებიათ ინტერნეტ გამოცემებს.  
არათუ ისტორიები, მათი გადმოცემის მეთო-  
დებიც კი ერთნაირი, ყალიბში მოქცეული და  
სტერეოტიპულია. „შექრილი“ და „შესახლებუ-  
ლი“, დევნილების მძიმე სოციალური პირობე-  
ბის აღწერა, სტერეოტიპების გამაყარებელი,  
კლიშებით დახუნძული ტექსტებით, ჩვეულე-  
ბრივი მოვლენაა.

თუმცა, თქვენს წინაშე არ არის კიდევ ერთი  
რიგითი დევნილის, მერი ბიგვავას, კიდევ  
ერთი გაჭირვების ისტორია, რომელიც ბიუ-  
როვრატიულ ბარიერებს უმნეოდ აწყდება.  
არამედ, ეს არის ერთი ადამიანის დაპირი-  
სპირება სისტემ(ებ)ის წინააღმდეგ, ეს არის –  
მერი ბიგვავას ბრძოლა.

მან სხვა დევნილებთან ერთად თბილისში,  
ნოემბერში, სვანეთის მთებით, ჭუბერის გა-  
ვლით ჩამოაღწია. პირველი განცხადება თა-  
ვშესაფრის თხოვნით ნოემბერშივე დაწერა და  
ე.წ. დევნილთა შტაბში ჩააბარა, – სამინისტრო  
ჯერ შექმნილი არ იყო, არსებობდა უწყება,  
რომელსაც დევნილთა დახმარების შტაბი ერ-  
ქვა.

განცხადება მიიღეს მაგრამ, განუცხადეს,  
რომ ვერ დაეხმარებოდნენ, რადგან პირველ

რიგში ბავშვებიანი ოჯახები, მოხუცები და ავადმყოფები უნდა დაეაბინავებინათ. „დანარჩენებს კი, მათ შორის მეც, გვითხრეს: – თავს თეოთონ უშველეთ. თუ გყავთ ნათესავები, ნაცნობები საქართველოს ფარგლებს გარეთ, წადით და იქ ეძებეთ თავშესაფარი“.

დევნილების უმრავლესობას უცხოეთში წასავლელი გზის ფული არ ჰქონდა. მთავრობამ ეს პრობლემა შემდეგნაირად გადაწყვიტა: შესაბამისი საბუთის წარდგენისას ბაქოს, ერევნის და რუსეთის ორი ქალაქის – მოსკოვისა და როსტოვის მატარებელზე ბილეთებს უფასოდ აძლევდნენ.

მერის და ბელორუსში იყო გათხოვილი და მერიმაც მასთან წასვლა გადაწყვიტა. ოთხი დღე ბილეთის აღებამდე ქუჩაში მოუწია ცხოვრება, ღამეებს რეკინიგზის სადგურში ათენებდა. ასეთ დღეში ათასობით დევნილი იყო. მეოთხე დღეს როსტოვამდე ბილეთი მისცეს და მანაც საქართველო დატოვა. – „ეს ჩვენი, დევნილების გაძევებას უფრო ჰგავდა სამშობლოდან, ვიდრე მთავრობის ზრუნვას და დახმარებას მისი მოქალაქეებისთვის. ასე, მეორეჯერ განმდევნეს – ჯერ სოხუმიდან და მერე სულაც საქართველოდან“.

2003 წელს საქართველოში ვარდების რევოლუცია მოხდა. ახალმა პრეზიდენტმა მიმართა ემიგრაციაში მყოფ საქართველოს ყველა მოქალაქეს, დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში: – მთავრობა ყველას მიხედავსო, „მეც დაუკავერ და ჩამოვედი. ჩამოსვლისას კიდევ ერთი განცხადება დავწერე საცხოვრებლის ან დაკარგული ბინების კომპენსაციის თხოვნით. ეს იყო 2004 წელი“.

მას შემდეგ მთავრობისგან ვალდებულების შესრულებას ელის. „დღემდე ვიპროფი ჩემი უფლებებისთვის. უამრავი განცხადება დავწერე, უამრავი შეუსრულებელი დაპირება მივიღე“.

## მთა და კენტიკი

უნდა არსებობდეს, თუ არა ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტრო? ამ კითხვას მერი ბიგვაგა ხმირად სკამს. დევნილი ჰედაგოგი ცდილობს საკითხს საფუძვლიანად და მასშტაბურად შეხედოს: „ვიღაც შეასახლეს, ვიღაც გამოასახლეს, ვიღაც უჭირს... ეს კენჭებია, იმ დიდი და გადაუწყვეტილი პრობლემის კენჭები, რასაც დევნილობა ჰქვია, „მთა“ კი სხვაა, რომელსაც არ უნდა პარადოქსულად მოგეჩვენოთ,



ვერ ამჩნევენ“

ბიგვაგა ფიქრობს, რომ მთავარი პრობლემა იმ სისტემებსა და სტუქტურებშია, რომელთა ხელმძღვანელებსაც ფორმალურად დევნილთა საკითხების მოგვარება ევალებათ, თუმცა ამის გაკეთების არანირო მოტივია არ გააჩინათ, რაკიდა მათი შემოსავლის, კომფორტის და ფუფუნების წყარო სწორედ დევნილთა მოუგვარებელი პრობლემებია.

მერი ბიგვაგა დაბალ ხმაზე, ერთგვარი „სტაკატოებით“, ხაზგამშული თავაზიანობით საუბრობს, მოსაუბრესთან ეტიკეტურ დისტანციას ინარჩუნებს. მისი მეტყველების მანერა ოდნავ დაძაბულია, ზოგჯერ წყვეტილი, – როდესაც კონტექსტისთვის შესაბამის სიტყვებს ეძებს. შუა ხნის, დაფარული ენერგიით საესე, გამხდარი ქალბატონი გამოთქმებს განსაჯუთორებული სიფრთხილით არჩევს, საუბრისას ზოგჯერ ემოცია იფეიქებს, თუმცა მხოლოდ ნამიერად, ბეგვავა ემოციას მასწავლებლებისთვის დამახასიათებელი აკადემიურობით თოკავს. ზოგჯერ წინადადებას არ

■ როგორია თქვენი ხელფასი? თვეში საშუალოდ რამდენს ხარჯავთ კვებაზე, ყოველდღიური მოხმარების საგნებზე. რა მაქს მხედველობაში? – მაგალითად საპოზზე, ტუალეტის ქალალზე? ვინ რამდენს გჩუქნით, ფულადი ან არაფულადი საჩუქრის სახით? საბანკო კრედიტი რამდენი გაქვთ აღებული? ...

ასრულებს, ეს მაშინ როდესაც დასრულებას საჭიროდ არ მიიჩინებს. ამას ერთგვარი ხელის ჩაქნევით გამოსახავს.

ის ქავთარაძეზე, ერთოთახიან, ძალიან პატარა, თუმცა სუფთად მოვლილ, ნაქირავებ ბინაში გვმასპინძლობს. კედლებთან განლაგებულ თიხის ქოთნებში ჩამწკრივებული, კარგად მოვლილი ყვავილების ზემოთ, მისი ხელით შესრულებული ნაქარგებია გამოფენილი. ერთი შეხედვითვე მიხვდებით, რომ მცირე ფინანსური შესაძლებლობების მიუხედავად, შეინაგანი წესრიგით ნაკარნახევი, მცირე კომფორტის მოწყობა მისთვის როგორ ამოცანა არაა.

## სასამართლო

სასამართლოების ყველა ინსტანცია, სახალხო დამცველის აპარატი, სამინისტროები, მათი დეპარტამენტები და სააგენტოები, უამრავი სახელმწიფო სტრუქტურა, პოლიტიკური პარტიები, პრესა, რადიო, ტელევიზია, იურისტები, არასამთავრობო ორგანიზაციები... წლებია მერი ბიგვავა საკუთარი უფლებებისთვის რუტინულ ბრძოლას აწარმოებს.

პირველად სასამართლოს 2010 წელს „გრძელვადინი საცხოვრებლით დაკამაყოფილების“ მოთხოვნით მიმართა. „გავიდა ყველა ის გონივრული ვადა, რის განმავლობაშიც შეიძლებოდა დავლოდებოდი მთავრობის მიერ კანონით დაკისრებული ვალდებულების შესრულებას — თავშესაფრის გამოყოფას. როდესაც მთავრობის მოხელეები 17 წლის განმავლობაში არ ასრულებენ მათზე კანონით დაკისრებულ ვალდებულებას, გამოსავლად სასამართლოში დავა მივიჩინე“.

მერი იმ მომენტს იხსენებს, როდესაც სასამართლოში ფეხი პირველად შედგა. სარჩელის მომზადებაში ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურისტი ნონა ქურდვოანიძე დაეხმარა, თუმცა თავდაპირველად პროცესებზე გასვლა მარტოს მოუწია. „სასამართლო შენობაში დაბწეული ვიდექი და აქეთ-იქით ვიყურებოდი, არ ვიცოდი როგორ მოვცეულიყოვი, ვისთვის მიმემართა, ვის უნდა ჩაებარებინა ჩემი სარჩელი, ტაბლოებზე განთავსებული განყოფილებები, სხდომათა დარბაზები და მათი ჩანიშვნის თარიღები, ჩემთვის ეს ყველაფერი უცხო იყო.“

იმის გარკვევაში, რომ სამინისტროს წინააღმდეგ სარჩელი ადმინისტრაციულ საქმეთა განყოფილებაში უნდა ჩაებარებინა, მანდატურის სამსახურის თანამშრომლები დაეხმარენ,

ამ იურიდიული გამოცდილებით გავიდა მერი ბიგვავა პროცესებზე...

პირველმა ინსტანციმ მისი მოთხოვნა „საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე“, არ დააკამაყოფილა, სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა, უზენაესმა სასამართლომ კი საქმე არც კი განიხილა.

ამის შემდეგ ბიგვავამ შეძლო ის, რასაც თავად დღემდე ვერ იჯერებს – მას ერთი გზა დარჩენოდა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.

არცერთი იურისტი, არცერთი უფლებადამცველი, არცერთი სპეციალისტი არ დახმარებია მერი ბიგვავას, აფხაზეთიდან დევნილი ინგლისური ენის მასწავლებელს, სტრასბურგის სასამართლოსთვის სარჩელის მომზადებაში. რამდენიმე კვირის განმავლობაში სწავლობდა სარჩელის ფორმის შედეგნას, რომელიც ევროპული სასამართლოს საიტიდან ჩამოწერა, „არავინ მყავდა, რომ კითხვებზე ეპასუხა, უბრალოდ „კი“, ან „არა“ ეთქვა, როდესაც იურიდიულ დეტალებში ვიკარგებოდი.“

ბიგვავამ არასამთავრობოების გარდა დახმარების თხოვნით ახლანდელ იუსტიციის მინისტრსა და მაშინდელი ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერს, თეა წულუკიანასაც მიმართა, და საკუთარი ხელით შედგენილი სარჩელი გადასამოწმებლად გაუგზავნა. გავიდა ერთი თვე, ორი, სამი... სასარჩელო ვადა ინურებოდა. როდესაც წულუკიანის შესწორებული ვერსა დაუბრუნდა, ამ ვადის ამოწურვამდე რამდენიმე დღედან დარჩენილი და მერი ბიგვავას სასამართლოში სარჩელი უკვე გაგზავნილი ჰქონდა.

ბიგვავას დიდი იმედი არ ჰქონია, რომ საერთაშორისო სასამართლო მის მიერ დაწერილი სარჩელის განხილვას დაინტებდა, თუმცა სტრასბურგიდან პასუხი მოვიდა – ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმე – მერი ბიგვავა საქართველოს წინააღმდეგ - ნარმოებაში მიიღო.

პარალელურ სასამართლო დავას მერი ქართულ სასამართლოშიც ანარმოებს, საქმე იმ ანკეტა/კითხვარს უკავშირდება, რომლითაც წინამდებარე სტატია იწყება.

„ის კითხვარი, რომელიც სამინისტროს ჩაწერილი აქვს დანართ №3-ში, შეიძლება ჩაითვალოს როგორც ადამიანის პირადი ცხოვრების უფლების ხელყოფად, ე.ი. კანონდარღვევად.“

სოციოლოგიურ მეცნიერებაში სოციალური კვლევის მონაცემების შეგროვების,

ორგანიზებისა და ანალიზის სხვადასხვა მე-  
თოდი არსებობს. ანკეტირება / კითხვარი  
ერთ-ერთი ასეთი მეთოდია. მაგრამ, სოცია-  
ლური კვლევების დროს ანკეტირების პრო-  
ცესში დაცული უნდა იყოს რესპონდენტის  
ანონიმურობა. ე.ი. მე შემიძლია კითხვებს  
გავცე პასუხი ჩემი პიროვნების დასახელების  
გარეშე. ჩვენს შემთხვევაში კი, პირადობის  
დადასტურება პროცედურის აუცილებელი  
კომპონენტი იყო. ეს კი კანონდარღვევაა. ეს  
ერთი.

მეორე – სოციალურ კვლევებში ანკეტირე-  
ბა ნებაყოფლობითი პროცესია. სამინისტრომ  
ე.ი. იძულებული გახადა ადამიანი გაემჟღავ-  
ნებინა ინფორმაცია მის ჯანმრთელობაზე,  
ფინანსებზე და სხვა პირად საკითხებზე. კი-  
თხვებს პასუხი თუ არ გაეცი და ანკეტირება  
თუ არ გაიარე – ბინას არ მოგცემენ. ე.ი. სა-  
მინისტრომ აიძულა დევნილები გაემჟღავნე-  
ბინათ ინფორმაცია მათი პირადი ცხოვრების  
შესახებ. ესეც კანონდარღვევაა ათასობით  
ადამიანის მიმართ.

საქართველოს კონსტიტუციაში, 20-ე მუ-  
ხლში წერია: „ყოველი ადამიანის პირადი  
ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პი-  
რადი ჩანანერი ... ხელშეუხებელია. აღნიშნუ-  
ლი უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამარ-  
თლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც,  
კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი  
აუცილებლობისას“.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის,  
მეორე პუნქტში წერია: „ ოფიციალურ ჩანანე-  
რებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკა-  
ვშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან,  
მის ფინანსებთან, ან სხვა კერძო საკითხებთან,  
არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი  
თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა  
კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც  
ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშრების, ან  
საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველ-  
სყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებები-  
სა და თავისუფლებების დასაცავად.

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლ-  
ში წერია: 1. ადამიანის პატივი და ღირსება  
ხელშეუვალია. 2. დაუშვებელია ადამიანის  
ნამდა, მის მიმართ არაპუმანური, სასტიკი ან  
პატივისა და ღირსების შემღავეველი მოპყრო-  
ბისა თუ დასჯის მეთოდების გამოყენება.

მიმართი, რომ მინისტრის № 320 ბრძანების,  
დანართი №3-ის კითხვები: „საშუალოდ რამ-  
დენს ხარჯავთ ტანსაცმელზე, ყოველდღიური  
მოხმარების საგრძნებზე უზვში ჩარევაა.

ტუალეტის ქაღალდზე და ა.შ.) ზემოაღნიშ-  
ნული გარემოების გათვალისწინებით შეურა-  
ცხმოფელია დევნილებისთვის და ადამიანის  
პირად ცხოვრებაში უზვში ჩარევაა.

მინისტრის № 320 ბრძანების, დანართი №3-ის  
მოდულის: B3 კითხვები არაადეკვატურია  
და ვერ ემსახურება მისაღწვევ მიზანს – და-  
ადგინოს აპლიკაცის, ანუ ჩვენ შემთხვევა-  
ში დევნილის, მატერიალური მდგომარეობა  
რადგან:

კითხვების უმრავლესობა, რომელიც ამ  
ანკეტაში არის ჩაწერილი: თვეში საშუალოდ  
რამდენს ხარჯავთ კვებაზე, ტანსაცმელზე, სა-  
მომხმარებლო საგრძნებზე და ა.შ. სოციოლოგიურ  
კვლევებში ისმება სამომხმარებლო კალათის  
და მისი ჯამობრივი ციფრის გასარკვევად და  
არა ადამიანის მატერიალური მდგომარეობის  
დასადგენად. სამომხმარებლო კალათა სამომ-  
ხმარებლო ფასების ინდექსის ანუ ქვეყანაში არ-  
სებული ინფლაციის დონის დასანგარშებლად  
გამოიყენება. ზოგჯერ, მსხვილი კომპანიებიც  
იყენებენ ამგვარ კითხვარს მარკეტინგული კვ-  
ლევების ჩასატარებლად.

კითხვებით: რომელ საპონს თუ შამპუნს ხმა-  
რობთ და რამდენს ხარჯავთ ტანსაცმელზე,  
ამით რას ადგენდნენ? მოგეხსენებათ, ზოგი  
ადამიანი ჭამა-სმაზე ხარჯავს მთელ თავის  
ფულს, ზოგი გართობაზე, ზოგიც ნიგებზე და  
ცოდნაზე. მე ჩემს ფულს რაში ვხარჯავ – ვისი  
რა საქმეა? ამრიგად დანართი № 3-ის, მოდუ-  
ლი B3-ის „ოჯახის საშუალო თვიური ხარჯი“  
კითხვები ვერ განსაზღვრავენ ადამიანის მატე-  
რიალურ, თუ სოციალურ მდგომარეობას“.

ეს არის ამონარიდი იმ სარჩელიდან, რომე-  
ლიც მერი ბიგვავამ ასევე თვითონ დაწერა და  
რომელიც მოსამართლიდან მოსამართლეზე  
გადადის, თუმცა მისი განხილვის დაწებას  
ჯერჯერობით საშველი არ დაადგა. ამის მიუ-  
ხდებად, მერი ბიგვავა არ ნებდება. მას მიაჩ-  
ნია, რომ ის არა ადამიანის, არამედ ადამიანე-  
ბის უფლებების დასაცავად იბრძვის. როდესაც  
ბიუროკრატიული ზღუდეების გზაზე გადახ-  
დენილ ისტორიებს იხსენებს, ყველაზე ემო-  
ციურად არა საკუთარი თავგადასავალი, არა-  
მედ ის მცირენლოვანი ბავშვები თუ  
საკაცებმთ მოყვანილი მოხუცები აგონდება,  
რომლებიც მასთან ერთად დევნილთა გრძელ  
რიგებში არა საათობით, არამედ დღეობითაც  
მდგარან, მერი ბიგვავა ფიქრობს, რომ მისი  
გამარჯვება ყველა დევნილის გამარჯვება იქ-  
ნება, მერი ბიგვავა ბრძოლის შეწყვეტას არ  
აპირებს... **■**

■ მერის და ბელორუს-  
ში იყო გათხოვილი და  
მერიმაც მასთან წასვლა  
გადაწყვიტა. ოთხი დღე  
ბილეთის აღებამდე  
ქუჩაში მოუწია ცხოვრე-  
ბა, ღამეებს რკინიგზის  
საღვურში ათენებდა.  
ასეთ დღეში ათასობით  
დევნილი იყო. მეოთხე  
დღეს როსტოკამდე ბი-  
ლეთი მისცეს და მანაც  
საქართველო დატოვა –  
„ეს ჩვენი, დევნილების  
გაძევებას უფრო ჰგავდა  
სამშობლოდან, ვიზრე  
მთავრობის ზრუნვას  
და დახმარებას მისი  
მოქალაქეებისთვის. ასე,  
მეორეჯერ განმდევნეს  
– ჯერ სოხუმიდან და  
მერე სულაც საქართვე-  
ლოდან“.

# ეკიციობის 22 წელიალი

სოფო აფევაური, ლევან ხეჩიშვილი

„მეტენ ერთი ფიფი თამაშის მონაბანი-ლენი, რომელიც უკინებდა დაწყოლების მცირებელის ქადაგისას, 22 წლის ნინი მას მუკულობელ-დად ასანის ხელში აღავა მოწია და თავის საცნობების, მეზობელებისა და მცენობების პირის მიმოწმენა.

ამ ადამიანების თავი სხვაობამ ეწა-სად, მოუკლე გაწილვლის ცხოვრისა იქ დატვითა, თბილისა და ქვეთის სხვა-დასხვა რევოლუციის მამულების და ყვე-ლადობის თავდაცვის დაზიანება.



2008 წლის აგვისტოში იმამ კადეც ერთხელ შევადგინა, რომ შესაძლოა, საკუთარი საციფრობლის, ბავშვებისა და ნარჩისლის დატვირცება გამოულონ და სულ სხვა, შენობის უკან გარემონტი გადადინორდნო.

ეს ფიზიკურისტის აუგაზურობან და ცნობელის რეკორდის დავრინებული ადამიანებზე, ადამიანებზე, რომელიც მას ერთი სტრუქტურული - უკეთესობის - უკეთესობის - კვლეულისა და მეტყველების მოხსენენდები, ნანგაულის უზრუნველყოფა რჩება.

„რომ მოახორა, გამა გამოსახა ცხრი-ვასახით, არა დაუფუტებლი, მუ და-მევ რომ ფის, აკედები და ფაქა, მე-ნარჩისლან ჩემი ნათესავები, ჩემი დები და ძალა“.

ამ ადამიანების იურიგა მათ ნინაუ ბარიკად აღმარიშული დიდი კედლის დაზრდება.





ତଥାରେ ପାଦାମରଣ  
ତଥାରେ, ରୁହନ୍ତିକି କୁରି

ଏହିଠି ମିଳୁଯାଏନ୍ତିଲୁଙ୍କ ଫଳିବୁ. ସାମିଶ-  
ବ୍ରାହ୍ମିନ ଶ୍ରୀଦ୍ଵାରା ଶାଲମୟ ରାତ୍ରି ମିଳିବିଲୁଣ୍ଡା, ବା-  
ନ୍ଦିନୀ ପରିଷ୍ଠାପନୀରେ ସାମ୍ବଲପୁର ଶ୍ରୀନାର୍ଦ୍ଦିନ-  
ଦୀଖିଲୁ ଯା ପ୍ରତି ଅଛି ଓ ମନ୍ଦିରପ୍ରାମ୍ଳମ ଶ୍ରୀପୁରୀ-  
ରୁ ବ୍ୟାନିକିଲୁଙ୍କ ଯାଇ, ଦେଖିବିଲୁଣ୍ଡା, ଏବଂତିମାତ୍ର-  
ଦେଖିବି ପରିଷ୍ଠାପନୀରେ ପ୍ରାମ୍ଳମିଲୁଣ୍ଡା...

ପାରିଲାଙ୍କ 55 ବେଳିଲା, ଏଣ୍ ଶ୍ରୀନାର୍ଦ୍ଦିନ  
ଗର୍ବିଲୁ 1998 ବ୍ୟାନିକି ବାନ୍ଧିଲୁଣ୍ଡା, ରୁହନ୍ତି-  
କିଲୁ କୁରିଲୁଣ୍ଡା, ଜୁଗନ୍ତିଲୁଣ୍ଡା ବ୍ୟାନିକିଲୁଣ୍ଡା  
କି ପ୍ରାମ୍ଳମିଲୁଣ୍ଡା.

ଅନ୍ତର୍ଗତ ଦିନରେ ଦାଳିଲୁ ପ୍ରାମ୍ଳିଲୁ,  
ଶ୍ରୀନାର୍ଦ୍ଦିନ ପ୍ରାମ୍ଳିଲୁଣ୍ଡା, ଲାଲିଲୁଣ୍ଡା, ବା-  
ମିଳିଲୁ, ଲାଲିଲୁ ପାତାପ୍ରାମ୍ଳିଲୁ ଅଥ୍ବ ମିଳି-  
ମିଳିଲୁଣ୍ଡା ନାଗ୍ରଜୁଣ୍ଡା, ରୁହନ୍ତିକି ଏଣ୍ ପାତାପ୍ରାମ୍ଳି-  
ଲୁଣ୍ଡା ଦି କୁରି ଶ୍ରୀନାର୍ଦ୍ଦିନକୁ ଶୁଣି ଫଳିବିଲୁଣ୍ଡା.

15 ବ୍ୟାନିକି ପାତାପ୍ରାମ୍ଳିଲୁଣ୍ଡା ଏଣ୍ ପାତାପ୍ରା-  
ମିଳିଲୁ ଏଣ୍ ପାତାପ୍ରାମ୍ଳିଲୁ ପାତାପ୍ରାମ୍ଳିଲୁଣ୍ଡା  
ଶ୍ରୀନାର୍ଦ୍ଦିନକୁ, ରୁହନ୍ତିକି ପାତାପ୍ରାମ୍ଳିଲୁଣ୍ଡା ଏଣ୍ ପା-  
ତାପ୍ରାମ୍ଳିଲୁଣ୍ଡା ନାଗ୍ରଜୁଣ୍ଡା.

ପାରିଲାଙ୍କ, ଏବାଶ୍ରୀନାର୍ଦ୍ଦିନ ଏଣ୍ ପାତାପ୍ରା-  
ମିଳିଲୁଣ୍ଡା ମିଳିଗ୍ରାମିଲୁ, ମାରିବି ତୁ ତଥା-  
ପାତା ପାତାକୁ ପାତାକୁଣ୍ଡା ଦି ଶର୍ମିନ୍ଦିଲୁଣ୍ଡାକୁ  
ଜାନିଲୁଣ୍ଡା ଫଳିବିଲୁଣ୍ଡା, ମିଳିଲୁ, ଏଣ୍ ପାତା-  
ପାତାକୁ ପାତାକୁଣ୍ଡା ଲାଲିଲୁ ପାତାପ୍ରାମ୍ଳିଲୁଣ୍ଡା, ରୁହନ୍ତିକି  
ମାରିବିଲୁଣ୍ଡା ଏଣ୍ ନାଗ୍ରଜୁଣ୍ଡା, ମାରିବିଲୁଣ୍ଡା  
ଏଣ୍ ପାତାପ୍ରାମ୍ଳିଲୁଣ୍ଡା କୁରିଲୁଣ୍ଡା.



三國志

18 ნელი სულ სროლებდე იყო ჩემის  
აბაში, ამიტომ დაძალულ სიტუაციას  
კულტურულმა კვაგით, იმ ღალას გარეთ  
რედიცია და ლიპინის კარიბების  
არაერთზელად, უზრუნველყო ჩამო-  
და და ისეთი ჩან ჰქონდა, 3 კვირა  
და დამზეულიდა".

ომბა ხაბალოვა-შავარულიძევილი  
მდე 35 წელი ქრისტენით განყო-  
ლებაში მუჟამდა: „მინიშვნელობა არ  
ნდა, სამკურნალოდ ოსი მოვიდოდა  
ქართველი. ყველას ვემსახურებო-  
ნ“.

აგვისტოს ფეხით ნამოვიდნენ, თა-  
ან საგარეჯოში ცხოვრობდნენ.

კვე ერთი ნელია გორში მოხუცე-  
ლ ქმართან, შვილთან, სიძესთან და  
შვილი-შვილთან ერთად კოტეჯში.

ଏ-ଏମ୍ ପ୍ରକାଶନଙ୍କାଳେ ମୁଦ୍ରାଗୁଣ : “ତୈରୀଏତୁମ୍ଭା  
ପ୍ରସାରିତାକ୍ଷେତ୍ରରେ ବେଳମ୍ଭୂତ ଦୟାଲୀନ ମୃ-  
ଜୁଗାଦିନ, ଦ୍ୱୟା ଗ୍ରହଣ ନେଇଲା କିନ ଏହି  
ଦୟାପ୍ରାଣ ଓ ମିଳି ସାହାରାଖ୍ୟାତ ଅନ  
ଶୁଣିଲାମ୍”



ପ୍ରକାଶନକାରୀ

ଲୋକା ପ୍ରକାଶନାଳୀ

თბილისი, ვაკე, სტუდენტური

„ეკოლოგიური გარემოებები ეკო ტექნიკური მიზნის დღვეულის აფარებული გაცავითი ყველითი კულტურის მიზნების შესრულებას ერთად მოჰყოლება, თვითმმართვისა და ფინანსურული მიმღებელის წარმატებას“. გვი- ბრძოლის, რომ გვერდინობული სოფიანი კი ამილად- სასტუ გაუარებელი მასშიანი, ძობული დაცებული ცალკე გაყიდვით და ჩატარების წინა გარემოებრივიდან, რომ უსა- ფრთხოები დაკარგილიდებულიყო<sup>4</sup>.

თუმცა, მმის დღეებში ლენას უკან დაბრუნება  
მოუწია.

„ଏ ପ୍ରେରଣାତ୍ମକ ମୁଦ୍ରଣକଟ୍ଟଣ, ମନ୍ଦିରରେ ଉପରେ  
ଫାରମର୍ଗ୍‌ରୁ ଏବଂ କିଶୋରଲ୍ଲା ମନ୍ତରୀଙ୍କୁ ନିର୍ଦ୍ଦେଶ ଦିଲ୍ଲିକୁ  
ଦିଲ୍ଲି ନାହାଇଲା, ଗାଜିଗୁଡ଼ିଲ୍ଲା, ମାରିଲିଏ ଏକ ଗାନ୍ଧିମିଶ୍ର, ମେନ୍ଦ୍ରିଯାର୍ଥୀ ଓ ଅନ୍ତରେ ଶିଳ୍ପୀ କିମ୍ବାକୁଳ ତଥାଲୋଲିଶ୍ଚି“।

ახლა სტუდენტაების დასახლებაში მარტო ცხოვრის. სამი შეიღო ჟყავს, სამივე დაოვახე-  
ბულა.

ლადა გიმიონავალი  
გივანდ გამოინავალი  
სოფელი სკრა

„1995 წლის დეკემბერი მე 75 წლის დროს მასთან შეიღები სხვალისტინ, მაგრავი როგორც კამინის გადაფათ, ან სკმიაბა შეუძლებელი გახდა, და შემოხვერი საფულად დაუსრულებითია“.

სატენის ლადა და შიგნივრა მარტი ცერესონებრი, მათიც, რომ ა-ლან დარჩის საფულად ყოველ მათვის შოლოლი მესაქონლეობით გაქცინდათ თავი.

2008 წლის ოქტომბრის, 16 აგვისტოს მიწოდებულების კაცებისა და უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლობის მიერ არ მიღებიან, მარტი უმომართდა, უსრულებულ უკუცორებდა, რომ მათვის შოლოლი მოვარდია.

„უკისია კურ დაკვირვებული, ტრანსპორტი კა დარ იყო. 8 სეტემბერს ამდე სოფული დავტანი, თუმცა მათვის შოლოლი დავტანი, რატომ არ მიღებიან, მარტი არ გუანინია? საფულადს არ მემორია, უსრულებულ უკუცორებდა, რომ მათვის შოლოლი საფულად, როგორ გაუქმდებოდნ ჩემი გაზრდილ დაქონილი“.

8 სეტემბერის კა ლანი ნიშვნული ჯურის მანქანის გამოიყენა და ამას გრძობი, ქანკრიან ურიალა.



უკრაინის  
მოწვევი



თიხის მიზანი მისამართ  
თავას გასცვილი  
ნიდა გასამავილი  
სოფელი სურა

2008 წლის ოქტომბერში დადგინდნების  
ზემობაში, სოფელი უკრაინის ცენტრის  
მდინარეზე.

„მასშიანებელი, დამწერ დანენერ სოფელების  
მდინარეზე სამოსულეულეს გეოენის, მოწვევის  
და განვითარების მიერთი კა განვითარება. 9  
ავგისტის დღის ცენტრის მდინარის მასშიანებელი ჩატვირთვის  
მიზნების მისამართით მისი განვითარების  
და გადამკვეთრის და ასე განვითარების  
იქიდან, მაგრა არ ნამდვივე მკედრი  
პერიოდ უკვე 14 ავგისტის კა უცხოა  
გადამკვეთრით“, – ისტერნის 19 ნოიმი თა-  
მირი.

სოფელის დადგინდნების გადამკვეთრის  
დატრიუმფი, თბილის გარე პრივატუ-  
ლურის და საკუთრივი საცენტრო დაცვაში  
მომავალი, 2013 წლის დეკემბერის  
კა გამომდინარე, დეკონსტრუქციის  
კონცეპტი ცოლორისტების მარტინ ბერების  
მიზნების და დამწერების მიზნების  
დატრიუმფი.

ოჯახში სულ ხუთი არიან, მათგან  
არც ერთი არ მუშაობს. ერთადრისი  
შემოსავალი სიცოცხლის დამარცხება,  
ბაღში კა ლიმიტი მოჰყოვთ.

ବେଳି ପାତାଙ୍କରଣ  
ମହିଳାଙ୍କ, ମାଦ୍ରାସା, କର୍ତ୍ତୃଭାବରେ

“ବୀରିନ ଏହିବ୍ୟାଙ୍ଗରେ ଏହି ମହିଳାଙ୍କ,  
ଏହି ମୁଦ୍ରାରେ ଏହି ମୁଖରେ ଏହି ଚାରିଛା,  
ଏହି ମହିଳାଙ୍କ କ୍ଷୁଦ୍ରିତିରେ ଏହି ଶତାବ୍ଦୀ ଏହି ମହିଳାଙ୍କ”.

ତାଙ୍କର ମହିଳାଙ୍କ ସାହେବରେ ଏହି ମହିଳାଙ୍କରେ  
ମହିଳାଙ୍କ ସାହେବରେ ଏହି ମହିଳାଙ୍କରେ  
ମହିଳାଙ୍କରେ

ମୁଣ୍ଡ ଦୁଇଶ୍ଵରର ଘାନାଶ୍ଵରରେ, ଶ୍ରୀମଦ୍ଭା  
ଗାଣା ମନୋଧୂର ଓ ମାଧ୍ୟମରେ, ଉତ୍ତରାଳୀର  
ବାହେଯରେ ଏହି ମହିଳାଙ୍କ ଏହି ମହିଳାଙ୍କରେ

2008 ମେସି ମେଇ ମେଲିରୁଥିରୁ, ମିଳି ଶ୍ରୀମଦ୍ଭାଗାନାମି  
ମହିଳାଙ୍କ ମହିଳାଙ୍କରେ, ମିଳି ଶ୍ରୀମଦ୍ଭାଗାନାମି  
ମହିଳାଙ୍କ ମହିଳାଙ୍କରେ, ମହିଳାଙ୍କ ମହିଳାଙ୍କରେ

“ମହିଳାଙ୍କ ଦ୍ୱାରା କରିଯାଇ ଦୁଇ ମହିଳାଙ୍କ,  
ଦୁଇମହିଳାଙ୍କରେ ଏହି ମହିଳାଙ୍କରେ ଏହି ମହିଳାଙ୍କରେ

ଏହିମାତ୍ରରେ ଏହି ମହିଳାଙ୍କରେ ଏହି ମହିଳାଙ୍କରେ  
ଏହିମାତ୍ରରେ ଏହି ମହିଳାଙ୍କରେ ଏହି ମହିଳାଙ୍କରେ

ଏହିମାତ୍ରରେ ଏହି ମହିଳାଙ୍କରେ ଏହି ମହିଳାଙ୍କରେ  
ଏହିମାତ୍ରରେ ଏହି ମହିଳାଙ୍କରେ ଏହି ମହିଳାଙ୍କରେ  
ଏହିମାତ୍ରରେ ଏହି ମହିଳାଙ୍କରେ ଏହି ମହିଳାଙ୍କରେ



უკრაინული  
გამოცდისათვე



გარიბი ირავავილი  
მაფონ და იმის მასრავი  
სოფელი სკარა

«ექიმები» სახავდელურიანი კომუნისტი.  
მას დრის ქრისტენების დაწყლის მეტანალისმა უცნაურებელი იყო. 7 ავგუსტის იტ ერავა, უკინ გამოსცელ  
ძალის გადვიწრიდა. ამტკიც, მოუკლ  
ოვაბი ტუშა გავლით, უკინ ნამოცკე  
დით».

მარინე ახალ გორის, სოფელ სკარაში  
შელთან, რაბათან დ 2 მეტანალი-  
ანა შელა-შელილი ერთად კარგად ცხოვილი.

აჩანას, რომ აქ ცხოვილი ძალის  
უკინის, უკინის იმის გასსიჩქანა, რომ  
ძერების მინისტრების შედეგ სალის  
თავიდან ავრიცხო მოუკლ, რომ ეს ეს  
კადალები მეტანურებ გარემოდებული.

კაზხაშეც აქებ თუ არა თავის სო-  
ფელი დამტურების ინტერეს მასუთი არ  
გამოსია. უამძლეოდ ვარ. უძრავილდე-  
სხვა ვას არ მატეს. ცხოვილის გამტლ-  
დება და ჩეკეც ვაგრძელებულ მასთან  
შეცვერას».



৩৮৯৩৬০৫০

მირაბ პეტერიან  
ლალი კოდუა

მერაბსა და ლალის ორი შევღიო ქაუ-  
ო. მის მერე სენაჟში ცხოვრილდნენ: რო  
თთახში პატარა ლიბაზე 4 ადა-  
ანს გვეძინა ხოლმე".  
მერე თბილისში, რეინიგზის ქუჩაზე  
დმოვიდნენ:

“თავიდნ ძალიან გაგეოჭრიდა, ერთი  
მიღილისელი მეზობელი გვყავდა, თუ-  
ნაც არაუერთ გამჩნდა, მაგრამ რი-  
ც შექლი კველანარია დ გვერდში  
გვიდგა”.


ოჯახი დებადის და ლალის უძველე-  
ბიჭე მუშაობს მხოლოდ, 26 წლისაა  
ა ბაზალეთში, ჯარში მსახურობს.

მერაბი აპბობს, რომ აფაზეთის  
შემი მეტრიკოლები ერთი დაღი თამაშის  
ინარილები იყვნენ: „ჩევნი მომავალი  
დღისუფლებაში მყიფებ უცხო ადა-  
ანებმა გადაწყვიტეს“.

ხარისხოვ გიმინავილი  
სოფელი ცენტრ

„ასტერიუსში დიდი და კარგი სახლია მქონედა. საქონელი, ხარისხი, ძრობები... მწერლა და უკარი თავისით იმის უკარი, როგორ იწყება მეტ სახლი, რეზიტი და ბაზა?“


2008 წლის ოქტომბრი, ერთი თევზაურის საცხოვრებელი უნი მიატოვა. ახლა სოფელი სკოლის მატრიცა კურტურული შეცდების და 84 წლის ცოლისთვის ერთადაც გარეთ ცხრდა. ეს იმანი გასაჩინოვდა ლობითა გაძლილი. უნის მიმდევას უწინებო. ამინას, რომ უქ საცხოვრის სულ სხვანარი პატა იყო, კყლილური მოყოლეობა აქ ნაცა რომ მოღვარი, მაგრევებრივი გუახარი.“



# ნასამართლება = ნაცემები?

ხელისუფლების შეცვლისა და მასობრივი ამნისტიის შემდეგ სასჯელაღსრულების დაწესებულება 14 000-მდე პატიმარმა დატოვა. ციხეებს სხვადასხვა მიზეზით პატიმრები ყოველდღიურადაც ტოვებენ. ცხოვრებას კი ნასამართლევის სტატუსით აგრძელებენ. ეს ის სტიგმაა, რის გამოც მათ სოციალურ ურთიერთობებშიც და დასაქმებაშიც პრობლემები ექმნებათ. საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან უარყოფა კი, ხშირ შემთხვევაში, ხელახალი დანაშაულის ჩადენის მიზეზი ხდება.

## ქეთევან ლველაშვილი



”ყველაზე მეტად გული იმაზე მწყედება, რომ სახელმწიფო არაფერს აკეთებს იმ ახალგაზრდისთვის, რომელიც ასე მონდომებულია, რომ თავისი საქმე აკეთოს, ოჯახის კეთილდღეობაზე იზრუნოს და სხვებსაც დაეხმაროს. მე ვფიქრობ, ჩემს შემთხვევაში სახელმწიფო თავის ერთ-ერთ მოქალაქეს ხელს ჰყრავს. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ მას არ ვჭირდები და ყველაზე მეტად ეს მორგუნვას“.

36 ნლის გაგა ჭიბორიამ სასჯე-ლალსრულების დაწესებულება 2013

ნლის თებერვალში დატოვა. ე.ნ. მართაჭალის კრიტში სამწელინადნა-ხევრის გატარების შემდეგ გარეთ მას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე დედ-მამა, უმუშევარი მეუღლე და მცირენლოვანი შვილი დახვდა.

იმის გათვალისწინებით, რომ მის შშობლებს ყოველთვიურად 300-400 ლარის ნამლები სჭირდებოდათ, გა-გასთვის კველაზე მნიშვნელოვანი სა-მსახურის პოვნა იყო. შემდეგ კი მის ოჯახს ორი ტყუპი გოგონა შეემატა და ეს საკითხი მისოთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა.

როგორც თვითონ იხსენებს, გათა-  
ვისუფლებიდან მესამე დღესვე იუს-  
ტიციის სახლში, დანაშაულის პრ-  
ვენციის ცენტრში მივიდა. როგორც  
ამბობს, კარგად მიიღეს, ფსიქოლოგ-  
თან გაგზავნეს, შესაბამისი გამოკვ-  
ლევა ჩაუტარეს და წალმებითაც დაქ-  
სმარნენ. ცენტრში ზოგადი უნარების  
განვითარების ტრენინგიც გაიარა.  
მაგრამ ვერ მიიღო ის, რაც ყველაზე  
მეტად უნდოდა – სამსახური. ამბო-  
ბს, რომ ცენტრის თანამშრომლებმა,  
მონდომების მიუხედავად, ეს ვერ შე-  
ძლეს, რადგან შესაბამისი ბაზა არ

აქვთ. იქ გასაუბრებაც გაიარა და და-  
პირებაც მიიღო, რომ მისი უნარების  
შესაბამისი სამსახურის გამოჩენის-  
თანავე დაუკავშირდებოდნენ.

„გათავისებული მაქვს, რომ ვინც  
არ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, ვერავინ პირში ლუკმას ვერ ჩაგიდე-  
ბს. შენი თავი თვითონ უნდა არჩინო. მეც მხოლოდ იმას ვითხოვ სახელ-  
მწიფოსან, რომ მუშაობის შესაძლე-  
ბლობა მომცეს. მეტო არაფერი მინ-  
და“, – ამბობს გაგა ჭიხორია.

ის იხსენებს, რომ ციხიდან გამოს-  
ვლამდე რამდენიმე ხნით ადრე პა-  
ტიმრებმა თეა წულუკიანის წერილი  
მიიღეს, სადაც ის მათ გვერდში დგო-  
მას ჰპრდებოდა.

„იმ განცდით გამოვედი იქიდან, რომ ჩემს უკან სახელმწიფო იდგა. ვილაცები ფიქრობდნენ ჩემზე და  
ათასობით ჩემნაირ ადამიანზე“.

„C ჰეპატიტის“ მატარებელი ყოფი-  
ლი მსჯავრდებულისთვის გაუგება-  
რია ისიც, მეურნალობაზე 60%-იანი  
ფასდაკლებით როგორ უნდა ისარგე-  
ბლოს, როცა დარჩენილი 40%-ის გა-  
დახდა არ შეუძლია.

გაგა ჭიხორიასთვის საჯარო სამსა-  
ხურის კარი მას შემდეგაც დახურული  
დარჩა, რაც ყოფილმა პრეზიდენტმა  
ნასამართლობა მოუხსნა. მანამდე კი,  
ჯერ კიდევ ნასამართლობის მქონემ,  
დასაქმების თხოვნით სასჯელასრუ-  
ლების მინისტრის მოადგილეს, გოგა  
გომრგაძეს მიმართა. მან განუმარტა,  
რომ მისთვის იმ ეტაპზე მხოლოდ  
შენებლობაზე მუშაობა იყო შესაძ-  
ლებელი.

იმ პერიოდში ქავთარაძის ქუჩაზე  
სამინისტროს ახალი შენობა შენ-  
დებოდა და მან იქ ე.ნ. შევ მუშად  
დაიწყო მუშაობა. ამბობს, რომ დი-  
ლის 9-ის ნახევრიდან საღამოს 9-ის  
ნახევრამდე 20 ლარად მუშაობდა და  
მოუხდავად ამისა, კმაყოფილი იყო  
„ეს მანც რომ ჰქონდა“. მგზავრობი-  
სა და კვების მინიმალური ხარჯისგან  
მოჩენილი თანხა ორსულ მეუღ-  
ლესთან და ავადმყოფ მშობლებთან  
მიჰქონდა.

„არცერთ საქმეს არ ვთავილობ.  
არცერთი საქმე არ მგონია დამა-

ცირებელი. ლირსების შეურაცხყოფა  
ჩემი აზრით ისაა, ქუჩაში ხელგა-  
ნვდილი იდგე და ვიღაცას სიგარეტი  
სთხოვო“.

ამ დროებითი სამსახურის შემდეგ  
ცოტა ხანს მეგობრის კაფეში მუშაო-  
ბდა, მაგრამ მართვის მონაბის არ-  
ქონის გამო დიდხანს დარჩენა იქაც  
ვერ შეძლო. ამის შემდეგ, მუდმივად  
სამსახურის ძიებაში მყოფმა, თვითმ-  
მართველობის არჩევნების წინა პე-  
რიოდში „ქართული ოცნების“ აგი-  
ტატორად დაიწყო მუშაობა. ამბობს,

**■ „გათავისებული მაქვს,  
რომ ვინც არ უნდა მოვიდეს  
ხელისუფლებაში, ვერავინ  
ლუკმას ვერ ჩაგიდებს პირში.  
შენი თავი თვითონ უნდა  
არჩინო. მეც მხოლოდ იმას  
ვითხოვ სახელმწიფოსან,  
რომ მუშაობის  
შესაძლებლობა მომცეს. მეტი  
არაფერი მინდა“, – აღნიშნავს  
„ლიბერალთან“ საუბრისას  
გაგა ჭიხორია.**

რომ მიღებულ 150 ლარად მხოლოდ  
ელემენტარული საჭიროების დაკ-  
მაყოფილებას ახერხებდა და ისიც  
მხოლოდ დროებით.

არ იცის, მომავალში რა იქნება,  
თუმცა იმედს მაინც არ კარგავს.  
ციხეში გატარებული დროის ასანა-  
ზღაურებლად გაგა მაგისტრატურაში  
ჩააბარა, 100%-იანი დაფინანსებაც  
მიიღო და ახლა უკვე მეორე კურსის  
სტუდენტია. იმედოვნებს, რომ ადგი-  
ლობრივი თვითმმართველობის შესა-  
ხებ ახალი კანონის ძალაში შესვლის  
შემდეგ დასაქმებას შეძლებს. რადგან  
როგორც თვითონ ამბობს, არც ტეს-  
ტირების ეშინია და საკუთარ შესაძ-  
ლებლობებშიც დარწმუნებულია.

„მომავლის იმედი მაშინაც კი არ  
დამიკარგავს, როცა ორთაჭალის  
„კრიტიში“ ვიყავი და 5-6 ადამიანი

გავეშებული მირტყამდა. ვიცი, რომ  
თუკი სწორად და პატიოსნად ვიცხო-  
ვრებ, მერე ყველაფერი კარგად იქნე-  
ბა, მაგრამ ეს მერე როდის დადგება,  
არ ვიცი“.

გაგა ჭიხორიას მსგავსად უმუშე-  
ვრობა სხვა ბევრი პატიმრის ერთ-  
ერთი მთავარი პრობლემაა. იმ ფონ-  
ზე, როცა ქვეყანაში უმუშევრობის  
პრობლემა ასე მნვავედ დგას, ყოფი-  
ლი პატიმრებისთვის დასაქმება კი-  
დევ უფრო რთულია.

ამის პირველი და ძირითადი მიზეზი  
ნასამართლობის სტიგმაა. ყოფილ პა-  
ტიმარს ან პატიმრობის გარეშე ნასა-  
მართლეულ პირს საზოგადოება ნაკლე-  
ბად ენდობა. დამსაქმებელს უჭირს  
თუნდაც ნასამართლობამოხსნილ,  
მაგრამ ნარსულში ციხეში მყოფ ადა-  
მიანს ნდობა გამოუცხადოს.

დასაქმებისას კიდევ ერთი პრო-  
ბლემა საჭირო უნარების არქონაა.  
ვინც ციხეში დიდ დროს ატარებს,  
გათავისუფლების შემდეგ ახალ სა-  
მუშაო პირობებზე მორგება უჭირს,  
რადგან დამსაქმებლის მოთხოვნების  
შესაბამისი უნარ-ჩვევები აღარ აქვს.

„დემორატიის ინსტიტუტის“ აღ-  
მასრულებელი დირექტორი გენადი  
გელაძე ამბობს, რომ სახელმწიფოს  
როლი ამ პროცესში გადამწყვეტია,  
რადგან სწორედ მან უნდა დაადგინოს  
ყოფილ პატიმართა საჭიროებები, შე-  
მდგომ საჭირო უნარ-ჩვევების შეძენაში  
დაეხმაროს და მათი დასაქმებისთვის  
შესაბამისი გარემო შექმნას.

გენადი გელაძე ამბობს, რომ სა-  
სურველია, თუ პატიმართა საჭირო-  
ებები სასჯელასრულების დაწესე-  
ბულებაში ყოფნისას შეფასდება. მისი  
შეფასებით, სახელმწიფოს დახმარება  
ყოფილ მსჯავრდებულთათვის ხარის-  
ხიანი განათლების მიღებას შეუწყობს  
ხელს: „ამას სჭირდება არა მხოლოდ  
სახელმწიფოს ნება, არამედ შესაბა-  
მისი ფრანგული რესურსებიც“.

გენადი გელაძე კერძო და საჯარო  
სექტორში დასაქმების შეზღუდვის  
სხვადასვა ფაქტორზე საუბრობს.  
მისი თქმით, საჯარო სამსახურში თა-  
ნამდებობების თითქმის უმრავლესო-  
ბაზე ნასამართლები პირის დანიშვნა

აკრძალულია. ეს შეზღუდვა კერძო სექტორზე არ ვრცელდება. თუმცა ის ფაქტი, რომ კერძო კომპანიები ანკეტის შეესხისას ნასამართლების შესახებ ინფორმაციასაც ითხოვენ, შესაძლოა იმაზე მეტყველებდეს, რომ ნასამართლობის მქონე პირს სასამხურში არ აიყვანენ.

გენო გელაძე მიიჩნევს, რომ მიუხედავად შეზღუდვებისა, საჯარო სექტორშიც მოიქცენება ისეთი ადგილები, სადაც ნასამართლევ პირზე აკრძალვა არ არის და მისი დასაქმება შეიძლება, კერძო სექტორს კი ამ მხრივ სრული თავისუფლება აქვს. მაგრამ იგი აღნიშნავს, რომ დამსაქმებლებისთვის წარსულში ნასამართლევი პირის დანიშვნა პრობლემურია.

კომპანია „ავერსის“ მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი ლალი ბრეგვაძე „ლიბერალთან“ საუბრისას განმარტავს, რომ კომპანიაში დასაქმების მსურველი ანკეტის შეესხისას მისი ან მისი ოჯახის წევრების ნასამართლობის შესახებ ინფორმაციას უთითებს.

ბრეგვაძე განმარტავს, რომ თანამშრომლების შერჩევისას ნასამართლობის ფაქტორს აუცილებლად ითვალისწინებენ. თუმცა კარგი მონაცემების ქონის შემთხვევაში ამის გამო უარს არავის ეუბნებიან:

„როცა თანაბარ პირობებში არიან ნასამართლევი და არანასამართლევი პირი, მის წარსულს ვითვალისწინებთ და შესაძლოა, უპირატესობა არანასამართლევს მივანიჭოთ. ალბათ ყველა ასე მოიცეოდა. მაგრამ სხვა შემთხვევაში ნასამართლობას ჩვენთვის გადამწყვეტი მიშვნელობა არ აქვს“.

ლალი ბრეგვაძის ინფორმაციით, ამჟამად „ავერსის“ დაცვის სამსახურში ბევრი წარსულში ნასამართლევი პირი მუშაობს.

განსხვავებული მიდგომა და პრაქტიკა აქვს ამ მხრივ „პროკერდიტ ბანკს“. როგორც მარკეტინგის განყოფილების უფროსი ნატო ბოჭორიშვილი „ლიბერალთან“ საუბრისას ამბობს, მათ წარსულში ნასამართლე-

ვი თანამშრომელი ჯერ არ ჰყოლიათ. მაგრამ განმარტავს, რომ თუკი მომავალში ასეთი შემთხვევა ექნებათ, გადაწყვეტილების მიღებისას პირის მიერ ჩადენილ დანაშაულსა და მის მიერ დასაჯავებელ თანამდებობას გაითვალისწინებენ:

„ჩვენ აუცილებლად გავითვალისწინებთ იმას, თუ რა თანამდებობაზე ვნიშნავთ მათ და რაზე იყვნენ ნასამართლევები. ასე რომ, ცალსახად იმის თქმა, რომ ნასამართლევები არიან და არ ავიყვანთ, ასეთი მიდგომა არ გვაქვს“.

რაც შეეხება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონს, მისი

## დამსაქმებლებისა

### და საზოგადოების

#### მხრიდან სტერეოტიპული

#### დამოკიდებულების

#### არსებობაზე მეტყველებს ის

#### ფაქტიც, რომ სტაუირების

#### პროგრამის ფარგლებში

#### დასაქმებული 20

#### ბენეფიციარიდან 6 ადამიანი

#### პროცესს დისკრიმინაციული

#### მიდგომის გამო გამოეთიშა.

მე-17 მუხლის თანახმად, საჯარო სამსახურში არ მიიღება პირი, თუ იგი ნასამართლევია განზრას ჩადენილი დანაშაულისათვის და ნასამართლობა მოხსნილი არა აქვს.

თუმცა არის შემთხვევები, როცა თავად ყოფილი მსჯავრდებულები ამბობენ დასაქმებაზე ან სწავლაზე უარს. გელაძე განმარტავს, რომ არ შეიძლება ეს ისე გავიგოთ, თითქოს მათ დასაქმება არ უნდათ. ის ამას საზოგადოებისა და დამსაქმებლის მხრიდან უნდობლობით ხსნის და ამბობს, რომ ყოფილი პატიმრები ამ დამოკიდებულებას გრძნობენ. გელაძე მიიჩნევს, რომ სახელმწიფო სწორები იმ ადამიანებს უნდა დაეხ-

მაროს, ვასაც არაფრის იმედი აღარ აქვს.

სხვა შემთხვევებში დანაშაულის რეციდივის რისკი საკმაოდ დიდია. შემოსავლისა და სამსახურის გარეშე ყოფნა, შესაძლოა, განმეორებითი დანაშაულის ჩადენის მიზეზი გახდეს. ამის პრევენცია კი ციხეებში სხვადასხვა ხელობის სწავლებითა შესაძლებელი.

გენადი გელაძე ამბობს, რომ საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული განწყობის შეცვლა საინფორმაციო კამპანიითა და ნარმატებული პრაქტიკით შეიძლება. ამაში კი ყველაზე დიდ როლს სახელმწიფოს ანიჭებს, რადგან მიიჩნევს, რომ მხოლოდ ცალკეული ორგანიზაციები ამას ვერ შეძლებენ.

გელაძე ნარმატებული პრაქტიკის ერთ-ერთ მაგალითად ბათუმში არსებულ იმ სამშენებლო კომპანიებს ასახელებს, რომლებმაც ყოფილი მსჯავრდებულები დაასაქმეს. თავადაც აღნიშნავს, რომ მის მიერ დასაქმებული ყოფილი პატიმრებიდან განმეორებითი დანაშაული არავის ჩაუდენია და უფრო მეტიც, ისინი უფრო პასუხისმგებლიანები არიან, ვიდრე სხვა თანამშრომელი.

დამსაქმებლების სტერეოტიპულ განწყობაზე საუბრობს იუსტიციის სამინისტროს ხსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ დირექტორი ჯონი კვინიკაძე. ცენტრი 2012 წლის დეკემბრიდან რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროგრამას ახორციელებს. მისი ფუნქცია მხოლოდ პატიმრითა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციაა, მაგრამ ცენტრის თანამშრომლები ცდილობენ, ყოფილ პატიმრებს დასაქმებაშიც შეუწყონ ხელი.

„ჩვენი მიზანია, რომ ამ ადამიანის ყველა უფლება და ამასთან, განმეორებითი დანაშაულისგან საზოგადოების უსაფრთხოება იყოს დაცული“.

პროგრამაში ჩართულ თანამშრომლებს სხვადასხვა დამსაქმებელთან აქვთ ურთიერთობა. მათ რამდენიმე ძირითადი მოთხოვნა აქვთ – პოტენციურ დასაქმებულს ფსიქიკური პრობლემები არ უნდა ჰქონდეს და

## საჯარო მუნიციპალიტეტის შემთხვევა

რეციდივის მიღებილი არ უნდა იყოს. კომპანიების ნაწილი ცენტრის შექასებებს ენდობა.

თუმცა არიან ისეთებიც, ვინც ყოფილ მსჯავრდებულთა დასაქმებისგან თავს იკავებენ. მათ ნარსულში ნასამართლევი პირის მიერ დანაშაულის რეციდივის ეშინიათ. თანაც ფიქრობენ, რომ ყოფილ მსჯავრდებულს ციხეში რამდენიმე წლის გატარების გამო ფსიქიკა შერყეული ექნება.

იმის გამო, რომ საქართველოს შრომის ბაზრის საჭიროებების შესახებ სრულფასოვანი კვლევა არ არსებობს, პროგრამის ბენეფიციარებისთვის პროფესიის შერჩევა ორი კრიტერიუმით ხდება – მათ გადასამზადებლად შემოთავაზებული რესურსები და თავად ყოფილ მსჯავრდებულთა შესაძლებლობები: „ეს ორი თუ ერთმანეთს დაემთხვა, ბუნებრივია, ბენეფიციარი ამ კურსს დაესწრება“.

კომპიუტერული უნარები, ბიზნესის ნარმოება, ბუღალტერია, მებათქაშეობა, ლეგვა, მეფილეობა, ჭერის გაკეთება და ა.შ. – ეს ის პროფესიებია, რისი დაუფლებაც პროგრამის ბენეფიციარებს შეუძლიათ.

დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის ინფორმაციით, მათი დახმარებით 90-მდე ბენეფიციარი დასაქმდა.

დამსაქმებლებისა და საზოგადოების მხრიდან სტერეოტიპული დამოკიდებულების არსებობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სტაუირების პროგრამის ფარგლებში დასაქმებული 20 ბენეფიციარიდან 6 ადამიანი პროცესს დისკრიმინაციული მიდგომის გამო გამოეთმა:

„საერთო შეხვედრა გვქონდა, რაღაც ზე დავრჩი ითახმი. რომ დაინახეს, მარტო ვრჩებოდი, ყველამ ყველაფერი გაიტანა ითახმიდან. როცა სხვები რჩებოდნენ მარტო და მე არ ვიყავი ითხაში, არავის არაფერი არ გაპქონდა. ეს იმდენად შეურაცხმულოფერი აღმოჩენა მისთვის, რომ ვეღარ გაძლო და წამოვიდა“, - იხსენებს ერთ-ერთი ბენეფიციარის ისტორიას ცენტრის დირექტორი.

თუმცა იგი აღნიშნავს, რომ არიან ისეთი კომპანიებიც, რომლებიც ცენტრს პატიმართა დასაქმებაში ხელს უწყობენ. ერთ-ერთი ასეთია სამშენებლო კომპანია „ჩეოჩი“. მისი მენეჯერი ვახტანგ ნიკოლავა ამბობს, რომ პროგრამაში ჩართვის ინიციატივა თავად კომპანიას გაუზიდა. ფიქრობს, რომ ყოფილ პატიმართა დასაქმება ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობაა.

სსიპ-ის თანამშრომელი ბენეფიციარების სიას აწვდიან, კომპანია კი მშენებლობაზე ასაქმებს მათ. „ჩეოჩი“-საც სხვა დამსაქმებლების მსგავსი მოთხოვნები აქვს და ამას ემატება მესამეც – ბენეფიციარი ნარკოტიკის მომზარებელი არ უნდა იყოს.

ამ დრომდე კომპანიაში რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროგრამის 10-მდე ბენეფიციარი დასაქმდა. ნიკოლავას ინფორმაციით, ეს ადამიანები სხვა თანამშრომელთან შედარებით უფრო მოტივირებულებიც არიან და მეტ პასუხისმგებლობასაც გრძნობენ. ერთი მათგანი საწყობის უფროსადაც დანიშნეს და ნიკოლავას შეფასებით, იგი საქმეს თავს ძალიან კარგად ართმევს.

„ამ ადამიანებმა დაიწყეს ახალი ცხოვრება და ამგვარად, ალარას-დროს დაბრუნდებიან ციხეში“, - ამბობს კომპანიის მენეჯერი.

იგი ყოფილ მსჯავრდებულების დასაქმებისკენ ყველა კომპანიას მოუწოდებს და განმარტავს, რომ ეს ისევ ბიზნესისთვისაა სასიკეთო. ნიკოლავა მიიჩნევს, რომ ამით ადამიანებს დასაქმებაშიც ემარება და უსაფრთხო გარემოს შექმნასაც უწყობს ხელს:

„ერთი მხრივ, ბიზნესმა ხელი უნდა შეუწყოს ასეთი პროგრამების განვითარებას და მეორე მხრივ, ბიზნესმა უნდა იგრძნოს თავისი სოციალური პასუხისმგებლობა იმაზე, რაც ქვეყნაში ხდება, ანუ ადამიანების დასაქმებას და კრიმინოგენული მდგომარეობის გაუმჯობესებას უნდა შეუწყოს ხელი. მხოლოდ სახელმწიფოს მოქმედებით სიტუაცია ვერ გამოსწორდება“.

## საჯარო მუნიციპალიტეტის შემთხვევა

საქართველოს შრომის კოდექსის მეორე მუხლის მესამე პუნქტი შრომით და ნინასახელშეკრულები ურთიერთობებში ყოველგვარ დისკრიმინაციას კრძალავს. სხვა ნიშნებთან ერთად ეს პუნქტი სოციალური კუთხით დისკრიმინაციის გამო დისკრიმინაციის აკრძალვასაც ეხება.

შრომის კოდექსის მეორე მუხლის მეოთხე პუნქტი:

„დისკრიმინაციად ჩაითვლება პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევრნოვება, რომელც მიზნად ისახავს ან ინვეცია მისითვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ლრსების შემლახავი ამ შეურაცხმულოფერი გარემოს შექმნას, ან/და პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით“.

რაც შეეხება ყოფილ მსჯავრდებულთა დასაქმების პროცესში სახელმწიფოს ვალდებულებას, კვინიკაძე აცხადებს, რომ იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის მიერ პროგრამის დაფუძნება ამ ვალებულების აღების ერთ-ერთი ნიშანია. იგი აღნიშნავს, რომ ამნისტიის შედეგად გათავისუფებულთა რიცხვთან შედარებით მათი ბენეფიციარების რაოდენობა ძალიან მცირება. მაგრამ აღნიშნავს, რომ მათი თანამშრომელების რაოდენობა იზრდება და ამით ბენეფიციართა რაოდენობაც გაიზრდება.

ჯონი კვინიკაძე მიიჩნევს, რომ მხოლოდ სახელმწიფო ყოფილ პატიმართა დასაქმების პროცესს ვერ გაუმჯობედება, ამ პირცესში პოტენციური დამსაქმებლებიც უნდა ჩაერთონ. საზოგადოება კი თავს მშვიდად მაშინ იგრძნობს, როცა ეცოდინება, რომ ყოფილი პატიმარი რეალიზებულია და დანაშაულის რეციდივის საფრთხოების დართვები არ არსებობს. □



# Hennessy

პრემიალური ბრენდი ახალგაზრდა და წარმატებული ადამიანებისათვის

They wanna know who's my role model, It's in the brown bottle - Hennessy - ამჟერად ჯაზის ფონზე, ბათუმში, 2014 წლის შავი 8 ღვის ჯაზესტივალზე.

ღია სივრცეში საგანგებოდ ფესტივალისათვის მოწყობილი სცენა, უამრავი ადამიანი წითელ ხალი-ჩაზე, Kool & the Gang-ის შესრულებით მიღებული სი-ამონება და პენესის მრავალფეროვანი კოქტეილები უკეთესი განწყობის შესაქმნელად:

Hennessy Berry (პენესი მოცვი), Hennessy Apple (პენესი ვაშლი), Hennessy Ginger (პენესი ჯანჯაფილი) და ექსკლუზიურად ჯაზესტივალზე გამოტანილი პენესის ლიმიტირებული გამოშვება - Hennessy Os Gemeos, რომლის დიზაინიც ცნობილმა პორტუგალიელმა არტისტებმა შექმნეს (ამ უკანასკნელის შეძენა მომხმარებელს თბილისა და ბათუმში მხოლოდ მაღაზიათა ქსელ „ვისკის სახლებში“ შეუძლია).

Hennessy უკვე მეორე წელია, Black Sea Jazz Festival-ის ერთ-ერთი პარტნიორია. წელს ის ფესტივალის ოფიციალურ სპონსორად წარსდგა, როგორც ექსკლუზიური სასმელი.

ჰენესი - უმაღლესი ხარისხის ფრანგული კონიაკი ერთ-ერთია იმ რამდენიმე ათეული ცნობილი ბრენდიდან, რომელთა დისტრიბუციასაც ქართულ ბაზარზე კომპანია International Brands Network აწარმოებს.

უკვე რამდენიმე წელია, Hennessy სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, კულტურული ღონისძიებების (მუსიკა, მხატვრობა, კინო, თეატრი თუ სხვა) მხარდამჭერია. ამ მხრივ აღსანიშნავია - Hennessy Very Special, ბრენდის გამორჩეული წარმომადგენელი ეტიკეტზე დატანილი სამი ვარსკვლავით, ერთ-ერთი ყველაზე ძველი და სახელგანთქმული ფრანგული კონიაკი.



Hennessy Very Special ასამბლაჟი 40-ზე მეტი სახეობის 3-დან 7 წლამდე დაძველების კონიაკის სპირტს მოიცავს და მისი მთავარი მიმართულება კულტურულ ღონისძიებებთან არის დაკავშირებული. მომხმარებელთა კატეგორიაც შესაბამისი ჰყავს - ახალგაზრდა, წარმატებული ადამიანები.

კატეგორიალი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და საინტერესო პროექტია, რომელიც ყოველწლიურად იხვეწება და ჯაზის მოყვარულებს გამორჩეული კონცერტებით ანებივრებს, ფესტივალის სტუმრებს კი პრემიალურ სასმელს მეორე წელია კომპანია International Brands Network სთავაზობს.

წელს ჰენესი ჯაზტესტივალის ოფიციალურ სასმელად დასახელდა, ამიტომაც ეს პარტნიორობა, სავარაუდოდ, მომავალ წელსაც გაგრძელდება.

კომპანია International Brands Network-ში მიიჩნევენ, რომ საჭიროა ჰენესის, როგორც მიუწვდომელი, ძვირადიორებული კონიაკის, სტერეოტიპის დანგრევა, რომელიც მხოლოდ ასაკოვანმა ხალხმა უნდა დაგემოვნოს, რადგან ჰენესის კოქტეილები, მსოფ-

ლიოში უკვე ცნობილი და პოპულარული ტრენდი, სპეციალურად ახალგაზრდა და წარმატებული ადამიანებისთვის არის შექმნილი.

Hennessy-ის, როგორც კულტურული ღონისძიებების ერთ-ერთი მთავარი პარტნიორის სამომავლო გეგმები მხოლოდ ჯაზტესტივალით არ შემოიფარგლება და ამ მიმართულებით საქართველოში არაერთი საინტერესო აქტივობაა დაგეგმილი.

მათ შორის არის დოკუმენტური ფილმი, რომელსაც მაყურებელი ნოემბრის ბოლოს იხილავს. გადაღება ამ ზაფხულს საფრანგეთში, კონიაკის რეგიონში - ჰენესის სამშობლოში გაიმართა. მანამდე ჰენესი თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის სტუმრებსაც უმასპინძლებს. დაგეგმილია ასევე წვეულება მედიის წარმომადგენლებისთვის და დიდი საახალწლო ღონისძიება, რომელიც ამ პრემიალური ბრენდის ლოიალური მომხმარებლებისათვის გაიმართება.

# ბაზარის სამოგზაურო მიღიან

ნინო ნატროშვილი

სმარტფონი, პლანშეტი, ბუკრიდერი, ნოუთბუქი, ნეტბუქი, ფოტოაპარატი და მათი მეგობრები უკვე ბარგჩალა-გებულები არიან და სამოგზაუროდ ემზადებიან. დიახ, სამოგზაუროდ და არა დასასვენებლად. მოწყობილობებს შვებულება არ აქვთ, ისინი დასვენების დროსაც მუშაობენ.

თანამედროვე ადამიანების ცხოვრებაში სულ უფრო იზრდება იმ გაჯეტების რიცხვი, რომელთა გარეშეც ყოველდღიურობა თითქმის წარმოუდგენელია. დღეს ყველანი ჩევნი ტექნიკური „ალტურვილობით“ დავდივართ და მათი სახლში დატოვება შვებულების დროსაც არ გესურს.

TripAdvisor-ის კვლევის მონაცემებით, რომელიც გასულ წელს ჩატარდა, სამოგზაუროდ წასული ადამიანების 87% მობილურ კავშირს შვებულების დროს აუცილებლად იყენებს. იგივე გამოკითხვის მიხედვით, ტურისტები აქტიურად სარგებლობენ სოციალური მედიითაც და მათი დახმარებით მეგობრებს საკუთარ შთაბეჭდილებებს, ფოტოებსა და ვიდეოებს ოპერატორულად უზიარებენ. აქტუალური და პოპულარულია ინტერნეტში სხვადასხვა ლირსშესანიშნაობების, გასართობი ადგილების რეკომენდაციებისა და სასტუმროების შეფასებების ძიებაც. განსაკუთრებით აქტიურები არიან 18-დან 24 წლამდე ასაკის რესპონდენტები. მათი 95% მოგზაურობისას მობილური მოწყობილობებით სისტემატურად სარგებლობს, განსაკუთრებით პოპულარული კი სმარტფონები და პლანშეტური კომპიუტერებია.

ჩვეულებრივ, როცა რომელიმე მოწყობილობას ყიდულობთ, ყურადღებას მის ფასს, ხარისხსა და ფუნქციონალს აქცევთ, თუმცა როცა დასასვენებლად მიდისართ და ბარგის ტარებაც გინევთ, მნიშვნელოვანი უკვე მათი ზომა,



ნონა და კომპაქტურობაც ხდება. მოკლედ, ყველა მოწყობილობის ერთად წალება მარტივი არ არის. თანაც, ყველა ადამიანს მისთვის საყვარელი გაჯეტი აქვს, თუმცა არსებობს უნივერსალური, სასარგებლო ფუნქციონალის მოწყობილობები, რომელ-

თა დახმარებითაც მოგზაურობა სულ სხვა ელფერს იღებს: მათი წყალობით, თვითმფრინავში ხანგრძლივი ფრენა თუ ავტობუსით მგზავრობა მოსამყენი აღარ გვეჩვენება და სრულიად უცხო ადგილასაც კი ჩევნი ცხოვრება ძალიან მარტივდება.

სარტყეონი

უკვე დიდი ხანია ადამიანები სმარტფონის გარეშე არ იძინებენ, შვებულება და მოგზაურობა კი მათ კიდევ უფრო შეტყოფილი გახდება. რა თქმა უნდა, კომუნიკაცია მნიშვნელოვანია, მაგრამ როცა სამოგზაუროდ მიღისართ, მთავარი მობილური პლიკაციებია: უცხო ქვეყანაში ჩასულ ტურისტებს ისინი ნამდვილად მეგობრობას უწევენ. განსაკუთრებით პოპულარული მათ შორის კი ელექტრონული რუკები, მაგალითად, Google maps და TripAdvisor-ის მსგავსი გზა-მკვლევებია.

ବୋଲିପାଇ/ବୋତିପାଇ

როცა შევტულებაში „სანახევროდ“ გადინარ და წინასწარ იცი, რომ მუშა-ობა მაინც მოგინევს, მაშინ ნოუთბუქი აუცილებლად გჭირდება. თანაც, ეს გა-ჯეტი არა მარტო მუშაობაში, არამედ სასურველი ღირსშესანიშნობების, მათი შეფასებების და სხვა საჭირო ინ-ფორმაციის გასაცნობადაც გამოგად-გვებათ, ინტერნეტთან წვდომაც გექნე-ბათ და მესნაჯერებით კომუნიკაციაც თუ ნოუთბუქის წალებას გადაწყვეტით, გორჩევთ, მას კარგი „ბუდე“ შეურ-ჩიოთ, რათა მოგზაურობისას შესაძლო დაზიანებებისგან დაიცვას.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: როცა ბევრი ბარგი გაქცეს, ყოველ 100 გრამს მნიშვნელობა ენიჭება. ნოუ-თბეური კი ხშირად არც ისე მსუბუქია, ამიტომ უმჯობესია არჩევანი ნეტბუქზე გააკეთოთ: ზომა-წონა ნაკლებია აქცესი, მისი ფუნქციინალი კი, განსაკუთრებით მოგზაურობის დროს, სრულად დაგამატებული იქნება.

## კლანების მიერ გოგოების დაცვა

କ୍ରିୟାବେ ଉତ୍ତରର କ୍ରମପାଦ୍ୟତ୍ୱରୀ ଏବଂ ତାନା-  
ମେଧରଣ୍ୱେ ପଲାନଶ୍ଵରତ୍ୱରୀ କ୍ରମପାଦ୍ୟତ୍ୱରୀ  
ସମ୍ବନ୍ଧିତ କ୍ଷେତ୍ରରେ କ୍ଷେତ୍ରବିତା ଏବଂ ମେସିନ-  
କ୍ଷେତ୍ରବିତା ସାରଗ୍ରହଣବିଳାସତଥିଲେ, ଏହାର  
କ୍ରମନ୍ୱୟରେ ଫୋସକ୍ରିଟିସ ଶେବାମନ୍ଦିରେବଲାଭ  
ଫୋଲିମ୍ବିଦ୍ବିଲେ ସାନାକାଵାଦ ଏବଂ ନିଗନ୍ଧିବିଳାସ  
ସାଜିତବାବାଦ ମାରତାଲାପ ଇନ୍ଦ୍ରାଲ୍ଲାଭରିଆ  
ମୋକ୍ଷେଦ, ତୁ ଶ୍ଵେତ୍ସୁଲ୍ଲାଙ୍କାଶ ପୁନ୍ଦିତନ୍ଦ୍ର-  
ସା କ୍ରମନ୍ୱୟକାପୁରୀରେ ଏବଂ ନିନ୍ଦାପାଦକାପୁରୀରେ  
ବାର୍ଷିକୀ ବୈର କଲ୍ପନା ତଥା ତାନ ବାରତିନାମାଜିକାରୀ

გსურთ, მაშინ მსუბუქი პლანშეტი, რომელიც ბარგში მართლაც მცირე ადგილს იკავებს, თქვენთვის ზედგა-მოჭრილია. არ დაგავიწყეთ, სმარ-ტფონის მსგავსად, მისი სასარგებლო მობილური აპლიკაციებით აღჭურვაც.

ପ୍ରକଳନାପି

წიგნების, მით უმეტეს, სქელტა-  
ნიანების ტარება არც ისე მარტივია,  
მაგრამ ელექტრონული წიგნების შე-  
მთხვევაში საჯემე სულ სხვაგვარადა.  
ბუკრიდერი პრაქტიკულად მოძრავი  
ბიბლიოთეკაა და ამ კომპაქტურ მო-  
წყობილობაში უამრავი „მძიმე“ წიგნი  
ეტევა. თანაც, მსუბუქია და ელემენ-  
ტიკუ საკმაოდ დიდხანს ჰყოფნის.

ଓଡ଼ିଆ ପ୍ରକାଶନି

მოგზაურობა ფოტოაპარატის გარეშე ნარმოუდგენელია. შთაბეჭდილებების აღბეჭდვა და თან წამოლება მართლაც ბევრ ადამიანს უყვარს. ბოლოს და ბოლოს შვებულების რამდენიმე ფოტო Facebook-ზეც ხომ უნდა მოხვდეს. მოკლედ, ფოტოაპარატი მოგზაურობის აუცილებელი ატრიბუტია.

အကျဉ်းဖော်လုပ်မှု ဆောင်ရွက်ခြင်း

მედიაფლერი ერთ-ერთი ყველაზე  
სასარგებლო მოწყობილობაა, განსაკუ-  
თრებით ხანგრძლივი ფრენის დროს  
საყვარელი მუსიკის თუ ფილმის დახ-  
მარებით ყველაზე გრძელი გზაც ხომ  
მოკლდება და ნაკლებად უსიამოვნო-  
ხდება.

თუ სასურველი გაჯეტები უკვე შეარჩიეთ, ახლა დამტენი მოწყობილობების დროა. არ დაგავიწყდეთ მათთვალება და სახლიდან გასვლამდე სამგზავრო დოკუმენტების მსგავსად შემოწმება. ჰო მართლა, პოლო დროის პიტი მზის ენერგიაზე მომუშავე დამუხტველებია. თუ დენის წყარო არ გექნებათ, ეს დამტუბტველები მართლაც შესაძლებელი მხარდაჭერას გაგინებენ: მათხომ ფუნქციონირებისთვის მხოლოდ მზე სჭირდებათ.

\*\*\*

თუმცა მოგზაურობისას მთავარი  
მანიქ არა გაჯეტის, არამედ კარგი

განწყობა და შთაბეჭდილებებია. ისე კი  
სამართლიანობა ტურისტული პაზრის  
ერთი მზარდი სეგმენტის აღნიშვნასაც  
მოითხოვს: დასვენება გაჯეტებისა და  
ტექნოლოგიების გარეშე. სპეციალის-  
ტები ამბობენ, რომ უახლოეს წლებში  
ე.წ. ციფრული დეტრიქსიკაციის პო-  
პულარობა მკვეთრად გაიზრდება და  
ადგილები, სადაც ადამიანებს ტელე-  
ფონის, კომპიუტერის, ბუკრიდერის,  
ინტერნეტის, სოციალური ქსელების  
და ა.შ. დასვენება შეეძლებათ, სულ  
უფრო მოთხოვნადი გახდება. ახალი  
მიმართულების მთავარი მიზანი ადა-  
მიანების ინფორმაციული ველისგან  
გათიშვაა.

შესაძლოა მოწყობილობების გარეშე  
დასვენება მოღური მართლაც გახდეს  
და ადამიანების დიდი ნაწილი ამ მო-  
დას აჰყვეს, თუმცა მანამდე გაჯეტები  
სამოგზაუროდ მიდიან. **ც**

# "წანაღ" იხილ და პატარა ნიბრაბი ქორვები ბიბლიოთეკას იშვიათ ბამოსამათა ფონედან

გიორგი კეკელიძე

მე მათ რიცხვში ვარ, წიგნის ფორ-  
მატი გადამწყვეტ საქმედ რომ არ  
მიაჩნიათ და ვერც იმ დავას მიყვე-  
ბიან ხალისით: წიგნი თუ ქინდლი რომ  
ჰქვია. საერთოდაც, კითხვის ასე დას-  
მა ცოტა შეუსაბამო მგონია. მე რაფ-

სოდული ტექსტებიც წიგნად მიმაჩნია,  
ეტრატულიც, გუტენბერგის „ეშმაკის  
მანქანისეულიც“ და სტივ ჯობსის  
მაკინტოშში გამოწევილიც. შესაბა-  
მისად, არც იმის ფეტიში დამსდევს,  
ბეჭდურ წიგნს გამადიდებელი შუშით

წავიკითხავ თუ სულაც შიგნით შევალ  
და ისე (მსოფლიოში მსგავსი ექსპე-  
რიმენტიც უცდიათ). თუმცა არც იმის  
თქმა მიჭირს, რომ დიზაინი და ფორმა  
ცალკე სიყვარულის თემაა, ზოგისთვის  
უფრო მნიშვნელოვანისაც, ვიდრე მი-  
ნაარსია. ახლა ჩვენთან დაცულ ამგვარ  
წიგნებში გამოგზაურებთ – ჩვენი თა-  
ნამშრომლების, ლიზა ცავასა და ნინო  
ხვედელიძის დახმარებით.

იშვიათ გამოცემათა ფონდში ზომით  
ყველაზე დიდი წიგნი „ხელოვნების  
ისტორია არქიტექტურული ძეგლების  
მიხედვით“, IV-XVI საუკუნეების  
მასალებს მოიცავს. წიგნის სიგრძე 50  
სანტიმეტრია, სიგანე – 32, სიმაღ-  
ლე – 19; წონით 18 კილოგრამამდეა;  
ერთ ტომად აკინძულ 6 წიგნს ნარმო-  
ადგენს: არქიტექტურის, ქანდაკებისა  
და ფერწერის შესახებ. 1025-გვერდიან  
გამოკვლევაში 325 ილუსტრაციაა ჩარ-  
თული. ავტორმა, ფრანგმა ხელოვნე-  
ბათმცოდნები და სიძველეთა მკვლე-  
ვარმა სერუ დ'აუენკურმა (1730-1814  
წწ.), ნაშრომის შექმნას თავისი სიცო-  
ცხლის 35 წელი მიუძღვნა. ამ მიზნით  
ის მოგზაურობდა ინგლისში, ფლან-  
დრიაში, ჰოლანდიასა თუ იტალიაში.  
სერუ დ'აუენკური ნაშრომის გამოცე-  
მას ვერ მოესწრო.

წიგნი პარიზში 1823 წელს დაიძექდა.  
მასში შესული ჩანახატების უმრავლე-  
სობა იმ ძეგლებიდანაა შესრულებული,  
რომელთაგან ზოგი აღარც არსებობს.  
წიგნში იშვიათ ხელნაწერებია არსე-  
ბული მასალებიცაა გამოყენებული.  
გამოცემა ხელოვნების ისტორიის პირ-  
ველ უხვად ილუსტრირებულ წიგნს  
ნარმოადგენს ევროპაში. მის პოპულა-  
რობასა და გავრცელებას შტრიხული  
გრავიურის ტექნიკით შესრულებული  
ილუსტრაციების სიმრავლემ შეუწყო

„შენიონის ბიბლია“  
– La Sainte Bible, mise en vers par J. P. J. Du Bois.

„Герои войны 1812 года“

ხელი. ნაშრომი, რომელიც საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში 2011 წელს შემოვიდა, შეუ საუკუნეების ხელოვნების მევლევართათვის საინტერესო მასალას შეიცავს.


ფორმატის სიდიდითაც და შინაარსობრივადაც ნარმოდგენილ წიგნს უკავშირდება ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს (1798-1850 წწ.) ატლასი. მისი ავტორიც – შვეიცარიელი გეოლოგი დიუბუა დე მონპერე სიძველეთა მევლევარი და მოგზაურია. 1831-1834 წლებში მან შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე ყირიმსა და ამიერკავასიაში იმოგზაურა. დიუბუა დე მონპერე საქართველოს გეოლოგის პირველი მევლევარი, საქართველოს პირველი გეოლოგიური რუკის შემდგენელია. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ხალხთა ისტორიის საკითხებსაც. სწავლობდა ქართულ და სომხურ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს.

დიუბუა დე მონპერეს დიდი ატლასი „მოგზაურობა კავკასიაში ჩერქეზებთან, აფხაზებთან, კოლხიდაში, საქართველოში, სომხეთსა და ყირიმში“ შვეიცარიაში დაიბეჭდა. წიგნს, როგორც ძვირფას ფაქტობრივ მსალას ქვეყნის ბუნებისა და სიძველეთა შესახებ, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ატლასში მოთავსებული ილუსტრაციები ან სახეცვლილი თუ აღარარსებული ძეგლების იმდროინდელ იერსახეს ცხადად ნარმოგვიჩნის. ატლასი დანართია დიუბუა დე მონპერეს ნაშრომისა „მოგზაურობა კავკასიაში“. კავკასიის სიძველეთა მევლევარებისათვის, გეოლოგების, გეოგრაფების, ისტორიკოსებისა და არქიტექტორებისათვის ის ერთგვარი ქრესტიონათაა. 1838 წელს ამ ნაშრომმა პარიზის გეოგრაფიული საზოგადოების პრიზი მიიღო. 1839-1845 წლებში, პარიზშივე, ის ექვს წიგნად გამოვეყუნდა. ამ გამოცემის 5 ტომი იმვიათ გამოცემათა განყოფი-


ლებაში, ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის კოლექციაშია დაცული.

ამბობენ, რომ დიუბუა დე მონპერეს დასკვნები ქართულ ხუროთმოძღვრებასთან დაკავშირდებით დიდად ტენდეციურია და არაერთ სამეცნიერო ლიტერატურაში ამას პასუხიც გასცეს. არსებობს ექვსტომეულის ციფრული ვერსიაც.

რაც შეეხება ციცქანა წიგნებს. მინიატურული გამოცემა ბეჭდვითი სიტყვის პროდუქციის: წიგნის, უურნალის, გაზეთის, ალბომის განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენს. მინიატურული წიგნის პარამეტრები ცვალებადია ქვეყნების



„ხელოვნების ისტორია არქიტექტურული ძეგლების მიხედვით“



ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს (1798-1850 წწ.) ატლასი

მიხედვით: რუსეთში ამ წიგნის სიგანე და სიმაღლე 100 მილიმეტრს არ უნდა აღემატებოდეს, ევროპის ქვეყნებში კი ეს პარამეტრები 2 დიუმმდე, ანუ 76 მილიმეტრამდე მცირდება. მცირე ზომის გამო, მათი გამოცემა მთელ რიგ მხატვრულ, თუ ტექნიკურ სირთულეებთანა დაკავშირდებული და სტამბისათვისაც პრესტიულია. მინიატურულ გამოცემათა შორის 76 მმ.-ზე ნაკლები

წომის მიკრონიგნები გამოირჩევა.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა განყოფილების ფონდში დაცულ წიგნთა შორის ყველაზე პატარა - მიკრონიგნია. „Герои войны 1812 года“ - 26x19 მმ. ზომის ფოტოალბომი შავი ტყავის ყდაშია ჩასმული, რომელსაც პანანინა ლითონის შესაკრავის ნაწილიც აქვს შემორჩენილი. ციცქანი წიგნი იქროვარაყითა და ორივე ყდაზე იქრომელნით შესრულებული ტვიფრული, მინიატურული წარნერებითაა დამტვენებული. ალბომში წარმოდგენილ პორტრეტებს შორისაა რუსეთის

არმის ინფანტერიის გენერლის (1809), 1812 წლის საფრანგეთ-რუსეთის ომის გმირის - პეტრე ბაგრატიონის ფოტოსურათიც. მიკრონიგნების წაკითხვა შეუიარაღებელი თვალით შეუძლებელია, თუმცა ამ მიკრონიგნის ფრჩხილისოდენა პორტრეტზე გასაოცარად აღიქმება თითოეული დეტალი.

იშვიათ გამოცემათა განყოფილებაში დაცული მინიატურული წიგნებიდან ასევე გამოირჩევა „შინიონის ბიბლია“ – La Sainte Bible, mise en vers par J. P. J. Du Bois. წიგნი 192-გვერდიანია, 50X35 მმ. ზომის. ეს პანანინა, ლექსად დანერილი ფრანგული „წმინდა ბიბლია“ ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. ძველი და ახალი აღთქმა საგამომცემლო კონვოლუტია:

გაუერთიანებიათ ბიბლიის ორი ნაწილი (192+192 გვ.). თავფურცლის მონაცემების მიხედვით, ძველი აღთქმა დაბეჭდილია პააგაში 1759 წელს, ხოლო ახალი აღთქმა პაზელში, იმავე წელს, გრაფინია ბრულის პატივსაცემად. ბიბლია პროტესტანტი მინისტრის, ანტუან კურტის ბრძანებით დაიბეჭდა. პროტესტანტული შინაარსის გამო, წიგნი აკრძალული იყო საფრანგეთის კათოლიკური ეკლესიის მიერ. ამ მცირე ფორმატის აკრძალულ წიგნს ქალბატონები ადგილად მალავდნენ შინიონში და ამიტომ მას „შინიონის ბიბლიის“ სახელითაც მოიხსენიებენ. ❷

# ԵՐԵՎԱՆԻ ՏԵՂՄԱՆՈՒԹՅԱՆ ԸՆԴՀԱՆՈՒՐ

ლევან ბერძენიშვილი



ციხეში საკითხავ ლიტერატურაში ჩვეულე-  
ბრივ ის წიგნები იგულისხმება, რომლებიც  
ციხეს ეხება და პატიმარმა აუცილებლად  
უნდა იკოდეს, ანუ ე.წ. ციხის ლიტერატურა.

ციხე ადგილია, სადაც ლიტერატურას კი-  
თხულობენ. ლიტერატურა ციხის ცხოველის  
ნაწილია. მაგალითად, ლათინური ამერიკის  
ციხეებში არსებობს ცრურნენა, რომლის  
მიხედვითაც წიგნის კითხვა პატიმრის ბედზე  
მოქმედებს; ბრაზილიაში ერთი წიგნის წაკი-  
თხვას პატიმრობის ერთ მოკლებულ დღედ  
აფასებენ.

ზოგიერთი ფიქტობს, ციხე ის ადგილია,  
სადაც დღედაღამ შევიძლია იკითხო, თუმცა  
ასე არ არის. უპირველეს ყოვლისა, ციხე ის  
ადგილია, სადაც ადამიანი არასოდეს არის  
მარტო, კითხვა კი არის პროცესი, როდესაც  
ადამიანი მარტო რჩება წიგნთან. ციხეში მეტ-  
თხველისა და წიგნის ურთიერთობას ბევრი  
რამ უშლის ხელს.

ციხე ნანილებად იყოფა – მცირე სივრცე  
შედარებით დიდი სივრცე და ძალიან დიდი  
სივრცე. ამ ყველაფერს ციხეს ვეძახით, თუ  
მცა, რეალურად, ეს სამი სხვადასხვა რან-  
არის: წინასწარი დაკავების იზოლატორი, სა-  
პყრობილები, ანუ საკუთრივ ციხე და „ზონა“.

წინასწარი დაკავების იზოლატორში ადა

მიანი ჯერ კიდევ არ არის პატიმარი. ჯერ ისევ ბრალდებულია. ის ამ დროს „ცუდი“, მაგრამ მაინც მკითხველია. „ცუდია“ იმი-ტომ, რომ მისი ბედი ჯერ არ გადაწყვეტილა. როგორც კი ეს პროცესი დასრულდება, როგორც არ უნდა გადაწყვდეს ის, ადამიანი ბრწყინვალე მკითხველად გადაიცევა. ის თავისუფლდება ეჭვებისგან (მართალია, ზოგიერთი აპათაშიც კი ვარდება), იცის თავისი ხვედრი, რისი არცონაც სიკედილ-სიცოცხლის ზღვარს ჰგავს, დაახლოებით იმას, ჩევნ რომ სიკედილის გვეშინა. ზუს-ტად ასევე ეშინა ადამიანს დაპატიმრების.

ციხეში არავის სჩვევია კითხვის მიტოვება.  
პირიქით, იქ კითხვას იწყებენ. უკვე მკითხვე-  
ლები კი უფრო ინტენსიური მკითხველები  
ხდებიან. ციხეში კითხვა სიგარეტის მოწევას  
ჰგავს – იქ მოწევას არავინ ანგებს თავს,  
პირიქით, ვინც არასოდეს ენერგა, სწორედ  
ციხეში იძენს ამ ჩვევას. ზუსტად ასე კა-  
თხვასთან დაკავშირებით, ციხე შესანიშნავი  
ადგილია საკითხავად.

რა უნდა წაიკოთხო „ციხეზე“? – ეს არის ლიტერატურა, რომელშიც ასახულია ციხე. აქ იგულისხმება ისეთი დიდი კლასიკა, როგორიცაა დოსტოევსკი, სტენდალი – პეტორები, რომელებმაც იციან, რა არის ციხე.

ამ ტიტის ლიტერატურაში განიხილავთ სა-ქართველოში არცოუ პოპულარულ ჟან ჟე-ნეს, რომელიც კარგად იცნობს ციხეს „შიგინი-დან“. ბავშვობიდან ციხეში იჯდა და ის, რომ იქვე არ დასრულა ცხოვრება, საფრანგეთში მცხოვრები იმ გემოვნებიანი ადამიანების დამსახურებაა, რომლებსაც მის ნაწერებში მხოლოდ საფრთხე არ დაუნახავთ. პირველმა გენიოსმა, ვინც ეს ნანარმოები წაიკითხა და მიხვდა, რომ გენიოსის ნაწერს კითხულობდა, თქვა — კარგია, მაგრამ უნდა დაიწვასო. ასე—თი იყო მწერალ—აკადემიკოსისა და არაერთი სხვა რევალის მქონე კაცის — პოლ ვალერის აზრი, თუმცა მოიძებნა ხალხი, რომლებმაც მოახერხეს, რომ უან ჟენე ლიტერატურისა—თვის არ დაკარგებულიყო.

„ქვედარი სახლის ჩანაწერები“ – თეოდორ  
დოსტოევსკის ნაწარმოები, რომელიც ვფი-  
ქრობ, აუცილებლად უნდა ნაიკითხოს ყვე-  
ლამ. სიძრმე, რომელიც ზემოთ ვახსენეთ –  
„ციხე არის ადგილი, სადაც ადამიანი არას-  
დროს არის მარტო“ – სწორედ ამ ნაწარ-  
მოებიდანაა. მარტობა ზოგიერთისათვის  
ციხესთან არის გათანაბრებული – არადა  
პირიქითაა, ციხე ის ადგილია, სადაც მარ-  
ტობას გართიშვევენ. იქ განმარტოების არა-  
ნაირი შანსი არ გაქვს, მაშინაც კი, როდესაც  
საკანში მარტო ზიხარ...

მარტოობა ავტონომიურობაა, ავტონომიურობა კი ციხეში გამორიცხულია. ამის გაგება მნიშვნელოვანია, იმიტომ, რომ ციხე ის არასასურველი ადგილია, რომლისგანაც ადამიანი მაქსიმალურად ცდილობს დისტანცირებას. არ მინახავს დედამიწის ზურგზე ერთი კაციც კი, რომელიც ციხეში არ მოხვედრილა და ოდნავ მაინც ესმის, რა არის ეს. ამიტომაც არის საჭირო ამ ტიპის განათლება ყველასთვის. რუსული ანდაზისა არ იყოს – „От тюреммы и от сумы не зарекайся“, რაღაც ფორმით ციხის რეალობასთან შევახება ყველას შეიძლება მოუწიოს.

„მკვდარი სახლის ჩანაწერები“ ერთგვარი „ციხის ენციკლოპედიაა“, თუმცა ეს არ არის, ასე ვთქვათ, მხოლოდ ლიტერატურული ცოდნა. ის იმ ტიპის ნიგნებში ამოკითხულ ინფორმაციას ჰგავს, რასაც ამერიკელები „იდიოტებისთვის დაწერილს“ უწოდებენ. „მკვდარი სახლის ჩანაწერები“ ძეველი, მაგრამ ასეთი ნიგნია, თუმცა მწერალი ღრმად და საფუძვლიანად იცნობს გარემოს. ის თავად იყო პატიმარი და არა მხოლოდ პატიმარი, არამედ სიკეთილმისჯილიც. დოსტოევსკის

ეს განაჩენი შეეცვალა. იგი კატორლაში გულუბრყვილონ სოციალისტად წაგიდა, იქიდან კი დაბრუნდა ქრისტიან-კონსერვატორად – ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევ-ვობით; ეჭვიან ათეიისტად – სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით; დაბრულებად – კვირაობით, რომელიც ისეთი ენთუზიაზმით ყვებოდა მოზარდის გაუპატირების ამბავს, ყველას ეშინოდა, ფიქრობდნენ – თავად მას ხომ არ შეემთხვევა ეს ისტორია.

ეს კაცი ციხისა და დანაშაულის ამბებს გაცილებით საფუძვლიანად ორ მთავარ წიგნში (მიქირს იმის თქმა, რომ მისი რომელიმე ნაწარმოები არამთავარია) გვიყვება.

අඟ මරු නානාරමණය්දීයාද ගුරු-ගුරුති මි දාම-  
නාප්‍රාවේස ගෝබා, රුම්ජලු සෑ වුරාගුරුත ගුෂුදා  
තාවිස ස්ථාපුව් - අරා මිංස, රුම දානාපාංූ-  
ලි හිංසිනා, අරාමේද මිංස, රුම දානාපාංූලි  
වුර හිංසිනා මිංස, රුමගුරු මාස සුජරා, අනු-  
වුර මුහුරිනා මුහුරාද්‍රා දා දානාපාංූලමා මා-  
ෂි මිංස ස්ථාපිත ප්‍රේන්ඩා ගාමිකිවා. වුගුෂ්‍රිත-  
මුක් තිබුන්, රුම්ජලාසෑප් කේශ්වා, „දානාපාංූලි දා-  
සාස්‍යුලුල්“. රුමධිමා රාසුකුලුනිකුරුව්ස අනුවෙද්සා,  
රුම පාත්‍රාරා අදාමිනා අලමිත්තාද. දානාපාංූල්  
විස යුන්දා ගාශ්ටාවිසුශුශ්‍රුලුදිනා, අරාදා පිරිස්ථි-  
දා මුහුරිනා. මාස අර සුජරා, හිංචුලුදුරුව අදාමින-  
ාද ඒශ්චේස, මිංතුම්, රුම සාමුහාර් ම්‍රේරුදායා-  
ද අඩුයාචුදාය ඇශ්චේස දායුමෝගිලි. අර යුන්දා  
සුජරා ම්‍රේරු, මාගුරාම අලමුනාහිනා රුම ම්‍රේරුවා,  
ශ්චා මිශ්ච පුරුද්දේමා දා අමිතාන ගාම්ජලාවේදා.  
ශ්චුද්දේශ්චා.

დოსტოევსკიმ გვიჩვენა უნივერსალური კანონი - შეიძლება სასჯელი მოიხადო, ცი-ხიდან გამოხვიდე, მაგრამ მთელი ცხოვრება მაინც პატიმრად დარჩე. კველა პატიმარი „ზის“ და „ზის“ იმ დრომდე, სანამ ვინმე არ გამოიყვანს - როდონ რასკოლნიკოვი არ გათავისუფლებულა, მაგრამ ადამიანად იქცა, მიაღწია იმას, რის მიღწევაც დანაშაულით უნდოდა და არ გამოუვიდა. მის თავს „რაღაც“ დატრიალდა, გაუჩინდა რწმენა, რწმენა, რომელიც დამიუკიდებლად არ მიუღია. სწორედ აյ არის დოსტოევსკის, როგორც მწერლის, მთავარი საიდუმლო. მისი აზრით, გადაგვარებულ ადამიანს მისი მსგავსი, ანუ სხვა გადაგვარებული ადამიანი უნდა დაეხმაროს, რომელიც თავის თავში ადამიანს იპოვის; ვინც ამას შეძლებს, ის სხვასაც აპო-ენისძის; თავის კავში;

ვოთხებს თავში ადამიანს.  
ზეობრივად გადაგვარებული ადამია-  
ნი სოციალური შეფასებაა, მაგრამ თუკი  
ადამიანში (კულტურული რამ ბუნების, გარეგნოლ

■ დოსტოევსკიმ გვიჩვენა უნივერსალური კანონი – შეიძლება სასჯელი მოიხადო, ციხიდან გამოხვიდე, მაგრამ მთელი ცხოვრება მაინც პატიმრად დარჩე. ყველა პატიმრი „ზის“ და „ზის“ იმ დრომდე, სანამ ვინმე არ გამოიყვანს – როდიონ რასკოლნიკოვი არ გათავისუფლებულა, მაგრამ ადამიანად იქცა, მიაღწია იმას, რის მილწევაც დანაშაულით უნდოდა და არ გამოუყიდა. მის თავს „რაღაც“ დატრიალდა, გაუჩნდა რწმენა, რწმენა, რომელიც დამოუკიდებლად არ მიუღია. სწორედ აქ არის დოსტოევსკის, როგორც მწერლის, მთავარი საიდუმლო. მისი აზრით, გადაგვარებულ ადამიანს მისი მსგავსი, ანუ სხვა გადაგვარებული ადამიანი უნდა დაეხმაროს, რომელიც თავის თავში ადამიანს იპოვის. ვინც ამას შეძლებს, ის სხვა-საც აპოვნინებს თავში ათავიანს.

ფორმას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ამ თვალსაზრისით ყველანი ზნეობრივად გადაგვარებულები ვართ, ბოლოსდაბოლოს ყველანი ვტყუით... სონია მარმელადოვანი სხეული „გაყიდა“, მაგრამ ადამიანად დარჩა. სწორედ სონიას ხელიდან მიღებული ბიბლიის, რწმენის დახმარებით აღმოაჩინა რასკოლნიკოვმაც თავის თავში ადამიანი.

ამიტომაცაა, რომ, თუკი სახელმწიფოს სურვილია, დაჩაგროს პატიმარი, მისი მთავარი ამოცანა პატიმრისთვის გარესამყაროსთან კავშირის გაწყვეტაა. ყველამ იცის, რომ პატიმარი გარესამყაროს გარეშე უსუსურია.

სამწევაროდ, ლიტერატურაში ადამიანის გადაგვარება უფრო ხშირადაა აღწერილი, ვიდრე მისი გადარჩენა. ყველაფრის მიუხედავად, რაოდენ დაუჯერებლადაც არ უნდა უღერდეს, დოსტოევსკი, ალბათ, ერთ-ერთი გამორჩეულად ოპტიმისტი მწერალია, იმიტომ, რომ მას ადამიანის გადარჩენის სჯერა. მისი ამერიკელი „მოსწავლე“ პირდაპირ ამბობდა – ადამიანი უნდა გადარჩეს და უნდა გაიმარჯვოს. უილიამ ფოლკნერის ეს სიტყვები დოსტოევსკისგან იღებს სათავეს.

დოსტოევსკის ამის სჯერა. ასე მოხდა როგორც რასკოლნიკოვის, ასევე დიმიტრი კარამაზოვის შემთხვევაში, რომელსაც დაეხმარება (ჰოი, საოცრებავ!) არა გრუშენკა, არამედ ალიოშა. თუმცა რომანში ამის შესახებ არაფერი წერია, ჩვენ ამას ვგრძნობთ.

მთელი მსოფლიო განიცდის, რომ დოსტოევსკი „ძმები კარამაზოვების“ მეორე ტომი ვერ დაწერა. ამ წიგნში მოვლენები შემდეგი სცენარით უნდა განვითარებულიყო – გრუშენკა, რომელმაც უავე აცდუნა ერთ-ერთი ძმა და მამა, ახლა აცდუნებს მეორე ძმას, ალიოშა კარამაზოვს, რომელიც მანამდე, როგორც კეთილმობილი ადამიანი, ცოლად ირთავს დავრდომილ ლიზავეტას, ცალკების შემდეგ კი რევოლუციონერი ხდება და მეფეს ესვრის.

ასე უნდა ყოფილიყო, ანუ ერთადერთი ნათელი წერტილი, რომელიც პირველ ტომში ჩანდა, უნდა „დაბნელებულიყო“, იმიტომ, რომ ეს არის ისტორია დიდი ცოდვილისა, დიდი ცოდვა კი დიდი უცოდველობისგან მიიღება – ყველაზე დიდი ცოდვა საკუთარი უცოდველობის დაჯერებაა. ეს მაშინ ხდება, როცა ფიქრობ, რომ სონია მარმელადოვაზე მაღლა დგახარ, რადგან მან სხეული გაყიდა.

ეს წიგნი პატიმრებისთვის განსაკუთრებით

ძეირფასია, რადგან მასში ასახულია, როგორ „ჯდება“ უდანაშაულო კაცი. პატიმრების მთავარი იდეაა, გაიგონ, არიან თუ არა დამნაშავეები და, როცა ამ დროს ფიქრობ, რომ უდანაშაულოდ იხდი სასჯელს, მაშინ ციხიდან ვერ გათავისუფლდები, მართლა უდანაშაულოც რომ იყო. ადამიანმა საკუთარ თავში სამყაროში სამართლიანობის დანახვის ძალა უნდა გამონახოს. უნდა ესმოდეს, რომ უდანაშაულოდ არავინ ზის და ყველას საკმარისად გვაქვს ცოდვები, ცოდვები, რომელებსაც ვერც პროკურატურა მიაგნებს, ვერც უშიშროება, ვერც სასამართლო, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ გვაქვს?! როგორც კი პატიმარი ამ საკითხში ბალანსი მიაღწევს, იგი მზადაა თავისუფლებისათვის.

თუ ციხიდან გამოსული პატიმარი – რომელსაც ციხეში გატარებული დრო არ დაენანება და მიხვდება, რომ არსად არ შეიძლება იყო ისეთი თავისუფალი, როგორც ციხეში – დაწერს წიგნს, ის სათაურსაც ადვილად მიაგნებს, ისევე, როგორც ჩემი მეგობარი, რომელმაც თავის ნანარმოებს – „ДЯКУЮ ТЮРМИ“ („მადლობა ციხეს“) დარქვა. აბა სად გავიცნობდით ჩვენ ერთმანეთს?! უშიშროებამ გულაგში მთელ საბჭოთა კავშირში ნარჩევი, ოქროსავით ხალხი შეკრიბა.

ციხეში მოხვედრისას, როდესაც ფიქრობ, რომ შენ, ადამიანი აქ მოხვდი, უნდა გესმოდეს, რომ სხვა დანარჩენებიც შენსავით ადამიანები არიან. ჩვენი ცხოვრება სასჯელს ყოველთვის იმსახურებს – როგორც კი პატიმარი ამაში გაერკვევა, მას ციხეში ცხოვრების პირველი ნიშანი – იუმორის გრძნობა უჩნდება. ამას გვიჩვენებს ისეთი პირქუში მწერალიც, როგორიც დოსტოევსკია, დიმიტრი კარამაზოვისა თუ, გნებავთ, როდიონ რასკოლნიკოვის შემთხვევაში.

ერთ სიტყვით, ერთ-ერთი მთავარი ლიტერატურა სწორედ ის „ბნელი“ ლიტერატურაა, რომელიც რეალურად საკმაოდ ოპტიმისტურია, რადგან ციხის შესახებ გაცილებით პესიმისტური ლიტერატურაც არსებობს.

განსაკუთრებით მიყვარს კიდევ ერთი მწერალი, რომელმაც მგონი არ იცოდა, რომ დიდი გენიოსი იყო და ყოველთვის ფიქრობდა, რომ ისტორიას მისი „იტალიური ქრინიკები“ შემორჩებოდა.

ანრი ბელიოს საფლავზე იტალიურად წერია: „არიგო ბელიო, მილანელი. წერდა, უყვარდა, ცხოვრობდა“. მთელი „მულამი“ აქ იტალიელობაა და არა ფრანგობა! ეს იყო

კაცი, რომელიც წიგნებს „ადამიანურის“ ნაცვლად ფანტასტიკურ სახელებს არქევდა: „პარმის სავანე“, „წითელი და შავი“.

„წითელი და შავი“ – ამ სათაურში ფანტასტიკური დაპირისპირებაა. თეთრი და შავი ცნობილი ოპოზიციაა; თუკი რომელიმე ენაში მხოლოდ ერთი ფერია მარკინებული, ის წითელი იქნება, ხოლო თუ სამი ფერი, – წითელი, თეთრი და შავი. კარგი მწერალი წიგნს „თეთრსა და შავს“ დაარქევდა, გენიოსი – „წითელსა და შავს“, პოსტმოდერნისტი – „წითელსა და წითელს“.

ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდა, რომ დოსტოევსკისგან განსხვავებით, სტენდალის წიგნებში ციხე არ არის ადგილი, სადაც ადამიანი გადარჩება. დოსტოევსკის ნანარმოები რაღაცით ნარჩატებულ ამერიკულ ფილმს წააგავს – ადამიანი გადარჩება და გაიმარჯვებს, გამოვა ციხიდან და ოსკარს დაიმსახურებს, სტენდალთან კი – გადარჩება, მაგრამ თავს მოაჭრიან. საკუთარ თავთან პარმონიაში მოსული, სიკვდილს ურიგდება.

მიუხედავად იმისა, რომ სტენდალთან ეს გმირები იღუპებიან, ისნი პარმონიას პოულობენ და უბედინერესი ადამიანები ხდებიან – ბევრი გაცვლიდა თავის ცხოვრებას იმ რამდენიმე დღეზე, რომელიც ამ კაცმა ციხეში გაატარა. თანახმა ვარ მერქვას ულიენ სორელი, ვიყო ახალგაზრდა და მოკვდე, თუ მეცოდინება, რომ ერთი ქალი ჩემს მოჭრილ თავს დამარხას და მთელი ცხოვრება ჩემს სსოვნას მოულის, მეორე კი, რომელსაც ვესროლე და ველავდი, ჩემი სიყვარულით თავის შვილებთან თამაშის დროს მოკვდება.

ამ ნანარმოების ფინალის კითხვისას ვერაფრით ხვდები, თუ რატომ არ გამოიყენა ავტორმა მაღალი ტონები, რატომ არ დაანგრია სამყარო, როდესაც უულიენ სორელს თავი მოჰკვეთეს – უულიენ სორელი ხომ მთელ მსოფლიოს უკვდება, ის ხომ ერთ-ერთი საუკეთესო ახალგაზრდა კაცია, რომელიც დანაშაულმა შექმნა ასეთად. ეს გრანდიოზული, ძველი იდეაა – მხოლოდ ცოდვას შეუძლია მიგიყვანოს რაღაცამდე, ლიტერატურში ეს იდეა განხორციელდა.

ფრანგულ ლიტერატურაში კიდევ იყო მწერალი, რომელმაც სიკვდილით დასჯასა და, ზოგადად, ციხეზე ისაუბრა. ეს მათი ყველაზე დიდი მწერალი, პოეტი და ყველაზე დიდი ფრანგია. „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“ ვიქტორ პიუგოს შესანიშნავი

რომანია, რომელიც გვაფიქრებს იმაზე, რაც „შემდეგ“ უნდა მოხდეს.

საკითხავად ციხე ბრძყინვალე ადგილია. არსებობს ლიტერატურა, რომელიც ჩვეულებრივ შეუძლებელია წაიკითხო; მაგალითად „ულისე“. ციხე შესანიშნავი ადგილია ასეთი წიგნების წასაკითხად. ასეთივე წიგნია თომას მანის „იოსები და მისი ძმები“, რომელიც პატიმრობის უამს პეტერპურგის წიგნის მაღაზიდან გამოვიწერე. დარწმუნებული არ ვარ, რომ ოდესმე, სადმე შევდლებდი ამ წიგნის წაკითხას (პატიმრიად წაკითხვას ვგულისხმობ). „იოსები და მისი ძმები“ ციხეში წავიკითხე და გარკვეული გაგებით წამდვილად ვიცი, რომ თომას მანმა ის ჩემთვის დაწერა. მოკლედ რომ ვთქვათ, ყველა სქელტანიანი წიგნი ციხეში საკითხავ ლიტერატურას შეიძლება მივაკუთვნოთ.

სპეციალურად არ ვასახელებ წიგნებს ციხიდან გაქცევის შესახებ, რადგან გაქცევაზე ფიქრს ციხეში ყოფნის მთავარ მომენტად არ მივიჩნევ. ასე ამერიკელები ფიქრობენ. რამდენიმე ლიტერატურ ქვეყანაში ციხიდან გაქცევაზე პატიმარს სასჯელს არ უმატებენ, რადგან – თავისუფლების სურვილი ადამიანის ბენებრივი მოთხოვნილებაა.

\* \* \*

რა თქმა უნდა, არსებობს ისეთი ლიტერატურა, რომელსაც ციხესთან არანაირი კავშირი არ აქვს, არც მოცულობითაა დიდი, მაგრამ მანც ციხეში წასაკითხოს ლიტერატურას მიაკუთვნებენ. ეს არის წიგნები ადამიანის გამარჯვებაზე. ციხე ვერ ეგუება და ვერც შეეგუება იმ ტიპის ლიტერატურას, რომელშიც ადამიანი მარცხდება, რომელშიც ადამიანი თავისიანებმა მიატოვეს, ამიტომაც არ დავდგამდი ციხეში „ფილოქტეტეს“. ციხის სპექტაკლს „ანტიგონე“ ჰქვია.

ამ ტიპის ლიტერატურას ადამიანი ადრეული ასაკიდან უნდა კითხულობდეს, არ უნდა აძლიერდეს, რომ წიგნში მისთვის უცნობი გარემოა აღწერილი. მართალია, ეს გარემო არც ამა თუ იმ კონკრეტული წიგნის კითხვის შემდეგ გახდება წაცნობი. მას შეუძლია შეარბილოს დაპატიმრების დარტყმა, თუკი ასეთი-რამ მოხდება ადამიანის ცხოვრებაში. ამასთან ერთად მას გათავისუფლების შანსიც მიეცემა.

თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ არის ერთ-დერთი გზა... ☐

■ თანახმა ვარ მერქვას უულიან სორელი, ვიყო ახალგაზრდა და მოკვდე, თუ მეცოდინება, რომ ერთი ქალი

ჩემს მოჭრილ თავს დამარხავს და მთელი ცხოვრება ჩემს სსონას მოუვლის, მეორე კი, რომელსაც ვესროლე და ვკლავდი, ჩემი სიყვარულით თავის შვილებთან თამაშის დროს მოკვდება. ამ ნანარმოების ფინალის კითხვისას ვერაფრით ხვდები, თუ რატომ არ გამოიყენა ავტორმა მაღალი ტონები, რატომ არ დაანგრია სამყარო, როდესაც უულიენ სორელს თავი მოჰკვეთეს – უულიენ სორელი ხომ მთელ მსოფლიოს უკვდება, ის ხომ ერთ-ერთი საუკეთესო ახალგაზრდა კაცია, რომელიც დანაშაულმა შექმნა ასეთად. ასეთად, ეს გრანდიოზული, ძველი იდეაა – მხოლოდ ცოდვას შეუძლია მიგიყვანოს რაღაცამდე, ლიტერატურში ციხეზე ისაუბრა. ეს მათი ყველაზე დიდი მწერალი, პოეტი და ყველაზე დიდი ფრანგია. „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“ ვიქტორ პიუგოს შესანიშნავი

# Передайте следователю Пихельяку, что Герасим Пирцхалайшвили встретил смерть мужественно...

ირაკლი ხვადაგიანი

გზავნილმა ადრესატამდე, ალბათ, ვერც მიაღწია. საგანგებო მდგომარეობაზე გადასული საგანგებო კომისიის კომენდანტებსა და ლეგიონის ჯარისკაცებს ხელებგაკრული პატიმრის „ძველი ნაცნობის“ ჩეკას გრძელ დერეფნებში მოსაქებნად ნამდვილად არ ეცალათ – იზოლატორებიდან სასწრაფოდ იყო გადასაყვანი ახალ-ახალი ჯავუფები დახვრეტის ადგილას, იქ, სადაც ნელ-ნელა იქსებოდა მორიგი პირლია ორმო – ასეულობით უსახელო მსხვერპლის საძმო საფლავი.

21 წლის ბიჭის სიცოცხლის უკანასკნელ წამებში ნათქვამმა უტეხობის, ჯიბრისა და რჩმების გამომხატველმა სიტყვებმა, რომ უკვალოდ არაფერი ჩაივლის, გამხეცებული ადამიანების გონიერაშიც კი დატვა ანაბეჭდი და 90 წლის შემდეგ სწორედ მათი პირით მოაღწია ჩვენამდე – ადრესატამდე, ვისთანაც ხმის მინვდენა, ალბათ, ყველაზე სანუკვარი რამ იქნებოდა მათვის, ვისი გვარის გასწრივაც 1924 წლის აგვისტოს ბოლოს და სექტემბრის დასაწყისში საქმიანი იქრით დაუსვეს ნიშანი, რომ განაჩენი სისრულეში იყო მოყვანილი.

საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ძალაუნიტურად ადამიანი ტკივილისა და უსიამოვნების, მარცხისა და ტრაგმის დავინიჭებას ცდილობს; იშვიათად თუ ვახერხებთ გულთან ახლოს მიუვწვათ და ისეთივე ემიციით დავიმდიმოთ თავი, ტელეეკრანზე ნანახ ომისა თუ სხვა უპედურებების მსხვერპლთა სახეებზე რომ იკითხება; თვალი თითქოს მიეჩვა ყოველდღიურად სიკვდლის ხილვას და დღეს ცოტა არ იყოს ძელი ამოცანაა სრულფასოვნად აღვიქვათ 1924 წლის აგვისტოს ტრაგედიის სიმძიმე.

თითქმის საუკუნოვანი სიჩქმის, „მეხსიერების კორექციისა“ და შემდგომ უკვე მსხვერპლთა ფანტასტიკური სტატისტიკით გატაცების ფონზე ძალიან ძნელია თითოეულმა ჩვენგანმა ისევე ცხადად

დავინახოთ „კომუნისტში“ 31 აგვისტოს დაბეჭილი 21 კაცის გვარის ნაკითხვისას მათი სახეები, როგორც მაშინ, აგვისტოს დღეებში პოულობდნენ დათრგუნული მოქალაქეები ქუჩაში გამოკრულ სიებში ნაცნობ-მეგობრებს; მეტმა მოქალაქემ ვიფიქროთ და ვიმსჯელოთ, თუ რაში გვჭირდება დღეს ამ ტრაგედიის გახსენება და რას შეიძლება გვავალებდეს ამდენი ხნის ნინ დაღვრილი სისხლი.

ნელს, პირველი მსოფლიო ომის ასი წლისთავზე ევროპა გლობალური ცვლილებებისა და ტრაგედიების სათავის გახსენებას და გააზრებას ცდილობს, ჩვენ კი ბევრს არაფერის გვეუბნება სიტყვები: „სარიყამიშის გარღვევა“, „მესამასე ვერსი“, „აფხაზის ჯავშნოსანი“, „ინტერპარტიული საბჭო“... იშვიათად თუ ვინმე ათვალიერებს დაძონძილი უურნალების ფურცლებზე დაბეჭდილ ულვაშანებილ თუ პირტიტველა ჯარისკაცების სურათების სერიებს – მოკლულების, ტყვედ ნაყვინილებისა თუ დაკარგულების – ავსტრიის ფრონტზე, ბათომთან თუ ფოლოსთან. თავს არ ვიწერებთ ფიქრით, რა კვალი დატოვა 1914-1924 წლების ომმა ჩვენი წინაპრების ფსიქიკაზე.

მეხსიერების განყვეტას, ალბათ, ყველაზე მეტად, ისტორიიდან ადამიანური განცდებისა და თავგადასავლების ამოქრა და იგნორირება უწყობს ხელს. მე-20 საუკუნის დასაწყისის გლობალური ტრაგედიების განმარტება მხოლოდ მრავალშრიანი დიპლომატიური კომინაციებისა და სამხედრო სტრატეგიების ენაზე ჩვენი თანამედროვეებისათვის არაფრისმომცემია. უაღრესად დეტალური, მახვილი და საღი, მაგრამ უპიროვნო ანალიზიც კი ძნელად თუ დამაგრდება ყველა ადამიანის გონებაში. ალბათ, არასოდეს წაიშლება მეხსიერებიდან ვინმე ბაბალაშვილის (მემდეგში აქტიური მებრძოლი ბოლშევიკის) მინიატურული მოგონება – როგორ ჩამორჩა ავადმყოფის გამო ახალწვეუ-

ლი შეტევაზე გადასულ პოლქს და როდესაც რამდენიმე დღის შემდეგ მათთან შესაერთებლად დაიძრა, რამდენიმე ათეული კილომეტრის მანძილზე გზის პირას დახოცილი და გაყიდული ჯარისკაცების გვამების გროვების ყურებისას მზვდა, რომ იქ და ყველგან ადამიანის სიცოცხლეს ჩალის ფასი დასდებოდა და როგორ შესძლდა ყველა და ყველაფერი რაც ამჟარი სასაკლაოს ასულდგმულებდა.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ის თაობა, რომელმაც თავის ზურგზე გადაიტანა 1905, 1914 და 1917 წლები, შექმნა 1918 წლის 26 მაისი (როგორც მაშინ იტყოდნენ ხოლმე), „საკუთარი ქველი ჩაყარა“ მისი საფუძვლის გასამაგრებლად კატერინენფილდთან, მეხადირთან, კოჯორსა თუ ბარცხანაში 1924 წლს, 1937-ში კი მოკლეს და დღეს არა თუ მათი „ხმები“ ისმის, სახელებიც მხოლოდ ერთულ ადამიანებს თუ ეუბნება რამეს.

ის იშვიათი „გზავნილები“, რომლებმაც დრო გაარღვია და ჩვენამდე მოაღწია, თითქოს სხვა ენაზეა დაწერილი და, მართლაც, ძნელია გავიგოთ იმ ადამიანების ტრაგედია, იარაღით ხელში რომ შეკვდნენ მტერს, უკანასკნელ უსტად დახვეულების ნიშანი სიმძიმეში ფსიქიკაზე.

ოთხმოცდათი წლის შემდეგ შვილების, შთამომავლებისა თუ თვითმხილველების მეხსიერებაში ჯერ კიდევ შემორჩა წვრილი ძაფები, რომლებიც, ჯერჯერობით, უსახელო და უსამართლოდ მივინებულ გმირებთან გვაკავშირებს. საოჯახო ალბომებში, სისხლის სამართლის საქმეებსა თუ საპატიმრო დოკუმენტებში გამოიწყვდეს სახეები ჯერაც ელიან მზრუნველი და დაინტერესებული ადამიანების თვალსა და ხელს. თბილობში 4 ადგილს – ორთაჭალის ციხისა და მეტების ეზოებს,

ინგოროვებას N22-სა და მაჩაბლის N15-ს ჯურ კიდევ ახსოვს, ერთი კვირის განმავლობაში, ღამძამობით, როგორ ეზიდებონენ ქალაქების საბარევო მანქანიბით არსებალსა და დეპოს მუშებს, სტუდენტებსა და ინტელიგენტებს, ოფიციებსა და მწერლებს, დამფუძნებელი კრების დეპუტატებსა და ქიზიყელ გლეხებს – ძმებს, მამებსა და შვილებს...

90 წლის თავზე სრული სიაც კი არ გვაქვს მათი, ვინც წესით უნდა გვახსოვდეს და ვიტონბდეთ. ის ფაქტი, რომ 1924 წლის აჯანყების ჩახმობის შემდეგ თავად ბოლშევიკებმაც ვერ შეძლეს საქართვის მხეცური ანგარიშს მორიცხანა (თანამედროვეები იგორებენ, რომ 1924 წლის ბოლომდე ციხეებში ხშირად მიდიოდა ამნისტია და გათავისუფლების ცნობა იმ ადამიანებზე, ვინც 1924 წლის აჯანყების დღეები დახვრიტეს), ჩვენს პასუხისმგებლობას კიდევ უფრო ამძიმებს.

„საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია“ და შინაგან საქმეთა სამინისტროს აჯადმის არქივი ყველა დაინტერესებულ მოქალაქესთან ერთად 1924 წლის აგვისტოს აჯანყებისას დახოცილი და დახვრეტილი მოქალაქებისა და პოლიტპატიორების ბიოგრაფიების დამუშავებასა და დოკუმენტების კოლექციების შექმნაზე მუშაობს, რათა თუნდაც 2024 წელს ყველას ჰქონდეს საშუალება, არა საავტომობილო ექსტაკის შიგნით გამომწყვდეულ გაუგებარ მოწუმენტზე, არამედ ამ დროისათვის ცნობილ – უკანასკნელ დაზუსტებულ მისამართზე, მეტების ეზოში, მაჩაბლის N15-სა და ინგოროვებას N22-ში განთავსებულ სტენდზე წაიკითხოს და სახეზე შეხედოს იმ ადამიანებს, ჩვენს წინააღმდეგს, რომელებმაც ყველაზე ძეირფახი - საქართვის სიცოცხლე გაიღეს ჩვენთვის.

იქნებ შემდეგ მანიც დავაკვირდეთ თოთოეულ მათგანს სხვა თვალით და მაშინ გასაგები გახდება განცდები თუნდაც ათწლეულების განმავლობაში საფრთხობებულ და წარმოჩნდილი ვალიკი კულებისა, რომელიც ერთ-ერთ პირად წერილში წერს:

„...განა ასეთ პირობებში შესაძლებელია ცხოვრება?! როცა ყოველ დღე, ყოველ წეთას თვალწინ გიდგას შენი ტანჯული ქვეყანა, როცა ყოველთვის თავს დაგ-



საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიისა და უურნალ „ლიბერალის“ ერთობლივი პროექტი.

გრიგოლ ცინცაბაძე, ვასილ ნოდა, ვალიკ ჯულელი, ბერია ჩიკვიშვილი და ვიქტორ ცენტერაძე, ათენში, გზად საქართველოში არალეგალურად დაბრუნებისას. 1924 წელი.

ნოდა, ჯულელი, ჩიკვიშვილი და ცენტერაძე დახვრიტეს აჯანყებისას.


გრიგოლ ცინცაბაძე 1937 წელს, გადასახლების ადგილას - მინუსინსკში.

2014

საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიისა და უურნალ „ლიბერალის“ ერთობლივი პროექტი.

**GOVLAB**  
სახელმწიფო უნივერსიტეტის დამსახურისა და მეცნიერებების მიმართულების მინისტრის მიერ დამტკიცებული სამსახური

**L**  
გიგანტი





"ესტატის სასახლე" -  
სპარსული საცხოვრის ბინის გარეთ  
აღმოჩენილი საცხოვრის სახლი

ავტორი: კონა ქლისაშვილი, ფოტო: ლევან ზერხევლიძე



ლევანის სახლი, ჭავჭავაძის ქ. №11



აღბათ შეგიმჩნევიათ ჭონქაძის ქ. N11-ში მდგარი საცხოვრებელი სახლი, რომელიც XIX-ე საუკუნეში აშენდა და მაშინდელი გუდოვიჩის ქუჩაზე მდებარეობდა. თავდაპირველად ეს შენობა თბილისში სამუშაოდ ჩამოსულ გერმანელ ინჟინერს ეკუთვნოდა, რომელმაც ის 1889-1894 წლებში საქართველოში ირანის კონსულს, მირზა რეზა ხანს მიჰყიდა.

საქართველოში საგანგებოდ ჩამოყვანილი ირანელი ოსტატების მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგად შენობამ აღმოსავლური სახე მიიღო. და სადარბაზოს კარსა და შენობის ფასადზე ირანული წარწერები და სპარსული სიმბოლოები გამოისახა.

დღეისთვის, სადარბაზოს გარდა, შენობის მხოლოდ ერთ ოთახში შემორჩია უვნებლად ჭერის უნიკალური მორთულობა, სადაც მოჭიქულ კერამიკაზე დახატული არც ერთი პეიზაჟი და თაიგული არ მეორდება. თბილისში ჭერის ამგვარი შემცულობა სხვაგან არსად გვხვდება.

მირზა რეზა ხანი საინტერესო ბიოგრაფიის მქონე, საოცრად განსწავლული ადამიანი იყო. მისი მემუარებიდან ვიგებთ, რომ მისი ოჯახი, თავრიზიდან საქართველოში გადმოსახლდა. 1876-1878 წლებში პატარა მირზამ რამდენიმე უცხო ენა და სხვადასხვა მეცნიერებები თბილისის შიომურ სასწავლებელსა და

■ ყველგან, სადაც მირზა რეზა ხანი მოღვაწეობდა მნიშვნელოვანი შენობები აიგო. მათგან ერთ-ერთი – „დანეშგაჲი“ მონაკოშია. მას მოგვიანებით „ვილა ისპაჲანი“ ეწოდა. ორი შენობა კი საქართველოშია: ბორჯომში „ფირუზას სასახლე“ და თბილისში „ალმასის სასახლე“.

მადამ სტასულევიჩის ფრანგულ პან-სიონში შეისწავლა. თბილისშივე დაიწყო მისი პროფესიული კარიერაც, როდესაც ირანის მაშინდელი კონსულის, მაჰმუდ ხან დიბას ინიციატივით, მან კური-რად დაიწყო მუშაობა. სულ მაღლ ჯერ თარჯიშინის, შემდეგ კი კონსულის თანაშემწის თანამდებობაზე დაწინაურდა. შემდგომ წლებში მას სხვადასხვა თანამდებობებზე ვხედავთ: ნასერ ად-დინ შაჰის პირადი თარჯიშინი, რუსულ-ირანული სადემარკაციო კომისიის წევრი, ირანის სრულუფლებანი ელჩი რუსეთის იმპერიასა და ოსმალეთში, ირანის ოფიციალური წარმომადგენერლი ერთა ლიგაში... 1933 წელს მირზა მშვიდობის



„დანეშვაპი“, მოგვიანებით „ვილა ისპაპანი“, მონაკო

დარგში ნობელის პრემიაზე იყო წარდგნილი.

მირზა რეზა ხანის სასიყვარულო ისტორიები თბილისაც უკავშირდება, ერთ ხანს იყო თბილისში საგასტროლოდ ჩამოსული ამერიკელი პრიმადონით – მის მიერთათ იყო დაინტერესებული. აქვე გაიცნო მეორე მეუღლე, ინგლისელი ლილი ჯერვისი, რომლისგანაც ვაჟი, ჰანი, შეძინა.

ყველაზე, სადაც მირზა რეზა ხანი მოვაწეობდა, მნიშვნელოვანი შენობები აიგო. მათგან ერთ-ერთი – „დანეშვაპი“ მონაკოში. მას მოგვიანებით „ვილა ისპაპანი“ ეწოდა. ორი შენობა კი საქართველოშია: ბორჯომში „ფირუზას სასახლე“ და თბილისში „ალმასის სასახლე“.

მირზა რეზა ხანის მემუარების, მიხედვით „ალმასის სასახლის“ (ასე უწოდებდნენ ამ სახლს თანამედროვენი) ოფიციალური გახსნა მან ნასერ ად-დინ შაპის დაბადების დღეს, ანუ 16 ივლისს დაამთხვია და 1892 წელს, ახლადგახსნილ საკონსულოში, გრანდიოზული ზეიმი გამართა. გენერალური კონსულის ბრძანებით, ზეიმისთვის მარმარილოს

აუზის შადრევანი ისე მოაწყვეს, რომ იქიდან წყლის ნაცვლად კახურ წითელ ღვინოს ედინა, რათა სტუმრებს ღვინო პირდაპირ აუზიდან შეესვათ. ამისთვის აუზის ოთხივე მხარეს აკაციის ყვავილის ფორმის ხის პრჯენები დაამაგრეს და ზედ უზარმაზარი გოვზა მოათავსეს, რომელშიც ოთხი ათასამდე ბოთლი ღვინო ეტეოდა. გოვზა კაუჩუკის მიღებით შადრევნის მილს უერთდებოდა და ონკანის გახსნისთანავე აუზი ღვინით ივსებოდა.

აუზის მიმდებარე ეზო, ხეების ძირები და ბრჯენები ნაირფერი ყვავილებით იყო მორთული. ჰაერში ასობით ჩინური და იაპონური ფარანი ეკიდა და აუზსა და მასში წითლად მოლივლივე ღვინოს ანათებდა. მთანმინდაზე, საკონსულოს მოპირდაპირე მხარეს ფეიერვერკი მოეწყო, რომელმაც ამ ზეიმს ბრწყინვალება შეჰქმატა. ოთახები და ეზო ადგილობრივი დიდგვაროვანი ქალებითა და კაცებით, ასევე, თბილისში მცხოვრები ირანელებით იყო სავსე. აუზის გარშემო ვერცხლის თასებით ხელში მდგარი იფიციანტები სტუმრებს ღვინით უმას-

პინძლდებოდნენ. საღმოზე მთავარმართებლის სამხედრო ორკესტრი და ირანელი მუსიკოსის აბდ ალ-ბაყი ყარაბაღის აღმოსავლური ანსამბლი უკარავდა.

შთამშეჭდავი სანახაობით მოხიბლულ თბილისის გუბერნატორ გიორგი შერვაშიძეს მირზა რეზა ხანისოვს უთქვაში: „ამ საღამოს თქვენ მე მუსლიმად მაქციეთ... თქვენი წინასწარმეტყველის სამოთხის აღწერა ლექსიბში წაითხული მჯონდა, მაგრამ მისი არსებობის არ მჯეროდა, ამ საღამოს კი ვირწმუნე, რომ მუჰამედის დაპირებული სამოთხე მართლაც არსებობს და ის აქაურობის მსგავსია“.

(ბიოგრაფიის აღწერისას გამოყენებულია მირზა რეზა ხანის მემუარები – „პრინც არფა“ს მოგონებები“ და მარინა ალექსიძის გამოუქვეყნებელი ნაშრომი „მირზა რეზა ხანის „ალმასის სასახლე-თბილისში“).

ტფილისის ჰამერისა და უკრნალ „ლიბერალის“ ერთობლივი პროექტი.



# სხვანაუ თბილისისთვის

„ქალაქებს სიზმრების მსგავსად სურვილები და შიშები ქმნის, მაშინაც კი, როცა მათი თხრობის ნაკადი იდუმალია, მათი წესები – აბსურდული, შეხედულებები – ცრუ, და როცა ყველაფერი დანარჩენის მიღმა რაღაც იმაღება“, – იტალო კალვინი, უხილავი ქალაქები.

ხათუნა ხაბულიანი

ქალაქებს მოგზაური (არატურისტი) მწერლები განსაკუთრებული მგრძნობელობით აღწერენ. იციან, რომ მათ მხოლოდ არქიტექტურა, ლანდშაფტი, მატერიალური ძეგლები და არსებული ლეგენდები არ ქმნის და იმ უხილავს ეძებენ, რაც თითოეული ქალაქის სულს აპოვნინებს.

პილიგრიმები ე.ნ. ტურისტულ ადგილებს გვერდს უვლიან და ქალაქთან შესახვედრად უცნაურ ადგილებს არჩევენ, ზოგჯერ ნაცნობი მოგზაურის რეკომენდაციით, უფრო მეტად კი ინტუიციით. ისინი არასდროს გადაიდებენ ფოტოს ეიფელის კოშკის, კოლიზეუმისა თუ ბიგ ბენის ფონზე იმის დასტურად, რომ პარიზი, რომი და ლონდონი მოინახულეს.

თანამედროვე მოგზაური უკავშირობილოდ გეტყვის, რომ დღევანდელი ე.ნ. ტურისტული ადგილები ყველა ქალაქში იმდენად ემსგავსება ერთმანეთს, ზოგჯერ თავი ერთსა და იმავე ადგილს ჰვინია, მით უმეტეს, როცა ამას მეტ-ნაკლებად კარგი სერვისის უსასრულო რაოდენობის ფორმებისა და სუვენირების გარდა ტურისტული ინდუსტრიის საყველთაო სიკეთეები ემატება.

ცოტა ხნის წინ სოციალურ ქსელებსა და სატელევიზიო არს „არტარეას“ ეთერში გამოჩნდა ინტერვიუების სერია სათაურით – „ქალაქი ამბობს“. რესპონდენტები თბილისის პრობლემებზე საუბრობდნენ. ბევრგან ითქვა, რომ ქალაქი ცოცხალი ორგანიზმია და განსაკუთრებული მოპყრობა სჭირდება. თბილისის ცვლილებების საკითხი აქტიური განსჯების საგანი უახლესი ისტორიის ბოლო წლებში, თუმცა ეს პოლემიკა ვერ ასცდა სწორხაზოვნებას და ვერც ისეთ დისკუსიად გადაიქცა, სადაც საზოგადოება სრულფასოვან, მონაწილეობას მიიღებდა. ქალაქის მცხოვრებლების პასუხისმგებლობა კი საჯარო სივრცეზე გააზრებულია და რეაციაც

რეალურ შედეგებს აღნევს.

ერთი მხრივ, განადგურებული ისტორიული და მხატვრული ღირებულებების ქვეყნების ნაგებობებისა და დაზარალებული უბნების გამო ისმის სპეციალისტების პრეტებზა, მეორე მხრივ კი, პოლიტიკური კურსითა და პროგრესის სახელით გამართლებულ როტორიკას ვისმენი, რომლის მიხედვითაც ეს ცვლილებები ბუნებრივია.

ალბათ, ბევრად უფრო საინტერესო იქნება, დისკუსია ქალაქის თემაზე განსხვავებული მიმართულებებით განვითარდეს, მაგალითად, ტურისტული თბილისი და პილიგრიმული თბილისი ან მოგზაურების ჩანაწერების კრიტიკული განხილვა, მათი სუბიექტური მოტივაციებისა და კონტექსტის გათვალისწინებით და ა.შ.

ცალკე თემად შეიძლება განვიხილოთ ზოგადი სურათი, რასაც თბილისში არსებული ქანდაკებები ქმნის. რაზე მეტყველებს ქალაქის მხატვრული პლასტიკა, როგორია მისი ინფორმაციული და ემოციური მხარე, რა ურთიერთობაშია ის არსებულ სივრცესთან და რამდენად კომორინგულია ჩვენთვის მთ გარემოცვაში თანაარსებობა. ამ წერილშიც სწორედ თბილისური ქანდაკების თემასთან დაკავშირებულ ერთ მომენტზე შევჩერდები.

საქართველოში ქანდაკება თავისი კლასიკური გაგებით, რაც დასავლურ ტრადიციაზე განვითარებულ ვიზუალურ-პლასტიკურ აზროვნებას გულისხმობს, არცთუ ისე დიდი ხნის წინ იმპორტირებული მედიუმია, ისევე; როგორც დაზგური მხატვრობა და ამ მხრივ მას დიდ პრეტენზიებსაც ვერ წავუყენებთ. თბილისში დღეისათვის არსებული ქანდაკებები პერიოდების მიხედვით, ძირითადად, რონანილად იყოფა: საბჭოთა რეჟიმის დროინდელი ნიმუშები, შესაბამისი მხატვრული ნიშნებით და უახლესი, ანუ პოსტკაბჭოთა პერიოდის შედარებით ლიბერალური გარე-



ზმინდა გორგის ქანდაკება, ზურაბ წერეთელი, თავისუფლების მოედანი, თბილისი

მოს ფონზე შექმნილი არტეფაქტები, რომელიც შედარებით მრავალფრონია. აქ არ იგულისხმება არქიტექტურის რელიეფები და სხვა სახის სკულპტურული დეკორი, საუბარია მხოლოდ დამოუკიდებელ ქანდაკებებზე, რომელიც სივრცესთან ურთიერთობას, მის ორგანიზებასა და ტრანსფორმაციას გულისხმობს და თავისი გზავნილებით ქალაქის ზოგად სახეს, ასე თუ ისე, განსაზღვრავს.

მაგალითისთვის მხოლოდ ცენტრალური უბნის არცუ დიდი მონაკვეთი რომ აეიღოთ, რუსთაველის გამზირი – თავისუფლების მოედნიდან კოსტავას გამზირამდე, განლაგებულ ქანდაკებს დავაკვირდეთ და თან არსებულ კონტექსტთან მიმართებაში განვიხილოთ, შეიძლება საინტერესო ნიუანსებიც აღმოვაჩინოთ და ქალაქის ამ მონაკვეთის გარშემო დალექილი შთაბეჭილებები გავაცნობიროთ. აღნიშნული მონაკვეთი დახსლოებით 1,5 კილომეტრს მოიცავს და ამ მანძილზე ათზე მეტი ძეგლი და კიდევ

უფრო მეტი მცირე პლასტიკის დეკორატიული ნიმუში დგას. თუკი მათ მთელი გამზირის ისტორიული შენობების დეკორირებულ ფასადებსა და მათ ინფორმაციულ სიჭარესთან ერთად გავიაზრებთ, დავინახავთ, რომ გამზირის მასშტაბთან შედარებით მისი ვიზუალურ-ინფორმაციული დატვირთულობა დისპროპორციულია და ერთგვარ კლაუსტროფობიას ქმნის.

თუკი წანმოვიდგენთ, რომ ამ მონაკვეთს იტალო კალვინოს პერსონაჟი მარკო პოლო აღწერდა, დიდი მოგზაური სავარაუდოდ იტყოდა, რომ ეს არის ქუჩა, რომლის მცხოვრებლებს არ უყვართ სივრცე და როგორც კი ოდნავ გამოთავს უფლებულ ადგილს ნახავენ, სასწრაფოდ რამე ქანდაკებას ათავსებენ. მათ უმეტესად გარდაცვლილ პერსონებს უძღვნიან. მთელი ქუჩა ძალიან ჰგავს ადგილობრივებისთვის სახასიათო პათოსურსა და გრძელ სადლეგრძელოს, მიცვალებულების მოსახსენებლად.

■ სვეტის ფორმა წვერზე მონუმენტით წარსულში დიდი იმპერიების დედაქალაქების (რომის, ლონდონის, პეტერბურგის) ესთეტიკისთვის იყო დამახასიათებელი. აქ ისინი იმ რეალური ძალაუფლების სიმბოლოს წარმოადგენდნენ, რომელიც მათი გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე ვრცელდებოდა. საქართველოსთვის, რომელიც მუდმივად კოლონიას წარმოადგენდა, ამგვარი ესთეტიკა არააღეკვატურ ამბიციასა და პროვინციალიზმზე მეტყველებს და კარიკატურულ შინაარსსაც იღებს.



9 აპრილის მემორიალი, მამუკა და სოსო ჩხაიძეების, რუსთაველის გამზირი, თბილისი

**■ ძეგლი ჩვენთან ჯერ კიდევ ქვის სტუმარია, რომელიც საშიშიც არის და ავტორიტეტის თვალით ზემოდან გიყურებს. ამგვარი ხასიათის ქანდაკებების სიჭარბე, რა თქმა უნდა, სივრცის ხასიათს განსაზღვრავს, მის ერთგვარ დეპუმანიზაციას იწვევს და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, დროის მიმდინარე ნაკადს დაშორებულია - სიცოცხლის გამომხატველი აღარ არის, მხოლოდ ნარსულის სურათად რჩება.**

პრობლემა, ალბათ, ზუსტად აქ არის - ქანდაკება საკმაოდ ხანგრძლივი საბჭოთა ტრადიციის წყალობითა და ინერციით კვლავ იდეოლოგიურ სიმბოლოდ აღიქმება, ის ან იდეალიზებულ ისტორიულ გმირს გამოსახავს, ან ღვაწლმოსილ პერსონას, რომელიც ძეგლის დადგმით დააფასეს და უკვდავყვეს; პარტიული ბელადები და კომუნიზმის მაშენებელი მარადიულად ახალგაზრდა ათლეტები უკვე წარსულს ჩაბარდნენ, თუმცა ბრინჯაოს ფორმებთან მოკრძალებული, დისტანცირებული დამოკიდებულება დარჩა. ძეგლი ჩვენთან ჯერ კიდევ ქვის სტუმარია, რომელიც საშიშიც არის და ავტორიტეტის თვალით ზემოდან გიყურებს. ამგვარი ხასიათის ქანდაკებების სიჭარბე, რა თქმა უნდა, სივრცის ხასიათს განსაზღვრავს, მის ერთგვარ დეპუმანიზაციას იწვევს და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, დროის მიმდინარე ნაკადს დაშორებულია - სიცოცხლის გამომხატველი აღარ არის, მხოლოდ წარსულის სურათად რჩება.

ამ მონაკეთზე არსებულ ნიმუშებში ახალი ფორმის მონახვის მცდელობა მხოლოდ მამუკა და სოსო ჩხაიძეების 9 აპრილის მე-

მორიალსა და ერნსტ ნეიზვესტნის მიერ შერულებულ მამარდაშვილის ბიუსტში ჩას, რომელსაც ამ მოქანდაკის საუკეთესო ნამუშევრად ნამდვილად ვერ მივიჩნევთ. სხვა მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ ქანდაკების თანამედროვე განვითარებისათვის სახასიათო ტენდენციები ჩვენთან თითქმის იგნორირებულია.

საკითხი განსაკუთრებით მწვავდება, როცა ქანდაკება სივრცის ფსევდოდიზაინის ნაწილი და გაუფასურებული ილუზის მთავარი განმაზღვრელი ხდება. სწორედ ასე მოხდა ქალაქის მთავარი მოედნის მონუმენტის შემთხვევაშიც. ლენინის ძეგლი რეჟიმის დასარულთან ერთად გაქრა და ნიშანდობლივა ისიც, რომ დარჩენილი სიცარიელე გარევეული პერიოდის განმავლობაში, ასე თუ ისე, მტკიცებულად განიცდებოდა. ის, სამწევაროდ, მექანიკურად ჩანაცვლდა გარეგნულად მაფიოზ განსხვავებული სიმბოლოთ, თანაც, ტრადიციულად, ხელისუფლების გადაწყვეტილებით.

პროექტი არც საჯაროდ განუხილავთ და არც კონკურსის შედეგად შეურჩევიათ, ანუ თუ აუცილებლად უნდა აღმართულიყო შემდგომი განვითარების ახალი გზის სიმბოლო, ეს საზოგადოების მონაწილეობით უნდა მომხდარიყო.

პროედურულ მხარეს რომ თავი დავანებოთ, კონცეპტუალური ნაწილიც ასევე ნაჩერევად და გაუაზრებლად გამოიყურება. თუ ქვეყანას სეკულარული სახელმწიფოს მშენებლობა აქვს დეკარიორებული და მოდერნიზაციის კურსს ირჩევს, სავარაუდოდ, მისი მთავარი სიმბოლიკა თავისუფლების კონცეპტის ირგვლივ უნდა ტრიალებდეს, თანაც, თუ ეროვნული იდენტობის განმაზღვრელ ნიშანდ მაინც რელიგიური თემა იყო შერჩეული, ისიც უნდა გაეთვალისწინებინათ, რომ ქართული საკულტო ხელოვნების ტრადიცია მსგავს ქანდაკებებს არ იცნობდა.

ასე გაჩნდა ლენინის ძეგლის ადგილას ზურაბ ნერეთლის ნამუშევარი - 30გ. სიმაღლის სვეტზე მდგარი მოოქროვილი ნიმინდა გიორგი, რომელიც მახვილი განგმირავს. დრაკონს. რაც შეეხება ქანდაკების ესთეტიკურ მხარეს, ეს კველაზე უიმედოდ გამოიყურება, რადგან გარდა იმისა, რომ მას მოედნის არქიტექტურის მასშტაბები არ ყოფნის, რომელთანაც ძეგლი აშერად კონფლიქტშია და ზედმეტად



მერაბ მამარდაშვილის ქანდაკება, ერნსტ ნეიზესტნი, რუსთაველის გამზირი, თბილისი

დიდი ზომისაა, ამავე დროს დამოუკიდებელი მხატვრული ღირებულებისგან სრულიად დაცლილ ფორმას წარმოადგენს, რომელიც თავად ავტორის მიერვე სერიული მანერით წარმოებული ფსევდობაროკოს ნიმუშია.

სვეტის ფორმა წვერზე მონუმენტით წარსულში დიდი იმპერიების დედაქალაქების (რომის, ლონდონის, პეტერბურგის) ესთეტიკისთვის იყო დამახასიათებელი. აქ ისინი იმ რეალური ძალაუფლების სიმბოლოს წარმოადგენდნენ, რომელიც მათი გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე ვრცელდებოდა.

საქართველოსთვის, რომელიც მუდმივად კოლონიას წარმოადგენდა, ამგვარი ესთეტიკა არაა დეკვატურ ამპიციასა და პროვინციალიზმზე მეტყველებს და კარიკატურულ შინაარსსაც იღებს. მართალია, ღამის განათების ფონზე თბილისი საკმაოდ ეფექტურად გამოიყურება და ერთი შეხედვით, მართლაც,

■ თუკი წარმოვიდგენა,  
რომ ამ მონაკვეთს  
იტალო კალვინოს პერ-  
სონაჟი მარკო პოლო  
აღწერდა, დიდი მო-  
გზაური სავარაუდოდ  
იტყოდა, რომ ეს არის  
ქუჩა, რომლის მცხო-  
ვრებლებს არ უყვართ  
სივრცე და როგორც  
კი ოდნავ გამოთავი-  
სუფლებულ ადგილს  
ნახავენ, სასწრაფოდ  
რამე ქანდაკებას ათა-  
ვსებენ. მათ უმეტესად  
გარდაცვლილ პერსო-  
ნებს უძღვნიან. მთელი  
ქუჩა ძალიან ჰეგის  
ადგილობრივებისთვის  
სახასიათო პათოსურსა  
და გრძელ სადლეგრძე-  
ლოს, მიცვალებულე-  
ბის მოსახსენებლად.

# კულტურის ცენტრის ფიბის ეკუნძურა

ეროვნულ მუზეუმში განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს ტერიტორიაზეგამოვლენილი ანტიკური ხანის ძეგლებიდან მომდინარე კოლექციებს, რომლებიც მრავალმხრივ წარმოადგენენ საზოგადოების ისტორიის ამმნიშვნელოვან ეტაპს. კოლექციები შედგება ძვირფასი ლითონის (ვერცხლი, ოქრო) ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი ქვის, ბრინჯაოს, რკინის, მინის, ძვლისა და თიხის ნაკეთობებისაგან.

ამ წომერში გაგაცნობთ ანტიკური ეპოქის ფიგურებისა და ქანდაკებების ნიმუშებს.



სატორი, ვანი, ძვ. წ. II-I სს. ბრინჯაო, 12.4  
X 10.5 სმ



ქალის ქანდაკება, უფლისციხე, ძვ. წ. IV-III სს. თიხა



ადამიანის ფიგურა, ვანი, ძვ. წ. III ს. ბრინჯაო,  
ოქრო, სიმაღლე 25 სმ



მუსიკოსი, უფლისციხე, თახა, ძვ. ნ. VI - IV სას.



ნიკე, ვანი, ძვ. ნ. II-ი სს. ბრინჯაო, 22 X 19 სმ



ჭაბუკის ტორსი, ვანი, ძვ. ნ. II-ი სს. ბრინჯაო,  
სიმაღლე 105 სმ



არიადნა, სარქინე, ახ. ნ. II ს. ტერაკოტა, 38 X 30 სმ

საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და უურნალ „ლიბერალის“ ერთობლივი პროექტი.

# მსიხა ჩბოცა

კულტურის სამინისტრო „არამინერალური ჯაზის“

კაცმა ჩაიბარა

დავით ბუხრიკიძე

■ მინისტრის დანიშნული უნიდან გარკვეული ქვეტექსტის წაკითხვა უკვე შეიძლება: რომ კულტურამ ნებისმიერ შემთხვევაში ქვეყნის მკრთალი, მაგრამ ახალი ავტოპოპორტრეტი უნდა შექმნას; რომ მისი ექსპორტი საერთაშორისო დაძაბულობისა და გახურებული ომების უამს კიდევ უფრო მნიშვნელოვანია; რომ ისევ აქტუალური ხდება კულტურის კარგად „შეფუთვა“ და კომერციულ პორტუტყეტად ქცევა; რომ სახელწიფო ვთქვათ, კულტურისა და ეკონომიკის სამინისტროების მნიშვნელობა და შემოსავლები ერთმანეთის-გან უნდა განასხვავოს

ხელისუფლების მიერ ჩატარებული „მცირე საკადრო წმენდის“ შემდეგ გაირკვა, რომ ყველა სამინისტროს შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი და ერთგვარი მისტიკური საბურველით შემოსილი, კულტურის სამინისტროა. ამგვარ მითს ხელი თავად პრემიერ-მინისტრის განცხადებებმაც შეუწყო, რომელმაც კულტურის მინისტრის კანდიდატის ირგვლივ ორდღიანი ინტრიგა დაგვიტოვა. მოლოდინი რაღაცით „შავი დეტექტივის“ ფინალს დაემსგავსა, როცა ბოლომდე შეუძლებელია მკვლელის ვინაობის გარკვევა...

ყველა დროის ხელისუფლების შფოთვა და გმინვა ქართული კულტურის შემდგომი ბედის გამო, რატომდაც გადაჭარბებული და სავალდებულო რიტორიკაზე აწყობილი მგონია. ეს დაახლოებით იმას ჰგავს, ნაბახუსევზე მსმელი ქართველები „პორჯომს“ რომ მოისაკლისებენ ხოლმე. მაგრამ თუ პრემირ ირაკლი ღარიბაშვილს დავუკერებთ — „ქართული კულტურის განვითარებას ახლებური, თანამედროვე, რეფორმატორული მიდგომა სჭირდება. ჩვენ მსჯელობის შედეგად შევარჩით ისეთი კანდიდატი, რომელიც აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, რაც დღეს კულტურის ახალი პოლიტიკისთვის არის საჭირო“. ამავე დროს, კომპანია „ისთერნ პრომოუშენის“ დირექტორი კახა კანდელაკი, რომელიც წინა ხელისუფლებას არამარტო ჯაზით, არამედ შაკირასა და ტოტო კუტუნის კონცერტებით ამარაგებდა. ამავე დროს, კომპანია „ისთერნ პრომოუშენის“ ყოფილი კულტურის მინისტრის, ჯაზის დიდი მოყვარულის, ნიკოლოზ რურუას მხარდაჭერითაც სარგებლობდა.

და მაინც, რატომ დათანხმდა კომპანია „ისთერნ პრომოუშენის“ გენერალური მენეჯერი, ყოფილი წყალბურთელი, ჯაზით შთაგონებული და მუდამ კრეატიულ — მომლიმარ-გარუჯული მიხეილ გიორგაძე ამგვარ სარისკო წინადადებას? მითუმეტეს, როცა კომერციულ მუსიკასა და ჯა-

ზში განაფულ მენეჯერს ხელისუფლებამ კულტურის მინისტრის დაცარიელებული და შელახულ-გატყავებული პორტფელი შესთავაზა. იქნებ, იმ იმედით, რომ „არამინერალური ჯაზიდან“ გამოდნობილი ოქროთი ბიუჯეტს ცოტათი მაინც შეავსებს!?

სხვათა შორის, ამ „ჭირვეულ“ თანამდებობაზე ხელისუფლებამ ვერ თუ არ დაითანხმა კულტურის მინისტრის ყოფილი მოადგილე, ფინანსისტი ალექსანდრე მარგიშვილი. ასევე, არქეოლოგი დავით ლორთქიფანიძე, კინორეჟისორი ნანა ჯანელიძე, თეატრალური რეჟისორი დავით საყარელიძე... და რაც მთავარია, ვერ დაითანხმა თავად „ისთერნ პრომოუშენის“ დირექტორი კახა კანდელაკი, რომელიც წინა ხელისუფლებას არამარტო ჯაზით, არამედ შაკირასა და ტოტო კუტუნის კონცერტებით ამარაგებდა. ამავე დროს, კომპანია „ისთერნ პრომოუშენის“ ყოფილი კულტურის მინისტრის, ჯაზის დიდი მოყვარულის, ნიკოლოზ რურუას მხარდაჭერითაც სარგებლობდა.

მიხეილ გიორგაძე და კახა კანდელაკი ლამის 15 წელია ჯაზის საამოდ რთულ ჭავანს ერთად ეზიდებიან. შესაბამისად, მუსიკის მოყვარულთ არც ჯაზის საღამოები დაავიწყდებათ თბილისა თუ ბათუმში და არც „ისთერნ პრომოუშენის“ მიერ მოწვეული, გამოჩენილ მუსიკოსთა სახელები. ბედის ირონია ისაა, რომ სწორედ ჯაზის მიმართ ალერგიით დაავადებულმა „ოცნების“ ხელისუფლებამ ჩააბარა სამინისტრო მიხეილ გიორგაძეს, რითაც თავად ჩაიტა-



მამუკა გომირგაძე – „ისთერნ პრომოუშენის“ ყოფილი გენერალური მენეჯერი და ახლა უკვე კულტურის მინისტრი

■ უნდა ვივარაუდოთ, რომ ხელისუფლებამ მიხეილ გიორგაძის დანიშვნით გადაწყვიტა უარი თქვას ტრადიციულ, კლასიკურ პრიორიტეტებზე და ფორმალურად უფრო კრეატიული მართვის ფორმებს დაუჭიროს მხარი. თანაც, გავითვალისწინოთ, რომ ჯაზი წმინდა ამერიკული მეინსტრიმია და არაფერი ისე კარგად არ გამოხატავს თავისუფლებას, როგორც ჯაზი.

რა გარკვეული „ჯაზ-თერაპიული“ კურსი. გამოჯანმრთელების შემდეგ კი იმედია, არც სხვა მნიშვნელოვან საერთაშორისო პროექტებზე იტყვის უარს. მითუფრო, რომ თავად მიხეილ გიორგაძეც ამგვარ პროექტებია გამობრძმედილი.

მინისტრის დანიშვნიდან გარკვეული ქვეტექსტის წაკითხვა უკვე შეიძლება: რომ კულტურამ ნებისმიერ შემთხვევაში ქვეყნის მერთალი, მაგრამ ახალი ავტოპორტრეტი უნდა შექმნას; რომ მისი ექსპორტი საერთაშორისო დაბაზულობისა და გახურებული ომების უამს კიდევ უფრო მნიშვნელოვანია; რომ ისევ აქტუალური ხდება კულტურის კარგად „შეფუთვა“ და კომერციულ პროდუქტად ქცევა; რომ სახელწიფომ ვთქვათ, კულტურისა და ეკონომიკის სამინისტროების მნიშვნელობა და შემოსავლები ერთმანეთისგან უნდა განასხვავოს; რომ კულტურა არ აქციოს ოდესაც წარმატებული არტისტული ელიტის გოლგოთად; არ დაუკარგოს ისტორიული მნიშვნელობის ძეგლებს ავთენტურობა და ამავე დროს, წახალისოს ახალი არქიტექტურული პროექტები.

ასევე საინტერესოა, როგორ მოიქცევა კომერციულ მუსიკაში განვრთნილი მენეჯერი-მინისტრი, როცა საქმე მაგალითად, მისთვის ნაკლებად პრიორიტეტულ კლასიკურ მუსიკას, ლიტერატურას, ან თეატრს შეეხება? როგორ გაუმჯღავდება იგი ყველა დროში სამინისტროს კარზე მავალ ელიტას, რომელსაც დღესაც ჰგონია რომ მთელი ქვეყანა ვალშია მათ წინაშე? როგორ უპასუხებს ვთქვათ, თანამედროვე არქიტექტურისა და ურბანისტული ხელოვნების გამოწვევებს? რა ადგილს მიუჩინს თანამედროვე ვიზუალურ ხელოვნებას? რას უზამს რეგიონებში დაკანონერვებულ-დახასებულ მუზეუმებს, რომელთაც ჯერ არ ედირსათ თანამედროვე სტანდარტები? როგორ წარმოუდგენია საავტორო კინოს შემდგომი განვითარება, რომელსაც თაობები ლამის ეროვნულ ბრენდად მიიჩნევნ?

ამ და სხვა კითხვებზე პასუხის გასაცემად კულტურის მინისტრს არა იმდენად ერთგული გუნდის შერჩევა მოუწევს (რასაც თავად ხაზგასმით აღნიშნავს), რამდენადაც საკუთარ დარგებში გამოწრობილი პროფესიონალებისა და მრჩევლების შემოქრება. პარადოქსია, მაგრამ სინამდვილეში რაც უფრო ჭრელი, წინააღმდეგობრივი და

განსხვავებული იქნება მისი „გუნდი“, რაც უფრო საინტერესო, საქმიან დისკუსიებს გამართავს ექსპერტებთან, ხელოვნების მენეჯერებთან, არტ-კრიტიკოსებთან, მთ უფრო მივუახლოვდებით კულტურის პოლიტიკის სწორ განსაზღვრას და ზოგადად, კულტურის დაკარგულ პორიზონტს.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ხელისუფლებამ მიხეილ გიორგაძის დანიშვნით გადაწყვიტა უარი თქვას ტრადიციულ, კლასიკურ პრიორიტეტებზე და ფორმალურად უფრო კრეატიული მართვის ფორმებს დაუჭიროს მხარი. თანაც გავითვალისწინოთ, რომ ჯაზი წმინდა ამერიკული მეინსტრიმია და არაფერი ისე კარგად არ გამოხატავს თავისუფლებას, როგორც ჯაზი.

სხვა საქმეა, თავად სამინისტრო აღმოჩნდება თუ არა მზად „არამინერალური ჯაზი“ ისტორიული მემკვდრეობის დაცვას, ან კულტურულ არქეტიპებად ქცეულ თეატრს, კინოს ან მხატვრობას დაუკავშიროს. ეს ხომ მარტო კარგ მენეჯერენტსა და მპროვიზაციის უნარზე არ არის დამოუკიდებული. მთავარია სამინისტრომ დროულად და დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება და სახელისუფლებო ვერტიკალის სიმყარეზე აღარ იყოს ჩამოყიდებული.

თავად მინისტრის ერთ-ერთი პირველი განცხადება მის გუნდს, მსოფლმხედველობასა და მომავალ პროექტებს უკავშირდება:

„სიურპრიზი არავისთვის არ იქნება ის, რომ ბევრად უფრო კომფორტულად და რაც მთავარია, წარმატებულად განხორციელდება ის გეგმები, რომელიც არსებობს გუნდთან ერთად, რომელთანაც წლების განმავლობაში მოვდივარ. უამრავი პროექტი გვაქვს ერთობლივად განხორციელებული, ერთი მსოფლმხედველობის ხალხი ვართ; ამიტომ ვფიქრობ, რომ ჩემს გვერდზე ჩემი გუნდი აუცილებლად უნდა იყოს.“

მიმართია, რომ ბევრად უფრო აქტიური როლი უნდა შეასრულოს კულტურის სამინისტრომ. აქამდე, ვფიქრობ, საკმაოდ პასიური იყო. მან თავად უნდა გამოიჩინოს ინიციატივა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო არენაზე. მალე ჩვენ ხედვას, ახალ იდეებს პარლამენტს წარვუდგენთ“.

მოკლედ, მოულოდნელ მცირე რბოლაში მოულოდნელად გამარჯვებული ჯაზ-მინისტრი იდეების სკივრს მალე გახსნის და ახალ პროექტებსაც ამოალაგებს. ☐



**WWW.LIBERALI.GE**

---

026/45



**WWW.LIBERALI.GE**

მოგვიანი



<http://twitter.com/LiberaliMagazine>



მოგვიანი

**Facebook**

<http://facebook.com/LiberaliMagazine>

გამოიწვეთ



<http://youtube.com/LiberaliMagazine>